

UDC33

ქ-49

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University Paata Gugushvili Institute of
Economics**

ეკონომისტი

2016

2

**ქრონ- VOLUME
IX**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University Paata Gugushvili Institute of
Economics
International Reviewed Scientific-Analytical Journal**



გამოდის 2009 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2016 წლიდან – ქვარტალში ერთხელ

**Published scince January 2009 once in two months,
Scince 2016 - Quarterly**

რედაქციის მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14;
ტელ.: 293 34 44; 599 970103.

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street,
tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103.

სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო

პროფესორები:

რამაზ აბესაძე (მთავარი რედაქტორი), იური ანანიაშვილი, როზეეგა ასათიანი, გივი ბელიანაშვილი, თემურაზ ბერიძე, გიორგი ბერულავა, გახტანგ ბურდული, რევაზ გველესიანი, რევაზ გოგოხია, რევაზ ქაკულია, თემურ ქანდელაკი, მურმან კვარაცხელია, ალფრედ კურატაშვილი, იაკობ მესხია, ელგუჯა მექვაბიშვილი, სოლომონ პავლიაშვილი, ვლადიმერ პაპავა (აკადემიკოსი), უშანგი სამადაშვილი, როლანდ სარჩიმელია, ავთანდილ სილაგაძე (აკადემიკოსი), ავთანდილ სულაბერიძე, თემურაზ შენგელია, თინა ჩხეიძე, ნოდარ ჭითანავა, ნოდარ სადური, ეთერ სარაიშვილი, მიხეილ ჯიბუტი.

**მთავარი რედაქტორის თანაშემწე – ეკონომიკის დოქტორი მამუკა ხუსკივაძე
პასუხისმგებელი მდიგარი – ეკონომიკის დოქტორი თეა ლაზარაშვილი**

სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს უცხოელი უფლებები

ლარისა ბელინსკაია (ვილნიუსის უნივერსიტეტი), რუსლან გრინბერგი (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი), სიმონე გუერჩინი (ფლორენციის უნივერსიტეტი), ვოლფგანგ ვენგი (ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი), ტომას დ. ვილეტი (ალერმონტის უნივერსიტეტი), ელდარ ისმაილოვი (ბაქოს სოციალური მართვისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტი), გინდრა კასნაუსკიენე (ვილნიუსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის სკოლა), სლავომირ პარტიცი (იოანე პავლე II-ს სახელობის ლუბლინანას კათოლიკური უნივერსიტეტი), გალინა სავინა (ხარკოვის ტექნიკური უნივერსიტეტი), დიმიტრი სოროკინი (რუსთავის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი), დაროლ ჯ. სტეინლი (პეტერბურგის უნივერსიტეტი), ალექს სტუპნიცკი (ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი).

SCIENTIFIC EDITORIAL COUNCIL

Professors:

Ramaz Abesadze (Editor-in-chief), Yuri Ananiashvili, Rosetta Asatiani, Givi Bedianashvili, Teimuraz Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gogokhia, Revaz Gvelesiani, Mikheil Jibuti, Revaz Kakulia, Nodar Khaduri, Eter Kharashvili, Alfred Kurataşvili, Murman Kvaratskhelia, Temur Kandelaki, Elguja Mekvabishvili, Iakob Meskhia, Vladimer Papava (academician), Solomon Pavliashvili, Ushang Samadashvili, Roland Sarchimelia, Teimuraz Shengelia, Avtandil Silagadze (academician), Avtandil Sulaberidze.

Assistant Editor-in-chief – Doctors of economics Mamuka Khuskivadze

Executive Secretary – Doctors of economics Tea Lazarashvili

FOREIGN MEMBERS OF THE SCIENTIFIC EDITORIAL COUNCIL

Larisa Belinskaia (Vilnius University), Ruslan Grinberg (Institute of Economics of RAS), Simone Guercini (University of Florence), Eldar Ismailov (Baku Institute of Social Management and Political Science), Gindra Kasnauskiene (International Business School of Vilnius University), Slavomir Partycki (The John Paul II Catholic University of Lublin), Galina Savina (Kharkiv Technical University), Dmitri Sorokin (Institute of Economics of RAS), Darrol J. Stanley (University of Pepperdine), Oleksiy Stupnitskyy (Taras Shevchenko National University of Kyiv), Wolfgang Weng (Technical University of Berlin), Thomas D. Willett (Claremont Graduate University).

ს ა რ ჩ თ ვ გ 0 - C O N T E N T S

დემოგრაფია – DEMOGRAPHY

| | |
|--|---|
| აჯთანდილ სულაბერიძე, გიორგი წულაძე, ვლადიმერ სულაბერიძე, ნინო გომელაური – დემოგრაფიულ შემთხვევათა სტატისტიკური ალრიცხვის პრობლემები საქართველოში | 5 |
|--|---|

| | |
|--|----|
| <i>Avtandil Sulaberidze, Giorgi Tsuladze, Vladimer Sulaberidze, Nino Gomelauri – Application of Comparative Analysis of Official Polls and Expert Estimations of Indicators in Demographic Projections</i> | 17 |
|--|----|

მაკროეკონომიკა - MACROECONOMICS

| | |
|---|----------|
| გიგი ლემონჯავა – მონეტარული პოლიტიკის როლი და ამოცანები <i>Givi Lemonjava – Monetary Policy: Role and Tasks (Expanded Summary)</i> | 26 35 |
|---|----------|

სოფლის გეორგიობა - AGRICULTURE

| | |
|--|----|
| თენგიზ ქავთარაძე – ინოვაციური პოლიტიკა აშშ-ს სოფლის მეურნეობაში და საქართველოში მისი გამოყენების შესაძლებლობები | 38 |
|--|----|

| | |
|--|----|
| <i>Tengiz Kavtaradze – The Usa Policy of Innovation in Agriculture and the Possibilities to Use it in Georgia (Expanded Summary)</i> | 45 |
|--|----|

| | |
|--|----|
| თამარ ლაზარიშვილი – სუბსიდირების პროგრამების ეფექტიანობა მევენახეობა- მედინიერებაში | 47 |
|--|----|

| | |
|---|----|
| <i>Tamar Lazariashvili – Effectiveness of Subsidize Programs in Vinery-Winery</i> | 52 |
|---|----|

სასურსათო ჟანრთხოვება - FOOD SAFETY

| | |
|---|----------|
| ზურაბ გარაგანიძე – შიმშილი – ქართული სახელმწიფოს ფარული საფრთხე ¹ <i>Zurab Garakanidze – Hunger – the Hidden Threat to Georgian Nation (Expanded Summary)</i> | 55 79 |
|---|----------|

ეპონომეტრიკა -ECONOMETRICS

| | |
|--|----|
| <i>Lia Totladze – Diffusion Index for Georgia: Selection Leading Economic Indicators</i> | 83 |
|--|----|

| | |
|--|----|
| ლია თოთლაძე – დიფუნდიური ინდექსი საქართველოსთვის: წინმსწრებ ეპონომიკურ ინდიკატორთა შერჩევა (კრიელი რეზიუმე) | 88 |
|--|----|

მაგისტრატურისა და დოკორატურის სამეცნიერო ნაშრომები SCIENTIFIC WORKS OF UNDERGRADUATES AND DOCTORAL STUDENTS

| | |
|---|----|
| <i>Aytan Samedzade – Некоторые вопросы анализа взаимосвязи между экономическим развитием и доходами населения</i> | 90 |
|---|----|

| | |
|--|----|
| <i>Aytan Samedzadeh – Some Questions of Analysis of the Relationship Between Economic Development and Population's Income (Expanded Summary)</i> | 95 |
|--|----|

| | |
|---|----|
| აითან სამეჯვარაძე – ეკონომიკური განვითარების და მოსახლეობის შემოსავლებს შორის ურთიერთობის ანალიზის გარკვეული საკითხები (კრიელი რეზიუმე) | 97 |
|---|----|

| | |
|--|-----|
| <i>Giorgi Tetrauli – Method of Spectral Analysis in Research of Economic Cycles (Expanded Summary)</i> | 100 |
|--|-----|

| | |
|---|-----|
| <i>Giorgi Tetrauli – Juglar Cycles in Economy of Georgia (Expanded Summary)</i> | 107 |
|---|-----|

| | |
|---|-----|
| <i>Giorgi Tetrauli – Juglar Cycles in Economy of Georgia (Expanded Summary)</i> | 109 |
|---|-----|

| | |
|--|-----|
| <i>Irakli Doghonadze – Influence of Monetary Policy on government securities market (On the example of Georgia) (Expanded Summary)</i> | 116 |
|--|-----|

| | |
|--|-----|
| <i>Irakli Doghonadze – Influence of Monetary Policy on government securities market (On the example of Georgia) (Expanded Summary)</i> | 118 |
|--|-----|

| | |
|--|-----|
| <i>Irakli Doghonadze – Influence of Monetary Policy on government securities market (On the example of Georgia) (Expanded Summary)</i> | 133 |
|--|-----|

დემოგრაფია
DEMOGRAPHY

აგთანდილ სულაბერიძე
იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიის
და ხოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი,
ემდ, პროფესორი.
გიორგი წულაძე
ამავე უნივერსიტეტის პროფესორი.
გლეიდიმერ სულაბერიძე
ამავე ინსტიტუტის მკვლევარი,
ეკონომიკის დოქტორი,
ნინო გომელაშვილი
ამავე ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი

დემოგრაფიულ შემთხვევათა სტატისტიკური აღრიცხვის პროცესი
საქართველოში

რეზიუმე

პროგნოზები ძირითადად ემყარება სახელმწიფო სტატისტიკის ოფიციალურ დემოგრაფიულ მაჩვენებლების. მოსახლეობის პუნქტოვივი მოძრაობის და მიგრაციის არაზუსტი აღრიცხვის პირობებში კი (განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში) არასწორ ოფიციალურ ინფორმაციაზე გაანგარიშებული პროგნოზები მნიშვნელოვანი ცდომილებებით ხასიათდება. ჩვენი აზრით, პროგნოზების შემთხვევაში, საუკუნეების მკვლევარი არ არის აზრით, გაანგარიშებული სტატისტიკასთან ერთად, აღტერნატივის სახით, გამოყენებული იქნება მეცნიერული გამოკვლევის შედეგებზე დაფუძნებული ექსპერტთა შეფასებითი დემოგრაფიული მაჩვენებლებიც.

ოფიციალურთან შედარებით ექსპერტულ შეფასებათა მეტი სახდომობა დაადასტურა საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის აღწერამ აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ არაზუსტი სტატისტიკური აღრიცხვის პირობებში, პროგნოზების შესრულებისას, ოფიციალური სტატისტიკის და ექსპერტული შეფასებითი მაჩვენებლების შედარებითი ანალიზის გამოყენება გააუმჯობესდება პროგნოზის ხარისხს.

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფიული სტატისტიკა, შეფასებითი მონაცემები, პროგნოზი, შობადომა, მოკვდაობა, მიგრაცია.

შესავალი

მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების განხილვისას, არსებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის გარდა, დემოგრაფიულ პროცესთა ახალიზისას ვიყენებთ ექსპერტული შეფასების მეთოდით გაანგარიშებულ დემოგრაფიულ მაჩვენებლებს, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, განსხვავდება საქსტატის ოფიციალური მონაცემებისაგან. სწორედ ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებული დემოსტატისტიკური მაჩვენებლები ყოველთვის არ გამოხატავს რეალურ დემოგრაფიულ ვითარებას, ვინაიდან სრულად ვერ ხერხდება დემოგრაფიულ შემთხვევათა აღრიცხვა.

ამასთან, დემოგრაფიულ შემთხვევათა არასრული აღრიცხვა არ წარმოადგენს შედარებით ახალ, პოსტსაბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელ მოვლენას. იგი არსებობდა საბჭოთა პერიოდში და, შესაძლებლობის ფარგლებში, არასრული აღრიცხვა გამოვლინდა 1960 წლიდან [Anderson, Katus, Silver 1994: 10-11; Anderson, Silver 1986: 712]. ამდენად, არასრული დემო-სტატისტიკური აღრიცხვის პრობლემა ნაშრომში განიხილება 1960 წლიდან დღემდე და წარმოდგენილია 1960 წლიდან დემოგრაფიული პროცესების ოფიციალური და შეფასებითი მაჩვენებლების შედარებითი ანალიზით მიღებული განსხვავებები.

პლევის მეთოდოლოგია

მოსახლეობის რაოდენობისა და ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის განსაზღვრის სიზუსტე ბევრად არის დამოკიდებული დაბადებათა, გარდაცვალებათა და გარე მიგრაციის მიმდინარე აღრიცხვის სრულფასოვნებაზე.

1990-იან წლებში საქართველოში მომხდარ ცნობილ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებს მოჰყვა დემოგრაფიული შემთხვევებისა და მიგრაციის რეგისტრაციის გაუარესება, რის შედეგადაც გართულდა მოსახლეობის რაოდენობისა და ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის განსაზღვრა. ადნიშნულიდან გამომდინარე, ოფიციალური სტატისტიკის პარალელურად განხდა არაოფიციალური სტატისტიკა მეცნიერულ შეფასება-გაანგარიშებების სახით (შემდგომში შეფასება), რომლის მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა და განსხვავდება საქსტატის შესაბამისი მონაცემებისა და მაჩვენებლებისაგან.

დემოსტატისტიკურ მონაცემთა შეფასებისას გამოყენებულ იქნა დემოგრაფიული, ეპიდემიოლოგიური და, მიგრაციული გადასვლის ოთვრიების საფუძველზე, მოცემული მომენტისთვის მისადაგებული მოდელები, გაეროს, კოულ-დემენის მოკვდაობის მოდელური (ტიპური) და სხვა მოდელური ცხრილები და ინდექსები. გაეროს ექსპერტების, უცხოელ და ქართველ მეცნიერთა [Tsilauri, Sulaberidze, 2013: 7; *World Population Prospects: the 2012 Revision: 2013*] გაანგარიშება, დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედ ფაქტორთა დეტერმინაციული ანალიზი, აგრეთვე ცალკეულ წლებში დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დემოსტატიკური გამოკვლევები და სხვ.

ჩვენგან (მეცნიერ-ექსპერტთაგან) განსხვავებით, საქსტატის კანონმდებლობით არ აქვს სახელმწიფო სამსახურებიდან ოფიციალურად მიღებული მიმდინარე სტატისტიკური ინფორმაციის გადაანგარიშების და შეფასების უფლება. ამიტომ ის ოფიციალურად იძლევა სახელმწიფო სამსახურების მიერ ოფიციალურად მიწოდებული ინფორმაციის კრებსით მონაცემებს, რაც დემოგრაფიულ კოთარებას არაზუსტად წარმოაჩენს.

განსხვავებები ოფიციალურ და შეფასებით (ექსპერტულ) დემოსტატისტიკურ მაჩვენებელთა შორის

სათანადო ანალიზის საფუძველზე დავადგინეთ, რომ როგორც 1970, ისე 1979, 1989, 2002 და 2014 წლების მოსახლეობის აღწერების დროს აღრიცხული რაოდენობა არ შეესაბამება აღწერათაშორის პერიოდებში ბუნებრივი მატებისა და გარე მიგრაციის არსებული მონაცემების ჯამიდან გამომდინარე მოსახლეობის რაოდენობას [წულაძე, სულაბერიძე, მაღლაფერიძე, მამარდაშვილი, 2008: 114-131]. საქვლევი პერიოდის მასშტაბიდან და სტატის მოცულობიდან გამომდინარე, საკითხის უკეთ წარმოჩენის მიზნით, მას განვიხილავთ ორ პერიოდად – 1960-2000 წწ. და 2000 წლიდან დღემდე.

ა) 1960–2000 წლები

საქსტატისა და ჩეგნ მიერ გაანგარიშებული მოსახლეობის რაოდენობას შორის არსებული სხვაობა ძირითადად გამოწვეულია ბუნებრივი მოძრაობის და მიგრაციის არაზუსტი აღრიცხვის შედეგად. გაეროს ექსპერტების შეფასებით, 1960–1965 წლებში საქართველოში საშუალოდ წელიწადში აღურიცხავი რჩებოდა 20 ათასამდე გარდაცვლილი, ხოლო არასრული აღრიცხვის წილი 40%-ს შეადგენდა. ეს უკანასკნელი საქმაოდ მაღალი იყო, თუმცა ჩამორჩებოდა მხოლოდ შუა აზის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებლებს.

გაეროს ექსპერტთა შეფასებით, გარდაცვლილთა არასრული აღრიცხვა საქართველოში უფრო მეტი იყო, ვიდრე ჩვენი შეფასებით. 1960–1990-იან წლებში საქართველოში გარდაცვლილთა არასრულმა რეგისტრაციამ საერთო ჯამში შეადგინა: გაეროს ექსპერტთა შეფასებით – 215 ათასი (15,4%), ხოლო ჩვენი შეფასებით – 165 ათასი (12,2%).

1990-იან წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-გაონომიკურ და საზოგადოებრივ ცვლილებებს სტატისტიკის ორგანოები (ისე-ვა, როგორც ბევრი სხვა უწყება) მოუმზადებელი შეხვდა, რასაც მოჰყვა როგორც გარდაცვლილთა, ისე სხვა დემოგრაფიული შემთხვევების სტატისტიკური აღრიცხვის გაუარესება. 1990-იან წლებში, 1970-იან და 1980-იან წლებთან შედარებით, კიდევ უფრო გაიზარდა გარდაცვლილთა არასრული აღრიცხვის დონე.

უნდა აღინიშნოს, რომ 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე მოხდა აღწერათაშორისი (1989 და 2002 წწ.) პერიოდის დემოგრაფიული მაჩვენებლების, მათ შორის გარდაცვლილთა რაოდენობის, გადაანგარიშება. საქსტატის მონაცემები გარდაცვლილთა რაოდენობის შესახებ გადაანგარიშებამდე (ანუ რეგისტრირებული) და გადაანგარიშების შემდგომი, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. კერძოდ, გადაანგარიშებამდევლი მონაცემებით საქართველოში 1990–2000 წლებში გარდაცვლილთა რაოდენობა 460,9 ათას კაცს შეადგენდა, ხოლო გადაანგარიშების შემდეგ – 552,6 ათას კაცამდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ საქსტატის გადაანგარიშებული მონაცემები გარდაცვლილთა რაოდენობის შესახებ, გარკვეული განსხვავების მიუხედავად, ჩვენი შეფასებითი მონაცემების მსგავსია (560,2 ათასი გარდაცვლილი).

1960–2000 წწ. მოკვდაობის შეფასებითი მონაცემების ანალიზი, საქსტატის ამავე პერიოდის მოკვდაობის ოფიციალური მონაცემებისგან განსხვავებით საფუძველს იძლევა, ახლებურად გავიაზროთ როგორც სიცოცხლის ხანგრძლივობის ეფოლუცია, ისე, ზოგადად, დემოგრაფიული გადასვლა საქართველოში [Anderson, Katus, Silver 1994: 10-11; Anderson, Silver 1986: 712].


საქართველო იმ ქვეყნებს მიეკუთვნება, რომლებისთვისაც გარე მიგრაცია მოსახლეობის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. საქმე ის არის, რომ საქართველოს 1960 წლიდან გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო ახასიათებს.

განსხვავებით საქსტატის ოფიციალური მონაცემისგან, შეფასებითი მონაცემებით 1960–2000 წლების პერიოდში, გარე მიგრაციის შედეგად, საქართველოს მოსახლეობას დააკლდა 1404 ათასზე მეტი ადამიანი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოსათვის 1990-იანი წლები, როდესაც სხვადასხვა შეფასებითი მონაცემით, საქართველოს მოსახლეობამ გარე მიგრაციის შედეგად გაცილებით მეტი დანაკლისი განიცადა, ვიდრე წინა 30-წლიანი პერიოდის განმავლობაში. შეფასებითი მონაცემებით, 1990–2000 წლების პერიოდში საქართველომ, გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოს შედეგად, 1989 წლის მოსახლეობის რაოდენობის 19%-მდე დანაკლისი განიცადა, ანუ თითქმის ყოველი მეხუთე ადამიანი წავიდა ქვეყნიდან.

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დაგასკვნათ, რომ 1960–2000 წლების პერიოდში, ოფიციალური მონაცემები საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, მათ შორის აღწერებისას, არაზუსტი და ნაკლებად სანდო იყო. აღწერებისას მოსახლეობის საერთო რაოდენობა გადამეტებით იყო წარმოდგენილი (1979 წლის გარდა).


გარდაცვლილთა და გარე მიგრაციის არასრული აღრიცხვის გათვალისწინებით, საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობა 1960–2000 წლებში, ჩვენი შეფასებით, განსხვავებულია საქართველოს მოსახლეობის იმ რაოდენობისაგან, რომელიც სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ არის წარმოდგენილი (გადაანგარიშებამდე). ამაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა 1.



დიაგრამა 1. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა (ათასი) 1960–2000 წლებში საქსტატის (გადაანგარიშებამდე) და ჩვენი შეფასებითი მონაცემების მიხედვით [წულაძე... 2008: 7-15].

როგორც ვხედავთ, საქსტატისა და ჩვენ მიერ გაანგარიშებული მოსახლეობის რაოდენობას შორის არსებული სხვაობა 1960 წლიდან სულ იზრდება. 1970 წელს ეს სხვაობა 107 ათასი იყო, 1980 წელს – 157 ათასი, 1990 წელს – 236 ათასი, ხოლო 2000 წელს სხვაობამ 1028 ათასი შეადგინა. ამრიგად, ჩვენი შეფასებით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1960–2000 წლებში ყოველთვის ნაკლები იყო საქსტატის შესაბამის მონაცემებთან შედარებით. ამასთან, ჩვენი შეფასებით, 1992 წლიდან საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა განუხრედად მცირდება, მაშინ, როდესაც საქსტატის გაანგარიშებები მოსახლეობის რაოდენობის ზრდას ასახავს.

მოყვანილი დიაგრამა 1 აშკარად გვიჩვენებს, რომ საქართველოში 1960–1991 წლებში, მართალია სხვადასხვა სიდიდით, მაგრამ მოსახლეობის მატებას პქონდა ადგილი, რომელიც 1992 წლიდან კლებით შეიცვალა. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1960–1991 წლებში გაიზარდა 1099 ათასით, ხოლო 1992–2000 წლებში შემცირდა 882 ათასით. მოსახლეობის საერთო მატებაში ბუნებრივ და მექანიკურ მოძრაობას (მიგრაციას) განსხვავებული წილი პქონდა (იხ. დიაგრამა 2).



დიაგრამა 2. მოსახლეობის საერთო მატების (კლების) კომპონენტები – საქართველოში 1960-2000 წლებში, ათასობით (გარე მიგრაცია: 1960-1989 წწ. – სდ, 1990-2000 – შეფასებითი მონაცემებით; ბუნებრივი მატება – შეფასებითი მონაცემებით) [წულაძე... 2008: 61-68; Tsuladze, 2015: 47-48, 317; Population of Georgia. Statistical collection, 2003: 67].

მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი მატება მცირდებოდა და პერიოდის ბოლოსათვის ნულოვან სიდიდემდე დავიდა, მისი მნიშვნელობა მაინც დადებითი იყო, მაშინ, როდესაც გარე მიგრაციის სალდო უარყოფითი იყო.

1992 წლამდე მოსახლეობის ბუნებრივი მატების სიდიდის მეტობა გარე მიგრაციის უარყოფით სალდოზე ძირითადად განსაზღვრავდა საქართველოს მოსახლეობის საერთო მატებას. 1992 წლიდან კი, ერთი მხრივ, ბუნებრივი მატების მკვეთრმა შემცირებამ და, მეორე მხრივ, ემიგრაციის ინტენსივობის მნიშვნელოვანმა ზრდამ, მომდევნო წლებში განაპირობა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვანი კლება.

ამდენად, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობრივი ფორმირების ძირითად კომპონენტს 1960–1991 წლებში ბუნებრივი მატება, ხოლო 1992–2000 წლებში გარე მიგრაცია წარმოადგენდა.


ბ. 2000–2015 წწ.

როდესაც 2000-იან წლებზე ვმსჯელობთ, პირველ რიგში აღსანიშნავია 2002 წელს (17 იანვრის მდგომარეობით) ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის პირველი საყოველოაო ეროვნული აღწერა. მისი შედეგები სპეციალისტების მიერ არაერთგვაროვნად არის შეფასებული.

უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული კრიტიკული დამოკიდებულება ეფუძნება „ემიგრანტთა სააღწერო ფურცელს“, რომელმაც, პრაქტიკულად, ვერ ან ცუდად „იმუშავა“. მაგალითად, 2002 წლის აღწერის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ


ემიგრაციის რაოდენობა საქართველოდან შეადგენს 113,7 ათასს [საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი კრონული აღწერის შედეგები, 2003]. იმავე დროს, სტატისტიკის დეპარტამენტის გაანგარიშებით, გარე მიგრაციის უარყოფითმა საღლომ საქართველოსათვის აღწერათაშორის პერიოდში (1989–2001 წწ.) დაახლოებით 930 ათასი შეადგინა [Population of Georgia. Statistical collection, 2003: 67].

2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ მუდმივი მოსახლეობის რაოდენობა 4371,5 ათასის, ხოლო ფაქტობრივი მოსახლეობის რაოდენობა – 4355,7 ათასის ტოლი იყო, ანუ სხვაობა მათ შორის შეადგენდა 15,8 ათასს.




დიაგრამა 3. საქართველოს მოსახლეობის ცვლილება 2001–2014 წწ. (1 იანვრის მდგრმარეობით) [წულამე... 2008: 68-69; Tsuladze, 2015: 17]

მოყვანილი დიაგრამიდან ჩანს, რომ 2002 წელს მოსახლეობის შეფასებითი რაოდენობა ნაკლები იყო მუდმივზე 370,5 ათასით. 2003–2014 წლებში აღნიშნული სხვაობა იზრდებოდა და 2014 წლის 1 იანვრისთვის მიაღწია 729,8 ათასს, ანუ 16,3%-ს. ამასთან, მოცემულ წლებში, საქსტატის მონაცემებით, მოსახლეობის რაოდენობა 4 მილიონის ფარგლებშია და 2008 წლიდან ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მისგან განსხვავებით, შეფასებითი მონაცემებით 2002 წლიდან იგი 4 მილიონს ქვემოთად და კლების ტენდენცია გააჩნია. მოსახლეობის ფორმირების ორი კომპონენტიდან საქსტატის შემთხვევაში მიგრაციული საღლო უარყოფით როლს არ თამაშობს, მისგან განსხვავებით, შეფასებითი მაჩვენებლებით, მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების გადამწყვეტი ფაქტორად ძირითად ისევ გარე მიგრაცია გვევლინება, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა 4-დან.




დიაგრამა 4. მოსახლეობის საერთო მატების (კლების) კომპონენტები სპართგელოში 2001–2014 წლ., (ათასი) [Tsuladze, 2015: 47-48, 317]

საქსტატის და შეფასებითი მაჩვენებლების ასეთი კონტრასტული განსხვავება ისევ და ისევ მოსახლეობის დემოსტატისტიკური აღრიცხვის პრობლემებიდან გამომდინარეობს. აღნიშნულთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაწნია ცალ-ცალკე გავაანალიზოთ და შევადაროთ როგორც მოსახლეობის ბუნებრივი მატების კომპონენტების დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობის, ასევე მიგრაციული სალდოს საქსტატის და ჩვენი შეფასებითი მაჩვენებლები.



დიაგრამა 5. ცოცხლად დაბადებულთა დინამიკა 2000–2014 წლ. [Tsuladze, 2015: 48]

მოყვანილი დიაგრამა 5-დან ჩანს, რომ 2007–2009 წლებში, საქსტატის ოფიციალურ და ჩვენი შეფასებით მაჩვენებლებში დაბადებულთა რაოდენობა ერთმანეთის მსგავსია, რაც მეტყველებს ამ წლებში გამოსწორებულ აღრიცხვაზე. ამ წლებისგან განსხვავებით, წინა და მომდევნო წლების სხვაობა კი მიანიშნებს დაბადებულთა არასრულ აღრიცხვაზე.




დიაგრამა 6. გარდაცვლილთა რაოდენობის დინამიკა 2000–2014 წწ.
[Tsuladze, 2015: 48]

ცოცხლად დაბადებულთა აღრიცხვისგან განსხვავებით, 2000–2014 წლებში უფრო მეტად არის დარღვეული გარდაცვლილთა აღრიცხვა, განსაკუთრებით 2004–2010 წლებში, რასაც ნათლად გვიჩვენებს დიაგრამა 6.

დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობის დინამიკიდან გამომდინარე, 2002–2014 წლებში მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ საქსტატის მონაცემებით შეადგინა 100,0 ათასი კაცი, ხოლო შეფასებით –71,4 ათასი კაცი.

როგორც დიაგრამა 7-დან ჩანს, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის კომპონენტთა აღრიცხვასთან შედარებით უფრო ცუდადაა საქმე გარე მიგრაციის აღრიცხვაში. 2002–2014 წლებში, გარე მიგრაციული სალდო, არასწორი აღრიცხვის გამო, საქსტატის მონაცემებით დადებითი იყო და 24 ათასი შეადგინა, ხოლო შეფასებით, უარყოფითი და დ 314 ათას კაცი შეადგენდა.



დიაგრამა 7. საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის სალდო 2002–2014 წწ. [წულაძე, სულაბერიძე, მაღლაფერიძე, მამარდაშვილი, 2008: 103-106; წულაძე, 2015: 317].

როგორც კვლევის მეთოდოლოგიაში აღვნიშნეთ, წვენგან (მეცნიერ-ექსპერტთაგან) განსხვავებით, საქსტატის კანონმდებლობით არ აქვს სახელმწიფო სამსახუ-

რებიდან ოფიციალურად მიღებული მიდინარე სტატიტიკური ინფორმაციის გადამოწმების, გადაანგარიშების და შეფასების უფლება. სწორედ ამის შედეგია, რომ ოფიციალურ სტატისტიკაში არ აღირიცხება სამშობიაროს გარეთ, ბინაში დაბადებულები, ხოლო გარდაცვლილთა (განსაკუთრებით ჩვილთა) შემთხვევაში – რეგისტრაციის გვერდის ავლით დაკრძალულები.

საქმე ისაა, რომ, როგორც სხვადასხვა წლების ჩვენი და გაეროს ექსპერტების გამოკვლევები გვიჩვენებს, საქართველოს მთიანეთის და ქვემო ქართლის სოფლებში ჯერ კიდევ აღინიშნება ბინაზე მშობიარობა. გარდა ამისა, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ნაწილი მშობიარობდა და მშობიარობს უცხოეთში. 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომამდე, ოსთა და ქართველთა შორის არსებული მშვიდობიანი ურთიერთობის დროს, ცხინვალის რეგიონთან მცხოვრები მოსახლეობა სამშობიაროდ გადადიოდა ცხინვალში. აღნიშნული ძირითადად გამოწვეული იყო მოსახლეობის მმიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით და საქართველში მშობიარობის სიძვირით. შესაბამისად, დაბადებულთა ეს ნაწილი არ რეგისტრირდებოდა და არ აღირიცხებოდა საქსტატის დაბადებულთა კრებით მაჩვენებდა.

გარდაცვლილთა აღრიცხვის პრობლემას ძირითადად ართულებდა და ართულებს ის, რომ საქართველოს ზოგიერთ რაიონსა და სოფელში, მიუხედავად ადგილობრივ ხელისუფალთა აღმინისტრაციული ჯარიმისა, გარდაცვლილის დაკრძალვისთვის მიწის გამოსაყოფად ხშირად არ ითხოვდნენ გარდაცვლილის რგისტრაციის მოწმობას. გარდა ამისა, თვით ოჯახი, გარდაცვლილს რეგისტრაციის გარეშე დასაფლავებისთვის, სასაფლაოზე მიწის გამოყოფის ყოველგვარი ნებართვის გარეშე ასაფლავებდა და ასაფლავებს. გარდა ამისა, ოჯახი მმიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, გარდაცვლილის პენსიის შენარჩუნების მიზნით, გარდაცვლილ პენსიონერს გვიან ან საერთოდ არ ატარებს რეგისტრაციაში და სხვ.

ზემოთ მოყვანილი მიზეზები და ბუნებრივი მოძრაობის აღრიცხვის აღმინისტრირების დაბადი დონე და კულტურა შესაბამისად ართულებს ზუსტ აღრიცხვას, რაშიც საქსტატის ვერ დავადანაშაულებთ.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისგან განსხვავებით, მიგრაციის არაზუსტი აღრიცხვა ძირითადად არასწორი მეთოდოლოგიის შედეგია. კერძოდ, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი 2012 წლიდე აღრიცხავდა მხოლოდ ვიზიტორებს და შესაბამისი სტატისტიკური ბაზების არარსებობის გამო არ ხერხდებოდა ვიზიტორთა ყოფნის ხანგრძლივობის და სხვა პარამეტრების გამოყოფა, რაც შესაძლებლობას მისცემდა საქსტატის, სწორად აღერიცხა საერთაშორისო მიგრაცია. 2012 წლიდან გარე მიგრაციის აღრიცხვის საქსტატის შემუშავებულმა ახლმა მეთოდიკამ მნიშვნელოვნად შეამცირა გარე მიგრაციის არაზუსტი აღრიცხვა და, იმედია, კიდევ უფრო გაუმჯობესდება. რაც შეეხება ქვეყნის შიგა მიგრაციას, საბჭოთა პერიოდის (თუმცა არც მაშინ იყო ზუსტი აღრიცხვა) შემდეგ საერთოდ მოიშალა, რამდენადაც მოსახლეობის ქვეყნის შიგნით გადაადგილება საერთოდ აღარ კონტროლდება და შესაბამისად არ აღირიცხება.

ცხრილი

მოსახლეობის არასრული აღრიცხვის დონე (%) პუნქტივი მოძრაობის
პომპონებრივის და გარე მიგრაციის საქსტატის მაჩვენებლებში 2002–2014 წწ.

| წლები | შობადობა | მოკვდაობა | ჩვილთა მოკვდაობა | მიგრაცია |
|-------|----------|-----------|---------------------|----------|
| 2002 | 5,1 | 4,0 | - | 23,4 |
| 2003 | 6,1 | 5,0 | 5,0 | 28,6 |
| 2004 | 5,0 | 5,8 | 5,2 | 672,7 |
| 2005 | 7,5 | 18,8 | 25,5 | 1398,5 |
| 2006 | 4,6 | 15,4 | 52,7 | 137,2 |
| 2007 | 1,5 | 18,3 | 67,7 | 27,1 |
| 2008 | 0,8 | 17,0 | 23,3 | 134,2 |
| 2009 | 1,0 | 7,7 | 37,4 | 1600,0 |
| 2010 | 1,5 | 11,0 | 85,4 | 1828,8 |
| 2011 | 4,2 | 7,3 | 70,7 | 1802,0 |
| 2012 | 10,5 | 2,8 | 68,0 | 0,0 |
| 2013 | 4,0 | 3,8 | 64,0 | 84,3 |
| 2014 | 1,6 | 10,2 | 64,3 | 86,2 |

უფასოდ ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორც ცხრილი გვიჩვენებს, მოსახლეობის ბოლო ორ აღწერათაშორის პერიოდში (2002–2014) საქსტატისა და ჩვენს შეფასებით მაჩვენებლებს შორის სხვაობიდან გამომდინარე, დაბადებულთა არაზუსტი აღრიცხვის დონე ცალკეულ წლებში დაბალი იყო (2010 წლის გარდა), ხოლო გარდაცვლილთა შემთხვევაში (2012–2013 წლების გარდა) მაღალი. მათთან შედარებით ჩვილთა მოკვდაობის არაზუსტი აღრიცხვის საქმაოდ მაღალი დონე შესამჩნევად ზრდის დაბადებისას მოსახლეობის მოსალოდნელი სიცოცხლის მაჩვენებლებს, რომელიც შეფასებით მაჩვენებლებით საქსტატისგან განსხვავებით დაბალია. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აღრიცხვისგან განსხვავებით, ფანტასტიკურად მაღალია გარე მიგრაციის არაზუსტი აღრიცხვის დონე, რაც 2005 წელს 14-ჯერ, 2009 წ. 16-ჯერ, ხოლო 2010 და 2011 წლებში 18-ჯერ აღემატებოდა რეალურ დონეს.

გასაკვირი აღარ უნდა იყოს საქსტატის და ჩვენი შეფასებით, მოსახლეობის ორ აღწერათაშორის პერიოდში 2002–2014 წწ. მოსახლეობის ყოველწლიურ რაოდენობას შორის სხვაობა. დიაგრამა 4-ის შესაბამისად, 2015 წლის 1 იანვრისთვის საქართველოს მოსახლეობა უნდა ყოფილიყო 4496 ათასი კაცი (გაეროს მონაცემით 4 მილიონი კაცი). 2014 წლის 5 ნოემბრის მოსახლეობის აღწერის შედეგად კი დაფიქსირდა 3730 ათასი კაცი, ანუ 766 ათასი კაცით (17%-ით) ნაბლები. ამ თვალსაზრისით ბევრად უფრო ზუსტი აღმოჩნდა ექსპერტული შეფასებით გაანგარიშებული მაჩვენებლები, რომლის თანახმადაც, 2015 წლის 1 იანვრისთვის მოსახლეობის რაოდენობა პროგნოზით უნდა ყოფილიყო 3758 ათასი კაცი და რეალურად 3756 ათასი შეადგინა. განსხვავება მხოლოდ 2000 კაცია (0,1%).

საქსტატის 2002–2014 წლების მოსახლეობის აღწერათაშორისი პერიოდის თუნდაც ერთი, 2014 წლის დემოგრაფიულ მონაცემთა გადაანგარიშება იძლევა მნიშვნელოვან ცვლილებებს. თუ საქსტატის შობადობის მაჩვენებელი 2013 წელს შეადგენდა 12,9 პ-ს (პრომილე დ 1000 კაცზე გაანგარიშებით), 2014 წელს მან 16,3 შეადგინა, ნაცვლად 13,5 პ-ს. ასევე მოკვდაობის მაჩვენებელთა შემთხვევაშიც. თუ

საქსტატის 2013 წელს მოკვდაობის მაჩვენებელი შეადგენდა 12,9პ-ს, 2014 წელს მან 13,2პ შეადგინა, ნაცვლად 10,9პ-სა. სხვაობა 2,3პ საკმარი დიდია.

ამ ასპექტით, საინტერესოა მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებლები დაბადებისას. თუ ეს მაჩვენებელი საქსტატის მონაცემით ორივე სქესისთვის 2013 წელს შეადგენდა 75,2 წელს, 2014 წლის გადაანგარიშებით იგი შეადგენს 72,9 წელს, ანუ 2,3 წლით ნაკლებს. ამასთან, ერთ წელი წადგმი, მამაკაცებისთვის იგი შეცირდა 2,1 წლით და შეადგინა 68,7 წელი, ხოლო ქალებისთვის გაიზარდა 2,2 წლით და შეადგენს 77,2 წელს.

დასკვნა

ამდენად, მოსახლეობის 2014 წლის აღწერამ დაადასტურა არაზუსტი აღრიცხვის პირობებში მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვის არასაიმედობა. შესაბამისად, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მასზე დაფუძნებული პროგნოზებიც მცდარია. ამიტომ, დემოგრაფიული პროგნოზირებისას სასურველია, თუ მიზანშეწონილი არა, ექსპერტული შეფასებით აღტერნატიული პროგნოზების გაანგარიშებაც ლოკალურ დონეზე. მაგალითად, რამდენადაც საქართველოს მოსახლეობის რაოდენობაზე შესრულებული სხვადასხვა პროგნოზი ემყარება ოფიციალური სტატისტიკის არასწორ დემოგრაფიულ მაჩვენებლებს, ამიტომ მისგან განსხვავებით, ქართველ ექსპერტთა შეფასებითი მაჩვენებლებით 2015 წლისთვის შესრულებული მოსახლეობის რაოდენობის პროგნოზი ბევრად ახლოსაა 2014 წლის მოსახლეობის აღწერით დაფიქსირებულ რაოდენობასთან (3713,8 ათასი კაცი). კერძოდ, 2015 წლისთვის სხვადასხვა პროგნოზით (საშუალო გარიანტი) საქართველოს მოსახლეობა უნდა ყოფილიყო: გაეროს პროგნოზით დ 4225 ათასი კაცი, მსოფლიო ბანკის დ 4078 ათასი, აშშ მოსახლეობის აღწერის ბიუროს დ 4525 ათასი, ხოლო გ. წულაძის მიერ შეფასებითი მონაცემებით გაანგარიშებული პროგნოზით დ 3905 ათასი კაცი [წულაძე, 2013: 35].

გამოყენებული ლიტერატურა

1. გომელაური ნ., 2014, ოჯახის ალტერნატიული ფორმები და რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობა. კრებული: “დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები”. თბილისი, გვ. 76-87.
2. საქართველოს მოსახლეობა, 2003, სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი. გვ.67 .
3. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული აღწერის შედეგები, 2003, ნაწ. 1, საქსტატი. თბილისი.
4. სულაბერიძე ა., 2007, ფიქრები ქართულ ოჯახზე და დემოგრაფიაზე. თბილისი.
5. წულაძე გ., სულაბერიძე ა., მაღლაფერიძე ნ., მამარდაშვილი გ., 2008. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუშინ, დღეს, ხვალ. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
6. წულაძე გ., 2011, მსოფლიოს დემოგრაფიული განვითარება (1950–2050) ტ. II. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ. 589-592.
7. წულაძე გ., 2013, საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები: 2015–2030 წწ. თბილისი.

8. Anderson B.A., Katus K., and Silver B.D., 1994, Developments and Prospects for Population Statistics in Countries of the Former Soviet Union. *Population Index* 60(1): 4-20. Doi: 10.2307/3645322.
9. Anderson B.A. and Silver B.D., 1986, Infant mortality in the Soviet Union: Regional differences and measurement issues. *Population and Development Review* 12(4): 705-738. Doi: 10.2307/19734332.
10. Anderson B.A. and Silver B.D., 1989, The Changing Shape of Soviet Mortality, 1958-1985: An Evaluation of Old and New Evidence. *Population Studies* 43(2): 243-265. Doi: 10.1080/0032472031000144106.
11. <http://esa.un.org>; <http://web.worldbank.org>; www.census.gov; World Population Prospects: The 2010 Revision; <http://esa.un.org/unpd/wpp/index.htm>
12. Population Situation Analysis (PSA). Georgia <http://www.demographic-research.org/Volumes/Vol22/23>
13. Sulaberidze A., 2008, *Distored migration terms: cui bono?* The Caucasus Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. V. 2. Issue 1. Sweden. p. 82.
14. Tsuladze G., Maglaperidze N., 2001, *Population Prospects of Georgia*. Tbilisi: RTI Project.
15. Tsuladze G., Maglaperidze N., Vadachkoria A., 2002, *Demographic Yearbook of Georgia 2001*. Tbilisi. Scientific Publishing Centre. GCL.
16. Tsuladze G., Maglaperidze N., Vadachkoria A., 2003, *Population Prospects of Georgia*. 2003 Revision. UNFPA, Tbilisi.
17. Tsiklauri Sh. & Sulaberidze A.V., 2013, Qualitative and methodological aspects of population projections in Georgia. Georgian Population Prospects: 1950-2050. EUROSTAT international symposium “Demographic projections”. Rome. Italy. <http://www.unece.org/fileadmin/DAM/Stats/documents/ece/ge.11./2013/wp7.1.pdf>
18. United Nations, 2013, World Population Prospects: the 2012 Revision. New York, United Nations Population Division, UNDESA.

Avtandil Sulaberidze

*Director of Institute of Demography and Sociology
Ilia State University, Professor, Doctor of economic sciences*

Giorgi Tsuladze

*Researcher of Institute of Demography and Sociology
Ilia State University, Professor, Doctor of historical sciences*

Vladimer Sulaberidze

*Researcher of Institute of Demography and Sociology
Ilia State University, Doctor of Economics*

Nino Gomelauri

*Associate researcher of Institute of Demography
and Sociology Ilia State University*

APPLICATION OF COMPARATIVE ANALYSIS OF OFFICIAL POLLS AND EXPERT ESTIMATIONS OF INDICATORS IN DEMOGRAPHIC PROJECTIONS

Summary

Projections are generally based on official demographic polls of national statistics. The projections (especially in developing countries) that are based on inexact statistical information of expected natural movement and migration of the population have often some inaccuracies.

In this regard, we argue that it is preferably to have an evidence based expert assessment as an alternative measure to the official census while doing projections.

Considering the example of Georgian census 2014, it can be said that expert assessments were more accurate. This means that in case of inexact projections, comparative analysis of official statistics and experts assessments will ensure enhanced and more accurate projections.

Key words: demographic statistic, evaluative data, birth rate, mortality rate, indicator of migration.

Introduction

During review of current demographic processes in Georgia, besides analysis of official statistical data, the evaluation method is used, which often differs from official statistical data. The official statistical data analysis leads to the conclusion that the demo-statistical data do not always reflect the real situation, since cases of demographic reports was not and is not fully conducted.

In addition, the analysis revealed that the inaccurate registration of demographic reports, does not constitute the phenomenon of relatively new, post-soviet period. It existed in post-soviet times and within possibility, inaccurate demographic registrations were identified since 1960 [Anderson, Katus, Silver 1994: 10-11; Anderson, Silver 1986: 712].

Inaccurate registration of demographic reports were characteristic of previous period, thus the problem of inaccurate demo-statistical registration will be discussed since 1960.

Problems of inaccurate registration generally is and was related to registration of death, however, in some period, an inaccurate registration also affected birth registration, but international migration in terms of accounting is in the worst condition.

Thus in this paper, differences between official and comparative analysis of demographic processes since 1960 year are presented.

Methodology of research

Accuracy of number of population and age composition is mainly depended on current complete registration of birth, death and international migration.

In 1990, known political, social, economic and public events caused deterioration of registration of demographic data and migration, as a result it made difficult to determine population age-sex structure and number of population. Based on the above with official statistics appeared unofficial statistics, in the scientific calculations, the data significantly differs from indicators and data of Georgian National statistics office.

During evaluation of demo-statistic data, based on the development of appropriate models for the moment, there was used demographic, epidemiological and migratory transition theories, Cole indexes. UN experts, foreign and Georgian Scientists calculations, determinant analysis of affecting factors of demographic processes, as well as some of the traces of the Institute of Demography and sociology demo-sociological studies and etc. [Tsiklauri, Sulaberidze, 2013: 7; *World Population Prospects: the 2012 Revision*: 2013].

Unlike us, National statistics office, do not have a right to recalculate and assess current official statistical information given by official offices. Because of this, National Statistics Offices gives collective data of the information provided by official offices which inaccurately shows demographic situation.

Difference between official and estimated demo-static data

Based on proper analysis we estimated that number of population counted during population census made in 1970 as well as In 1979, 1989, 2002 and 2014 does not fit number of population of natural movement and emigration between periods of census [Tsuladze, Sulaberidze, Maglaperidze, Mamardashvili, 2008: 114-131]. The scale of the study period, and the quantity of the article, in order to highlight the issue, consider two periods from 1960 to 2000 and since 2000.

a) 1960-2000

Reason of the Difference the number of population calculated by National center of statistic and by us, is inaccurate registration of natural movement and migration. According to UN experts, in 1960-1965 years 20 thousand dead person remained unrecorded, while part of the inaccurate registration was 40%. The latter was quite high, but lower than indicators of former soviet republics of Central Asia.

As UN experts, as well as our evaluation shows that during discussed period (1960-2000 years) there was an incomplete registration of deaths. According to UN experts, incomplete registration of deaths was higher than our estimations showed. In 1960-1990 years incomplete registration of death in Georgia in overall was: according to UN expert estimation – 125 thousand (15.4%), according to our estimations – 165 thousand (12.2%).

In 1990 years, Statistical agencies (as well as many other agencies) meet unprepared to political, social-economic and public changes, which caused deterioration of statistical registration of death as well as other demographic reports. In 1990 years level of incomplete registration of death increased compared to 1980 and 1970 years.

It is remarkable that, results of population registration in 2002, caused recalculation of demographic indicators of periods between census (1989 and 2002 years), among this recalculation of number of death.

National center of statistic's data of number of death was different before and after recalculation. Their recalculated data about number of death, despite of some differences, is similar to our estimated data. According to data before recalculation, in 1990-2000 years, in

Georgia died 460,9 thousand person, and according to recalculated data died – 552,6 thousand. At this time, according to our estimated data, died 560,2 thousand.

Estimated analysis of death rate data of 1960-2000 years, in contrast to the data of the same time of national statistic center, gives the reason to understand newly, as the evolution of life expectancy, as well as the general demographic transition in Georgia [Anderson, Katus, Silver 1994: 10-11; Anderson, Silver 1986: 712].

Georgia is among the countries, in which international migration plays an important role in the formation of the population. The point is that the emigration since 1960 is characterized by a negative balance.

Unlike to National Statistic Center data, estimated data for the period of 1960-2000 years, as a result of emigration, the population of Georgia reduced by more than 1404 thousand person.

The most important for Georgian was 1990 years, when according to different estimated data, as a result of international migration of population is much more damaged, rather than the previous 30-year period.

According to estimated data in 1990-2000 years, as a result of negative balance of emigration, Georgia has suffered a 19% loss of population of 1989 year, this means that almost every fifth person has left the country.

Thus, we can make the conclusion that over the 1960-2000 period, official data on the number of population, including the census, was inaccurate and unreliable. During Population census, the total population was excessive (except 1979 year).

Foresee of incomplete accounting of the dead and out-migration of total population, in 1960-2000 years, according to our estimates, is different from the number of population of Georgian, which is provided by National statistic center of Georgia(before recalculation).

The figure below gives a clear picture 1.




Figure 1. Number of population according to Geostat and our estimations (thousand) 1960-2000 [Tsuladze... 2008: 7-15]

As we can see, difference between our estimations of number of population and national statistic centers estimation increases since 1960 year. In 1970 year his difference was 107 thousand, in 1980 year – 157 thousand, in 1990 year – 236 thousand, and in 2000 – 1028 thousand. So, according to our estimation number of population of Georgian in 1960-2000 years was always less, compared to data of department of statistics. With this, according to our

estimations, since 1992 year number of population of Georgia decreases, while according to department of statistic there is an increase of number of population in Georgia.

The figure 1 clearly shows that in 1960-1991 years in Georgia, although a variety of size, but the population growth has taken place, which since 1992 has changed the decrease. Number of population of Georgia in 1960-1991 years increased by 1099 thousand, and in 1992-2000 years decreased by 882 thousand. In total population increase natural and mechanical movement (migration) had different part (see figure 2).




Figure 2. Components of increase (decrease) of population in Georgia 1960-2000 years. (Thousands) Net-migration: 1960-1989 (Geostat); 1990-2000 (our estimation); Natural increase-our estimated data [Tsuladze... 2008: 61-68; Tsuladze, 2015: 47-48, 317; Population of Georgia. Statistical collection, 2003: 67].

During discussed period of time even though there was reduction of natural increase and it reduced to zero point, its' importance was positive while balance of emigration was negative.

Before 1992 year balance of natural increase was higher compared to negative net-migration, this was the reason of general increase in population of Georgia. From 1992 year, On the one hand, the sharp decline in natural growth, and on the other hand, increase of out-migration, in the following years led to a significant decrease of the population.

Thus, the main component of quantitative formation of population of Georgia was natural growth in 1960-1991 years, and international migration in 1991-2000 years.

b) 2000-2014

When we are discussing 2000 years, first of all remarkable is population census made in 2002 year. Its results are evaluated differently by specialists.

First of all this critical attitude is based on census papers of immigrants, which did not work or worked bad. For example, the 2002 census shows that the number of emigrants from Georgia is 113.7 thousand [First National Census Results of Georgian Population in 2002, 2003:]. The same time the Department of Statistics estimated the negative net-migration, for the period of time before and after census, was approximately 930 thousand [Population of Georgia. Statistical collection, 2003: 67].

2002 census results show that the permanent population was 4371,5 thousand, while the actual population was 4355,7 thousand, difference between them was 15,8 thousand.




Figure 3. Change of population of Georgia 2000-2014 (1st January). [Tsuladze... 2008: 68-69; Tsuladze, 2015: 17]

Figure shows, that in 2002, number of evaluated population was 370.5 thousand compared to constant population. In 2003-2014 this difference was growing and for 1st January of 2014 year it reached 729.8 thousand, i.e. 16.3%. At the same time, the population is 4 million according to the data of the National Statistics Office and from 2008 year it is characterized by tendency of growth. In contrast, the evaluation data from 2002 it is below 4 million and has a reduction tendency. From two components of formation, in case of Geostat net-migration does not have any negative role, in contrast, according to data evaluation, key factor of change in number of population, mostly is international migration, which is clearly shown by the figure 4.




Figure 4. Total population increase (decrease) components in Georgia 2001-2014. (Thousand) [Tsuladze, 2015: 47-48, 317]

Reason of such contrasting difference between National Statistic office and evaluative indicators is problem of demo-statistic census of population. it is reasonable to compare and analyze separately, as components of natural increase, number of death and birth, as well as migration balance according to our and National Statistic office indicators.




Figure 5. The dynamics of the number of birth in 2000-2014 [Tsuladze, 2015: 48]

This figure 5 shows that, in 2007-2009 years, according to National Statistic Office and our estimation number of birth is similar, which demonstrates improvement of registration system during these years. In contrast to these years, difference in previous and following years demonstrates the incomplete registration of birth.




Figure 6. The dynamics of the number of deaths in 2000-2014 [Tsuladze, 2015: 48]

Unlike the recording of live births, in the period 2000-2014 accounting of death is more violated, particularly in the years 2004-2010, which is clearly shown in figure 6.

From dynamics of birth and death, in 2002-2014 natural growth data according to National Statistic Office was 100,000 person, while estimations showed that it was 71.4 thousand person.

As figure 7 shows, compared to accounting of population natural movement components, accounting of international migration is in rather bad situation. in 2002-2014 years, net-migration, because of incorrect accounting, according to national Statistic office data was positive and it was 24 thousand, while according to estimations it was negative and its was -314 thousand person.




Figure 7. Net-migration of population of Georgia in 2002-2014 years [Tsuladze... 2008: 103-106; Tsuladze, 2015: 317]

As we mentioned in methodology of research, National Statistic Office is not legally entitled to make verification of current statistical information obtained officially from state offices. As a result, in official statistics, children born outside the maternity hospital, in apartments, and in case of death (especially in infants) funerals of bypassing registration are not recorded.

The point is that, as our and UN experts researches of different years show, in Georgia, especially in the mountains and in villages of Kvemo Kartli home deliveries are still frequent. In addition part of the Azerbaijanis living in Georgia are giving birth in Azerbaijan. Before Georgia-Russia war in 2008, during peaceful relationship between Ossetians and Georgians, population living near Tskhinvali region were going to Tskhinvali for childbirth. This was mainly due to the difficult socio-economic situation in Georgia and expensive childbirth in Georgia. This part is not registered and therefore not recorded in the National Statistic Office indicators of collective birth rate.

Problem of death accounting is complicated by the fact that some of the villages and regions often don't ask the certificate of death registration for the burial ground. In addition, because of socio-economic conditions of family, in order to maintain pension of deceased, sometimes families don't make registration of death or makes registration of death lately or etc.

Unlike to natural movement of the population, mainly reason of the inaccurate accounting of migration is wrong methodology. In particular, Border Defense Department registered only visitors, and because of lack of the statistical bases it was not possible to separate duration and other parameters, which would allow National Statistical office to account international migration properly. From 2012 year new methodology of international migration accounting developed by National Statistic Office significantly reduced inaccurate accounting of emigration and we hope it will improve. As for internal migration, generally collapsed after the Soviet period, movement of population much inside the country is no longer controlled and therefore no longer enrolled.

Table the level of incomplete accounting of population (%) in components of natural movement and in international migration indicators of National Statistic Office in 2002-2014

| | Live births | Death | Infant mortality | Net-migration |
|------|-------------|-------|------------------|---------------|
| 2002 | 5,1 | 4,0 | - | 23,4 |
| 2003 | 6,1 | 5,0 | 5,0 | 28,6 |
| 2004 | 5,0 | 5,8 | 5,2 | 672,7 |
| 2005 | 7,5 | 18,8 | 25,5 | 1398,5 |
| 2006 | 4,6 | 15,4 | 52,7 | 137,2 |
| 2007 | 1,5 | 18,3 | 67,7 | 27,1 |
| 2008 | 0,8 | 17,0 | 23,3 | 134,2 |
| 2009 | 1,0 | 7,7 | 37,4 | 1600,0 |
| 2010 | 1,5 | 11,0 | 85,4 | 1828,8 |
| 2011 | 4,2 | 7,3 | 70,7 | 1802,0 |
| 2012 | 10,5 | 2,8 | 68,0 | 0,0 |
| 2013 | 4,0 | 3,8 | 64,0 | 84,3 |
| 2014 | 1,6 | 10,2 | 64,3 | 86,2 |

Based on the above, as table shows, during last 2 period between censuses, according to differences between National Statistic Office and our estimations, level of inaccurate registration of birth was lower (2010) in some years, while in case of deceased persons it was high (except 2012). Compared to them, quite high level of inaccurate accounting of infant mortality level, significantly increases, expected life of population in time of birth, which, according to evaluation index, in contrast to National Statistic Office index, is lower. unlike to accounting of natural movement of population, inaccurate accounting level of emigration is very high, which in 2005,14 times, 16 times in 2009, 2010 and 2011 and 18 times higher than the actual level.

Difference between our and National Statistic Office estimations of annual difference between the number of population is not surprise anymore between two period between censuses of 2002-2014 years. According to figure 4, population of Georgia for 1st January of 2015 year must have been 4496 thousand person, but 2014 census showed that population was 3730 thousand, 766 thousand less (-17%). In this regard, the experts' estimations indicators were much more accurate, which states that by January 1, 2015 the population is projected to be 3768 persons and actually amounted 3756. Difference is only 2000 person (0,1%).

National Statistic offices', period between censuses 2002-2014, even one, restated demographic data of 2014 year gives significant changes. If According to the National Statistic office's 2013 birth rate was 12,9‰ and 16.3‰ respectively in 2014, instead of the 13,5‰. It is same in case of death rate. If according to National Statistic office in 2013 death rate was 12,9‰, in 2014 it was 13.2‰ instead of 10.9‰. Difference 2.3‰ is quite high.

In this aspect, indicators of life expectancy at birth is interesting. II these indicators according to National Statistic office data for both sex in 2013 was 75,2 year, in 2014 calculations it is 72,9 year, 2,3 years less. With this, in one year, for men it reduced by 2,1 year and it was 68,7 year, and for women it reduced by 2,2 year and it is 77,2 year.

Conclusion

Thus, the 2014 census confirmed in conditions of inaccurate accounting unreliability of official statistics. Because of this based projections are wrong. Therefore, while predicting the demographic projections, it is desirable, if not feasible, the calculation of expert estimations of alternative projections on the local level. For example, as the population of the various points of the forecast is based on official statistics in the wrong demographic features, so unlike the Georgian experts (G. Tsuladze) in estimations rates for 2015 the forecast is much closer to the recorded number of 2014 population census. in particular for 2015 year population of Georgian according to UN projections must have been – 4225 thousand, World Bank – 4078 thousand, Bureau of USA population census – 4525 thousand, and according to G. Tsuladze estimations projections 3905 thousand, which is much more closer to the actual indicator of number of population [Tsuladze, 2013: 35].

References

1. Anderson B.A., Katus K., and Silver B.D., 1994, Developments and Prospects for Population Statistics in Countries of the Former Soviet Union. *Population Index* 60(1): 4-20. Doi: 10.2307/3645322.
2. Anderson B.A. & Silver B.D., 1986, Infant mortality in the Soviet Union: Regional differences and measurement issues. *Population and Developments Review* 12(4): 705-738. Doi: 10.2307/19734332.
3. Anderson B.A. & Silver B.D., 1989, The Changing Shape of Soviet Mortality, 1958-1985: An Evaluation of Old and New Evidence. *Population Studies* 43(2): 243-265. Doi: 10.1080/0032472031000144106.
4. Geostat, 2003, *First National Census Results of Georgian Population in 2002, part 1*: Tbilisi, Georgia.
5. Demo-sociologic research materials of Institute Of Demography and Sociology of Ilia State University. 2014.
6. First National Census Results of Georgian Population in 2002, part 1: Tbilisi, Georgia.
7. <http://esa.un.org>; <http://web.worldbank.org>; www.census.gov; [World Population Prospects: The 2010 Revision](http://esa.un.org/unpd/wpp/index.htm); <http://esa.un.org/unpd/wpp/index.htm>
8. Gomelauri N., 2014, Alternative forms of family and out-of-wedlock births. Problems of demography and sociology. Collection. Tbilisi, pp. 76-87.
9. Population of Georgia, 2003, Statistical collection. Department of Statistics in Georgia. Tbilisi, pg. 67.
10. Sulaberidze A., 2008, Distorted Migration Terms: Cui Bono? *Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of Strategic Studies of the Caucasus. The Caucasus Globalization*. Volume 2. Issue 1. CA&CC Press. Sweden. p. 82.
11. Tsiklauri Sh. & Sulaberidze A.V., 2013, Qualitative and methodological aspects of population projections in Georgia. *Georgian Population Prospects: 1950-2050*. EUROSTAT international symposium “Demographic projections”. Rome. Italy. <http://www.unece.org/fileadmin/DAM/Stats/documents/ece/ge.11./2013/wp7.1.pdf>
12. Tsuladze G., Sulaberidze A., Maglaperidze N. & Mamardashvili G., 2008, Demographic Development of Georgia: Yesterday, Today, Tomorrow. Tbilisi.
13. Tsuladze G., 2015, Demographic Yearbook of Georgia 2014. UNFPA. Tbilisi,
14. Population Situation Analysis (PSA). Georgia <http://www.demographic-research.org/Volumes/Vol22/23>
15. Tsuladze G., 2013, Demographic perspectives of Georgia. Tbilisi, pg. 35.
16. United Nations, 2013, *World Population Prospects: the 2012 Revision*. New York, United Nations Population Division, UNDESA.

მაკროეკონომიკა
MACROECONOMICS

გიგი ლემონჯაგა
საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესიონალი

მონებარული პოლიტიკის როლი და ამოცანები

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია მონებარული პოლიტიკის როლი და ამოცანები, ამ პოლიტიკის კომპონენტები და დანერგვის მექანიზმები. სტატიაში გაანალიზებულია მონებარული პოლიტიკის განვითარების ტენდენციები და მიზნობრივი ინფლაციაზე ფოკუსირებული მონებარული პოლიტიკის კონფიგურაცია.

საკუთანო სიტყვები: მონებარული პოლიტიკა, მთხოვთივი ინფლაცია, გალუბის გაცემითი კურსი, მონებარული აგრეგატები, ცენტრალური ბანკი

შესავალი

ეკონომიკურ ზრდას და სტაბილურობას განაპირობებს კერძო სექტორი და თავისუფალი ბაზარი, მაგრამ ამ საქმეში სამთავრობო პოლიტიკების როლიც საკმაოდ დიდია. პოლიტიკები ქმნიან გარემოს, სადაც ბიზნესს უწევს ფუნქციონირება. ამ გარემოს ხარისხზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარნომიკური განვითარების პერსპექტივები. ამ პოლიტიკებს შორის არის მონებარული პოლიტიკა, რომელსაც ქმნის და ახორციელებს ქვეყნის ცენტრალური ბანკი. ეკონომიკაზე გავლენის თვალსაზრისით, მთავრობის სხვა პოლიტიკებს შორის მონებარული პოლიტიკა არის ყველაზე ქმედითი ინსტრუმენტი, რომელიც სწრაფად კორექტირდება მაკროეკონომიკური სიტუაციის მოსალოდნელი ცვლილების საპასუხოდ და დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე.

საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მიაჩნდათ, რომ ინფლაციასა და დასაქმებას შორის არსებობდა გრძელვადიანი არჩევანი. ამ შეხედულების თანახმად, ექსპანსიური მონებარული პოლიტიკით შესაძლებელი იყო უმუშევრობის დაბალი დონის მიღწევა, ხოლო შემზღვდავი მონებარული პოლიტიკით – დაბალი ინფლაციის, რა თქმა უნდა, უმუშევრობის ზრდის ხარჯზე. მონებარული პოლიტიკების, რომელებიც ეფუძნებოდნენ ამ შეხედულებას, შედეგი იყო ხანგრძლივი ინფლაცია. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამორჩეული იყო 70 – 80 –იანი წლები [Blinder A., 1982; Dewald W., 1998]. ამ პერიოდში, ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ეკონომიკურად განვითარებულებშიც, ინფლაციამ ორნიშნა ნიშნულს მიაღწია. ამ გაჭიანურებული ინფლაციის ერთი დადებითი შედეგი პქონდა - გაცნობიერდა ინფლაციით ზარალი. ეკონომისტებმა თავიანთ კვლევებში ცხადად წარმოაჩინეს ინფლაციის არსი, მისი მიზეზები და შედეგები [Horwitz S., 2003]. თეორიულის პარალელურად განხორციელებულმა ემპირიულმა კვლევებმა ნათლად წარმოჩნდა დაბალი, სტაბილური ინფლაციის მნიშვნელობა ეკონომიკაში. ამ გამოცდილების შედეგი იყო ისტ, რომ ინფლაციის ზარალის აღიარება თითქმის საყოველოთაო გახდა[Dowd K., 1994].

გარაუდი იმის შესახებ, რომ ინფლაციის რაღაც დონეზე, სრული დასაქმება იყო შესაძლებელი, ეფუძნებოდა ფილიფსის მრუდს. მილტონ ფრიდმენია დაამტკიცა ფილიფსის მრუდის არასამართლიანობა გრძელვადიან პერიოდში [Phelan J. 2012]. გრძელვადიან ინფლაციური პოლიტიკას არ შექმდო

უმუშევრობის დონის შემცირება, რადგან გრძელვადიანი ფილიფსის მრუდი ეპრტიკალური იყო. ასე რომ, სრული დასაქმების პირობებში, ინფლაციის შედეგი ვერ იქნებოდა ეკონომიკური აქტივობის რეალური ზრდა.

პირველად მიღმონ ფრიდმენმა აგრეთვე აჩვენა, რომ ყველგან და ერველთვის ინფლაცია იყო მონეტარული ფენომენი [Friedman M., 1994], ხოლო შემდეგ ამას დაეთანხმა თითქმის ყველა მიმდინარეობის ეკონომისტი. თავდაპირველად, ეს გაგებული იქნა, როგორც ფულის მასის ზრდის პირდაპირი შედეგი და, შესაბამისად, მონეტარული პოლიტიკა გახდა ორიენტირებული ფულის მასის ზრდის მიზანზე. მაგრამ, მალე ცხადი გახდა, რომ ამ თრცვლადს შორის არ იყო საკმარისად მჭიდრო კავშირი, და რაც იყო, ისიც სუსტდებოდა ახლი ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვის კვალობაზე. ამ მიზანის გამო, რამდენიმე ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა დაიწყო ინფლაციის მიზანზე ფოკუსირებული მონეტარული პოლიტიკების დანერგვა [Benanke B.S., Laubach T., Mishkin F.S., Posen A.S., 1999]. ამ საქმეში ლიდერი იყო ახალი ზელანდია.

გაცვლითი კურსი მონეტარულ პოლიტიკაში

მარტივად რომ ვთქვათ, გაცვლითი კურსი არის ერთი მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივის ფასი. ამდენად, ცენტრალური ბანკი, თუნდაც ინფლაციის მიზანზე ფოკუსირებული, ვერ გაექცევა გაცვლით კურსზე პასუხისმგებლობას, რადგან ვალუტის მეცნიერებისას, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, შეუძლია გამოიწვიოს ინფლაცია და ფინანსური კრიზისი. გარკვეული პირობებში კი, ეროვნული ვალუტის გაუფასეურებას შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს ინფლაციაზე, რომლის სიძლიერე და ხანგრძლიობა დამოკიდებულია ეროვნული ეკონომიკის მოქნილობის უნარზე – რამდენად სწრაფად და ეფექტურად შეუძლია იმპორტის ჩანაცვლება აღგილობრივი წარმოებით. თუმცა, გასათვალიწინებელია ის ფაქტიც, რომ ცენტრალურ ბანკის ხელთ არსებული საშუალებებით შეუძლებელია სავალუტო კურსის დიდხანს “დაჭრა”ფიქსირებულ დონეზე.

ცენტრალურ ბანკს შეუძლია და უნდა მოახერხოს სავალუტო კუსის “ჰარბი” მოკლევადიანი ფლუქუტაციის შერბილება. მაგრამ, არც ეს არ არის ადვილი საქმე. ამიტომ, მიზნობრივ ინფლაციაზე ორიენტირებულ მონეტარული პოლიტიკის ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევად რჩება სავალუტო კურსის პოლიტიკა. ამ პოლიტიკამ უნდა უპასუხოს შემდეგ კითხვებს: (1) როგორი უნდა იყოს ვალუტის კურსი? – ფიქსირებული თუ თავისუფალი; (2) რამდენია სავალუტო კუსის ჰარბი” ფლუქუტაცია? და (2) როგორ უნდა მოხდეს სავალუტო კუსის “დაჭრა” სტაბილურობის რაღაც დიაპაზონში?

საქმეს ართულებს ისიც, რომ შიდა შოკებობან ერთად, ვალუტის კურსზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია გარე შოკებაც, რომლებიც ერთობლივად აუარსებენ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. ქვეყნის სავალუტო შემოსავლებზე უარყოფითად აისახება აგრეთვე საინვესტიციო გარეშოს გაუარესება და საგარეო ვალებთან დაკავშირებული გადახდების ზრდა. ამის შედეგი იქნება ქვეყნის სავალუტო რეზერვების შემცირება, რაც ამცირებს ცენტრალური ბანკის შესაძლებლობას შეარბილოს ვალუტის გაცვლითი კურსის “ჰარბი” ფლუქუტაცია. ასე რომ, ცენტრალური ბანკის სავალუტო კურსის პოლიტიკა უნდა იყოს ძალიან ფრთხილი და მიზანად უნდა ისახავდეს მხოლოდ სავალუტო კურსის მოკლევადიანი რეევების შერბილებას. ფრთხილს და გონივრულს ვერ უწოდებთ ფიქსირებული სავალუტო რეჟიმის პოლიტიკას, რადგან განუზომლად ზრდის ქვეყნის ეკონომიკურ კოლაფსის რისკს. ფინანსური და

ეკონომიკური კრიზისებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ლათინური აშერიკის ძალებში, ცხადად აჩვენა ფიქსირებული კურსის არაეფექტურობა და ქმყნების უმრავლესობა გადავიდა გაცვლის თავისუფალ სავალუტო რეემბზე.

მართალია, თავისუფალი გაცვლითი კურსის რეემს აქვს გაუფასურების რისკი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი სხვა უპირატესობები ამართლებენ ამ რისკის ადგებას. როცა სავალუტო კურსი არ არის შეზღუდული დროულად და სრულად ასახოს გარემო პირობების ცვლილება, ის უფექტურად რეაგირებს ამ ცვლილებებზე და დროულად აწვდის ბაზარს სწორ გზავნილებს.

მონეტარული აგრეგატების მიზნობრიობა

თანდათან ცხადი ხდებოდა, რომ მონეტარული პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო ფასების სტაბილურობა. მონეტარული პოლიტიკის რაცვლილებებით შეიძლებოდა ამის მიღწევა? ზემოქმედების ასეთ მექანიზმებად თავიდან განიხილებოდა ფულადი აგრეგატი: M1 ან M2. ამ შემთხვევაში, პოლიტიკის ამოცანა იყო ფულის მასის ზრდის მიზნობრივი განაკვეთის გამოცხადება და რეგულირება. შემდეგ კი, ფულის მასის ზრდის ფაქტების ამსახველ ანგარიშებს ნათელი უნდა მოეფინათ ინფლაციის კონტროლის მდგომარეობაზე. ფულადი მასის ცვლილება უნდა ყოფილიყო სიგნალი, რომლის მიზანი იქნებოდა არაინფლაციური მოლოდინების ფიქსაცია. მონეტარული პოლიტიკის ამ ცვლილების შედეგი ისიც იყო, რომ, გარდა ინფლაციის რეალური განაკვეთის შემცირებისა, იყო ისიც, რომ მონეტარული პოლიტიკაზე და მის შედეგებზე პასუხისმგებლობა სრულად აკუმულირდა ცენტრალური ბანკში.

ამგვარი მონეტარული პოლიტიკა დამაჯერებებული და საიმედო რომ ყოფილიყო, ამისთვის საჭირო იყო, რომ მის მიზნობრივ ცვლადებსა და ფულად აგრეგატებს შორის კავშირი სტატისტიკურად არსებითი ყოფილიყო. ზოგადად, სხვა თანაბარ პირობებში, ფულის მასის ზრდას უნდა გამოეწვია ფასების ზრდა. მაგრამ, პრაქტიკაში “თანაბარი პირობები” ძალიან ცვალებადია, ამიტომ ფულადი აგრეგატების ცვალებადობა ყოველთვის არ არის ინფლაციის განაკვეთისა და მისი ვოლატილობის კარგი ამსახველი. შესაძლებელი იყო მონეტარული აგრეგატი ყოფილიყო მიზნობრივ დონეზე, ხოლო პოლიტიკის მიზნობრივი ცვლადი მიზნობრივ დონეს აცდენილი, რაც ცენტრალური ბანკის მონეტარული მდგომარეობის ამსახველ სიგნალს გახდიდა არაადეკვატურს და გამოიწვევდა მონეტარული პოლიტიკის მიმართ ნდობის დაკარგვას.

რაოდენობრივმა ანალიზებმა და შეფასებებმა აჩვენა, რომ ფულად აგრეგატებსა და ინფლაციას შორის არ იყო ძლიერი კავშირი. ეს კავშირი შედარებით უფრო სუსტი აღმოჩნდა განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ძევებში [Estrella and Mishkin F., 1997]. ამის მიზეზია ამგვარი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ფულზე მოთხოვნის არასტაბილურობა. ამ შემთხვევაში, მონეტარული პოლიტიკის მიზნად ფულადი აგრეგატის დეკლარირება არ იყო გამართლებული, რადგან შეუძლებელი იყო ფასების პროგნოზირება ფულის მიწოდების ცვლადის საფუძველზე. ეს იყო ის მიზეზი, რამაც ცენტრალურ ბანკებს გადააწყვეტინა უარი ეთქვა ფულადი აგრეგატების მიზნობრივ მონეტარულ პოლიტიკაზე.

ფულის მიწოდებასა და ინფლაციას შორის კავშირის არასტაბილურობას კარგად აღწერს შვეიცარიის გამოცდილება, 1989 – 1992 [Mishkin F.S., 2007]. შვეიცარის ცენტრალურმა ბანკმა შეძლო ინფლაციის მოთოვა, მაგრამ ვერ უზრუნველყო ფასების სტაბილურობა. ამის პირველი მიზეზი იყო ის, რომ 1985-დან 1987-მდე შევეიცარული ფრანკი მყარდებოდა და ცენტრალურმა ბანკმა დაუშვა მონეტარული ბაზის ზრდა 2 პროცენტზე მეტი განაკვეთით (3%). მეორე

მიზეზი იყო ანგარიშსწორების ახალი სისტემის დანერგვა, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალდა კომუნიკაციული ბანკების მოთხოვნა დიკვიდურობაზე. ამ ორმა ფაქტორმა სერიოზული პრობლემა შეუქმნა მიზნობრივ აგრეგატებს. შედეგი იყო ის, რომ ინფლაციის განაკვეთმა გადაჭარბა 5 პროცენტის. შვეიცარიის ცენტრალურმა ბანკმა 1990 წელს პირველად უარი თქვა მონეტარული მიზანისთვის დაესახელებინა კონკრეტული პორიზონტი, შემდეგ 1999 წელს საერთოდ უარი თქვა მიზნობრივ მონეტარიზმზე.

ფულად აგრეგატებისა და ინფლაციას შორის დამოკიდებულება ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა საქართველოს მაგალითზე. სტატისტიკურ ანალიზი შესრულდა 233 დაკვირვებაზე და მოიცვა 1996 – 2014 წლები. როგორც ცხრილიდან (1-1 ნაწილი) ჩანს, ინფლაციის რეგრესიის მოდელი არაარსებითია.

დაგვიანების ყველა დონისთვის, ასევე შესწავლილ იქნა დამოკიდებულება ბა ფულად აგრეგატსა და სავალუტო კურსის ცვლილებას შორის. ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ცხრილში (1-2, 1-3, 2-4). M2-თან არსებითობის მიხედვად, რეგრესიის წრფის დახრის კუთხე ძალიან მცირეა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემული აგრეგატის გავლენა სავალუტო კურსზეც ძალიან უნიშვნელობა.

ცხრილი

| 1-1 | რეგრესია ინფლაციასა და M2 შორის | | | | | | |
|----------------|---|----------|---------|----------|---------|---------|---------|
| | დაგვიანება თვეებში | | | | | | |
| პარამეტრები | 0 | 3 | 6 | 9 | 12 | | |
| b_0 | -9.7E-5 | -8.6E-5 | -9.8E-2 | -1.1E-4 | -1.1E-1 | | |
| t | -1.689 | -1.459 | -1.586 | -1.686 | -1.623 | | |
| F | 2.853 | 2.130 | 2.516 | 2.636 | 2.636 | | |
| R ² | 0.012 | 0.009 | 0.011 | 0.011 | 0.011 | | |
| n | 233 | 230 | 227 | 224 | 221 | | |
| 1-2. | რეგრესია სავალუტო კურსა და სარეზურვო ფულის შორის | | | | | | |
| | დაგვიანება დღეებში | | | | | | |
| | 0 | 5 | 10 | 15 | 20 | 25 | 30 |
| b_0 | 1.741 | 1.764 | 1.787 | 1.833 | 1.833 | 1.859 | 1.880 |
| b_1 | 7.34E-6 | -1.2E-6 | -1.1E-5 | -3.3E-08 | -3.3E-5 | -4.8E-5 | -6E-5 |
| t | 0.502 | -0.078 | -0.680 | -1.154 | -1.921 | -2.701 | -3.332 |
| F | 0.252 | 2.7E-05 | 0.463 | 1.333 | 3.690 | 7.299 | 11.102 |
| R ² | 0.001 | 0.710 | 0.002 | 0.006 | 0.017 | 0.033 | 0.051 |
| n | 237 | 232 | 227 | 222 | 217 | 212 | 207 |
| 1-3. | რეგრესია სავალუტო კურსა და ფულად აგრეგატს(M2) შორის | | | | | | |
| b_0 | 0.249 | 0.157 | 0.045 | -0.089 | -0.181 | -0.245 | -0.337 |
| b_1 | 2.97E-4 | 3.15E-4 | 3.36E-4 | 3.62E-4 | 3.8E-4 | 3.93E-4 | 4.11E-4 |
| t | 10.837 | 11.58016 | 12.568 | 13.925 | 14.740 | 15.226 | 16.213 |
| F | 117.445 | 134.100 | 157.974 | 193.911 | 217.276 | 231.833 | 262.891 |
| R ² | 0.278 | 0.309 | 0.349 | 0.401 | 0.433 | 0.453 | 0.489 |
| n | 306 | 301 | 296 | 291 | 286 | 281 | 276 |
| 1-4. | რეგრესია სავალუტო კურსა და მიმოქცევაში ნაღდფულს შორის | | | | | | |
| b_0 | 1.743 | 1.768 | 1.794 | 1.818 | 1.851 | 1.883 | 1.908 |
| b_1 | 8.96E-3 | -6.2E-3 | -2.4E-2 | -4.2E-2 | -7.1E-2 | -1E-1 | -1.2E-1 |
| t | 0.342 | -0.231 | -0.885 | -1.481 | -2.459 | 12.171 | -4.297 |
| F | 0.117 | 0.053 | 0.784 | 2.195 | 6.046 | 12.171 | 18.464 |
| R ² | 0.0005 | 0.0002 | 0.003 | 0.009 | 0.027 | 0.054 | 0.082 |
| n | 237 | 232 | 227 | 222 | 217 | 212 | 207 |

მიზნობრივ ინფლაციაზე ფოკუსირებული მონეტარული პოლიტიკა

მოზნობრივ ინფლაციაზე ფოკუსირებული მონეტარული პოლიტიკაზე გადასვლა პირველად განახორციელა ახალმა ზელანდიაშ [Benanke B.S., Laubach T.S., Mishkin F.S., Posen A.S., 1999]. მან 1989 წელს მიიღო კანონი ცენტრალური ბანკის შესახებ, რომელიც ამოქმედდა 1990 წელს. ახალმა კანონმა ქვეყნის ცენტრალური ბანკი გახდა ყველაზე დამოუკიდებელი განვითარებული ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს შორის. კანონმა ფინანსთა მინისტრი და ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი დაავალდებულა დაედგინათ მონეტარული პოლიტიკის შეთანხმებული მიზნობრივი მაჩვენებელი და გაეხადათ ის საჯარო. მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც უნდა ყოფილიყო გაზომვადი, გახდა მონეტარული პოლიტიკის შეფასების ინსტრუმენტი.

ორ ინსტიტუტს შორის შეთანხმების მოთხოვნაში გაზარდა კორდინაციის ხარისხი მთავრობასა და ცენტრალურ ბანკს შორის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ასეთმა შეთანხმებამ გაზარდა ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა და ეკვიპურობა. მიზნობრივი ინფლაციის მონეტარული პოლიტიკა, რომელიც იყო მონეტარული მიზნობრივის განვითარების შედეგი, დაემატა შემდეგი მნიშვნელოვანი კომპონენტები: შეთანხმებული და საჯაროდ გაცხადებული ინსტიტუციური ვალდებულება ინფლაციის გრძელვადიანი მიზნობრივი განაკვეთის მიღწევაზეც გარანტიული ულობის მაღალი ხარისხი, რომელიც მიიღწევა პოლიტიკის და მისი შედეგების საზოგადოებასთან კომუნიკაციით; ცენტრალური ბანკის უპირობო პასუხისმგებლობა მონეტარული პოლიტიკით დაღენილი მიზნების მიღწევაზე.

ადრეული მონეტარული პოლიტიკების მნიშვნელოვანი ხარვეზი იყო გადაწყვეტილებების დროსთან შეუსაბამობა – მონეტარული გადაწყვეტილება ხშირად ვერ ითვალიწინებდა მომავალ შესაძლო მდგომარეობას, რომელიც ადრე მიღებული გადაწყვეტილებების შედეგი უნდა ყოფილიყო. ყოველდღიურობა საჭიროა, მაგრამ ის საფრთხის შემცველია მონეტარული პოლიტიკაში. ამდენად, დისკრეციული მონეტარული პოლიტიკა, რომელიც ძირითადად ეფუძნება მიმდინარე მდგომარეობის, ან - წინასწარ დაგეგმილ მონეტარულ ქმედებებს, ვერ იქნებოდა ოპტიმალური, დროსთან შეუსაბამობის მაღალი რისკის გამო.

დროსთან შეუსაბამობის მეორე წეაროა პოლიტიკური ზეწოლა, რომელიც მუდმივად ექსაჩება ცენტრალურ ბანკს ექსანსიური მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისკენ. ცენტრალურ ბანკს, რომელიც მოქმედებს მიზნობრივი ინფლაციაზე ორიენტირებული მონეტარული პოლიტიკით, აქვს საშუალება თავი აარიდოს პოლიტიკურ დებატებს, გავლენებს და დარჩეს კონცენტრირებული ინფლაციის შეზღუდვის გრძელვადიან მიზანზე, რომელსაც ადგენს პოლიტიკა. მიზნობრივ ინფლაციაზე ფოკუსირებული მონეტარული პოლიტიკა ნაკლებად ხისტია, ის უშვებს გარკვეულ მოქნილობას, მაგრამ მკაცრად ზღუდვას ექსანსიური მონეტარული პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობებს. მართალია, წარმოების გაფართოებაარ არის ამგვარი მონეტარული პოლიტიკის პირდაპირი მიზანი, მაგრამ მისი გრძელვადიანი მიზნის ფუნქციაში ეს მიზანიც არის ირიბად გათვალისწინებული.

მიზნობრივ ინფლაციაზე ფოკუსირებული მონეტარული პოლიტიკა ადგილად გასაგები აღმოჩნდა ყველასოფთქოს, თანაც მისი მიზანი კარგად ეთანხმებოდა ყველას ინტერესებს. ის არის საიმედო, გამჭვირვალე და მოქნილი მექანიზმი, რომელსაც შეუძლია ეფექტურად მოახდინოს წარმოებისა და ინფლაციის ვოლატილობის მინიმიზება. თავისი არსით მიზნობრივ ინფლაციაზე ფოკუსირებული მონეტარული პოლიტიკის შედეგი ორმაგი ბუნებისაა – მინიმალუ-

რი სტაბილური ინფლაცია, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს წარმოებისა და დასქმების მაღალ დონეს.

ეკონომიკური ზრდა, დასაქმება და ვალუტის კურსი აგრეთვე მნიშვნელოვანი მიზნებია, რომელებზეც შეიძლება გავლენა პქონდებს მონეტარული პოლიტიკას. მაგრამ, გასათვალიშინებლია ის გარემოება, რომ ეს გავლენა ვერ იქნება ერთნაირი აღნიშნულ მიზნებთან მიმართებით; და თანაც, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმები შეიძლება წინადმდებობაში მოვიდეს ფასების სტაბილურობის გრძელვადიან მიზანთან. მეორეს მხრივ კი, მრავალმიზნიანი მონეტარული პოლიტიკის პირობებში საფრთხე ექმნება ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობას, რომელდება გადაწყვეტილების მიღების პროცესი, იზრდება არადროული გადაწყვეტილებების რისკი და პოლიტიკის შედეგებზე იკარგება პირდაპირი პასუხისმგებლობა.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამ ტიპის მონეტარული პოლიტიკის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოიდებული ინფლაციის პროგნოზით უნდა უნდა ჰქონდეს ინფლაციის პროგნოზით რების საიმედო მოდელი ან მეთოდოლოგია, რომელიც შესაბამის ეკონომიკური ინდიკატორებზე დაყრდნობით, შეძლებს მომავალი ინფლაციის პროგნოზირებას. თუ ეს პირობა არ სრულდება, ცენტრალური ბანკი სულ იქნება მოულოდნელობის მოლოდინში და მისი მონეტარული გადაწყვეტილებები უფრო იქნება დისკრეციული და დროსთან აცდენილი.

მონეტარული პოლიტიკის მიზნის განსაზღრულობა

ცნობილიადა პრაქტიკულ გამოყენებაშია მონეტარული რეჟიმის ორი ვარიანტი. პირველში მონეტარული მიზნები იერარქიულია და ამ იერარქიის თავშია ფასების სტაბილურობის მიზანი, ხოლო მეორეში – პოლიტიკის მიზნების სტრუქტურა პორიზონტალურია და ყველა თანაბარი მნიშვნელობითარიან წარმოდგენილი. მაგალითად, აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემა (Fed) აღიარებს მონეტარული პოლიტიკის ორი მიზანს – ფასების სტაბილურობას და სრული დასაქმებას. ასევე, მონეტარული პოლიტიკის კლასიფიკაცია შეიძლება გაკეთდეს პოლიტიკის მიზნის ჩამოყალიბების სიცხადის და კონკრეტულობის ხარისხის მიხედვით – ძალიან ზოგადიდან ძალიან კონკრეტულამდე. მაგალითად, ზოგადი – ფასების სტაბილურობა, კონკრეტული - მიზნობრივი ინფლაცია 5ან არაუმეტეს 5 პროცენტისა.

შეფასების ობიექტურობისა და ცენტრალური ბანკის პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით, უმჯობესია მონეტარული პოლიტიკის მიზანი იყოს რაც შეიძლება კონკრეტული და მკაფიო. ასევე მნიშვნელოვანია მიზნის ვადიანობა, რომელიც შეიძლება იყოს ერთი ან მეტწლიანი. მიზნის საშუალო ვადიანობა ზრდის მონეტარულ პოლიტიკის მოქნილობას. მოკლევადიანი შოკების შემთხვევაში, შესაძლებელია დასახული მიზნიდან გარკვეული მოკლე დროით გადახრის დაშვება. მიზნის ვადიანობის განსაზღვრისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გადაცემის მექანიზმების სიჩქარე. განვითარებად ქვექნებში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე შედარებით სწრაფად რეაგირებს ინფლაცია, ამიტომ მიზნის ხანგრძლივად აქ უფრო ხშირად იღებენ ერთწლელს. მიზნის ვადიანობია სწორად განსაზღვრა ზრდის ცენტრალური ბანკის ანგარიშვალდებულების ეფექტურობას და ამცირებს ინფლაციური მოლოდინის შექმნის ალბათობას.

მიზნობრივი ინფლაციის საზომად გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI). ამ მაჩვენებლის გამოყენებადობას ისიც ამართლებს, რომ ის ითვლება და ქვეყნდება ყოველთვიურად. ცნობილია, რომ CPI – ის დათვლაში

მონაწილე პროდუქტების ნაწილის ფასების ვოლატილობა ნაკლებად არის დამოკიდებული მოხებარული პოლიტიკის განაკვეთზე, ამიტომ რფიციალურ CPI – ის გარკველი კორელირება დასჭირდება. ფლუპტუაციის ის ნაწილი, რაც სხვა ფაქტორებით – მაგალითად, სეზონურობით და არალეგულარობით - არის გამოწველი უნდა იქნას ამოღებული.

მიზნის განსაზღრულობის კიდევ ერთი მახასიათებელია რაოდენობრიობა, რომელიც შეიძლება იყოს წერტილოვანი ან ინტერვალური. წერტილოვანის უპირატესობა ის არის, რომ ის ზღუდავს დეფლაციასაც. ორივე შემთხვევაში, ბაზარს მიეწოდება მკაფიო და ზუსტი სიგნალი ცენტრალური ბანკის განზრახულობის შესახებ. მიზანშეწონილია წერტილოვანი მიზნობრივი დონის შერბილება, რაც შეიძლება გაკეთდეს მისგან გადახრის მიმართ ტოლერანტულობის ხარისხის დადგენით. მონეტარული პოლიტიკის მოქნილობაზე დადგითად აისახება.

ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა

მონეტარული პოლიტიკის წარმატებულობა დამოკიდებულია ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხზე. ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობას აქვს რამდენიმე განზომილება: პოლიტიკური, მიზნობრივი, ინსტრუმენტულური და ფინანსური. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიზნობრივობა ნიშნავს იმას თუ რამდენად თავისუფალია ცენტრალური ბანკი მიზნის განსაზღვრაში. მიზნობრივი დამოუკიდებლობა უზრუნველყოფს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, რადგან მიზნის შერჩევის თავისუფლება ცენტრალურ ბანკს აძლევს საშუალებას პოლიტიკური ზეწოლის გარეშე აირჩიოს დაბალი ინფლაციის მიზანი და მისდოოს მას. ინსტრუმენტულური დამოუკიდებლობა კი ნიშნავს მეთოდებს, რომლითაც ის ცდილობს მონეტარული პოლიტიკის მიზნების მიღწევას, შერჩევის დამოუკიდებლობას.

ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობის ზრდა ძირითადად განხორციელდა 90-იან წლებში. მანამდე, მხოლოდ სულ რამდენიმე ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნის ცენტრალური ბანკი თუ აკმაყოფილებდა დამუშავებლობის მაღალ სტანდარტს – ბუნდესბანკი, შეეციის ცენტრალური ბანკი და Fed. ემპირიულად დადასტურებულია ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის გავლენა ინფლაციაზე [Dabelle G. and Fischer S., 1994].

ინფლაციასა და დასაქმებას შორის არსებული მოკლევადიანი არჩევანი არის ის სატექარა, რომელსაც ხშირად ეწირება ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა. როდესაც ცენტრალური ბანკი ერთადერთ მიზანად აღიარებს ფასების სტაბილურობას, რომელიც ყველაზე კარგად პასუხობს საზოგადობის ინტერესებს და ყველა დარწმუნებულია ამში, მაშინ ექსპანსიური პოლიტიკისთვის ადგილი არ რჩება, რაც ცენტრალურ ბანკს აიძულებს დაკავდეს ინფლაციის კონტროლით და ყველა გადაწყვეტილებები დაუქვემდებაროს ამ გრძელვადიანი მიზნის შესრულებას. მოკლევადიანი მიზნისაგან თავის დაღწევით, ცენტრალური ბანკი თავისუფლდება პოლიტიკური და სხვა სახის ზეწოლისაგან.

ქვეყნების დაღაგება ეკონომიკური შედეგების მიხედვით, მკაფიოდ აზგუნებს ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის მნიშვნელობას [Dabelle G. and Fischer S., 1994]. დამოკიდებულება ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობასა და ინფლაციას შორის არის ნეგატიური, რაც იმას ნიშნავს, რომ ცენტრალური ბანკის მეტ დამოუკიდებლობას შეესაბამება ნაკლები ინფლაცია. როგორც სტატისტიკურ ანალიზმა გვიჩვენა, 25 ქვეყნის ინფლაციას განაკვეთის რეგრესია მათი ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის ინდექსთან არსებითა

($F=5.25$, $t= 2.35$) [Mathew J.]. იმავე მონაცემებისა და სპირმენის რიგითობის კორელაციის არაპარამეტრული მოდელის გამოყენებით [Mason R.D., Lind D.A and Marchal W.G., 1999], გაკეთდა ამ ორი ცვლადის რიგითობებს შორის კორელაციის შეფასება ($r_s = 0.40$, $t = 2.10$), რამაც ასევე დაადასტურა წინა შეფასების სამართლიანობა. ემპირიული გამოკვლევებით ასევე დასტურება დამოკიდებულება: ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობას და ეკონომიკური შედეგის (GDP) ვარიაციას შორის; და ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობას ინფლაციის ვარიაციას შორის [Parkin M.,2013]. ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა ქვეყანას აძლევს მეტ მაკროეკონომიკურ შედეგს. ოუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს ეფექტი მთლიანად ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხით არ აიხსნება; ისიც ფაქტია, რომ ქვეყნებში, სადაც ცენტრალური ბანკი ხასიათება დამოუკიდებლობის მაღალი სტანდარტით, როგორც წესი, მეტი შანსია მისი მთავრობაც იყოს შედარებით მოწესრიგებული და ეფექტურია.

ცენტრალური ბანკის ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა

ანგარიშვალდებულება არის ცენტრალურ ბანკზე კონტროლის ფორმა, რომელიც ისე უნდა განხორციელდეს, რომ არ შეიღავოს ამ ინსტიტუტის დამოუკიდებლობა [Waller C., 2011]. საზოგადოების უფლება აკონტროლოს მთავრობა, რაც დემოკრატიის ძირითადი პრინციპია, ვრცელდება მონეტარული პოლიტიკზე პასუხისმგებელ ცენტრალურ ბანკზეც. ეს აუცილებელია მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, რაც ვერ განხორციელდება ცენტრალური ბანკის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის სათანადო ფორმატით განხორციელების გარეშე.

ანგარიშვალდებულების ეფექტიანობა დამოკიდებულია ცენტრალური ბანკის მიზნების განსაზღვრულობაზე და მის უნარზე დამოუკიდებლად უზრუნველყოს ამ მიზნების მიღწევა. მაგალითად, თუ მიზნად დადგენილია მიზნობრივი ინფლაცია, მაშინ მთავრობასაც და საზოგადოებასაც აქვს ათვლის წერტილი ცენტრალური ბანკის შედეგების შესაფასებლად. ამ შემთხვევაში, ინფლაციის ანგარიში უნდა იყოს პერიოდულად განსახილველი დოკუმენტი, რომლითაც წარდგება ცენტრალური ბანკი მმართველი მთავრობის იმ ორგანოს წინაშე, რომელიც უფლებამოსილია, შედეგებიდან გამომდინარე, მიიღოს გადაწყვეტილება ცენტრალური ბანკის მმართველთან მიმართებით.

მონეტარული პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია ცენტრალური ბანკის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. ცენტრალურმა ბანკმა მკაფიოდ უნდა ახსნას მონეტარული პოლიტიკის მიზნები და ამ მიზნების მიღწევის გეგმები. გარდა ამისა, საზოგადოების ფართო ფეხები ინფორმირებული უნდა იყვნენ პოლიტიკის მიმდინარე ცვლილებების შესახებ, რომ გასაგები იყოს მონეტარული პოლიტიკის მექანიზმების განხორციელებული ცვლილების საჭიროება. კომუნიკაციის მიზანი უნდა იყოს გაურკვევლობის მინიმიზება, რაც საბანკო სექტორში ამცირებს რისკებს და ზრდის მისაძမი ნდობას.

გამჭვირვალობის ხარისხის გასაზრდელად აუცილებელია ცენტრალური ბანკი აქვეყნებდეს პროგნოზებს იმ მაკროეკონომიკური ცვლადების შესახებ, რომლებზეც მონეტარული პოლიტიკის მექანიზმებით იგეგმება ზემოქმედება. ერთის მხრივ, პროგნოზები ეხმარება ცენტრალურ ბანკს გადაწყვეტილების მიღების დროულობაში და ზრდის გადაწყვეტილებების ეფექტურობას. მეორეს მხრივ, როდესაც საზოგადოებაც კარგად ერკვევა მიღებული გადაწყვეტილება.

ბეჭში, ცენტრალურ ბანკს უადვილდება მონეტარული პოლიტიკის განხორციელება.

და ბოლოს, ეს ყველაფერი დადგებითად აისახება მის დამოუკიდებლობის ხარისხზე. როდესაც ფასების სტაბილურობის მიზანი მხარდაჭერილია არა მხოლოდ კანომდებლობით, არამედ საზოგადოებრივადაც, პოლიტიკური ზეწოლის საფრთხე მცირდება, რაც მთავრობას აიძულებს ფისკალური პოლიტიკის მიუვანას მონეტარული პოლიტიკის მოთხოვნებთან.

დასკვნა

მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობას სათანადო გარემო ესაჭიროება, რომლის მთავარი კომპონენტია ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა და მისდამი საზოგადოების ნდობა. რამდენად კარგად ეთანხმება მონეტარული პოლიტიკის მიზნები საზოგადოებრივ ინტერესებს და რამდენად კარგად არის მოსახლეობა გათვითცნობიერებული მონეტარული პოლიტიკის მდგომარეობით, იმდენად ადგილია ეფექტური მონეტარული პოლიტიკის რეალიზება. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებსთან კომუნიკაციების არხებისა და მეთოდების შერჩევას.

მონეტარული პოლიტიკა არ უნდა იყოს დისკრეციული და მოსალოდნელ მოვლენებზე უნდა რეაგირებდეს მათ დადგომამდე. პროცესებს შედევებს ახასიათებთ დროითი ჩამორჩენა, ამიტომ მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებები უნდა იყოს წინმსწრები და უნდა აასუხობდეს იმ მოვლენებს, რომელთა დადგომა მოსალოდნელია მომავალში. ასე რომ, პროგნოზირების საიმედო მეთოდოლოგიისა და მეთოდების გარეშე, შეუძლებელია ეფექტური მონეტარული პოლიტიკის კონსტრუირება და რეალიზება.

ინფლაციაზე ფოკუსირებული მონეტარული პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს ფასების სტაბილურობას, მაქსიმალურად შეესაბამება უონომიკური ზრდის ინტერესებს. მინიმალური ვოლატილობის მქონე დაბალი ინფლაცია ქმნის გარემოს, სადაც მიმდინარე ეკონომიკური გადაწყვეტილებების თუ საშუალო და გრძელვადიანი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება ადვილია. დაბალი ინფლაცია ეთანხმება საზოგადოების ინტერესებსაც და ამის გამო ასეთი მონეტარული პოლიტიკა მაქსიმალურად ფართოდ იქნება მხარდაჭერილი.

მონეტარული პოლიტიკის შედეგს მეტი შანსი აქვს იყოს უკეთესი, თუ ის კონცეტრირებული იქნება ერთ მიზანზე – ინფლაციაზე. ამ შემთხვევაში, ეკონომიკური აქტივობის ზრდის მიზანიც უკეთესად რეალიზდება. მითუმეტეს, რომ ორმიზნიანი მონეტარული პოლიტიკა შეიძლება წინაღმდეგობრივი აღმოჩნდეს და გაართულოს ცენტრალური ბანკის კომუნიკაცია საზოგადოებასთან, რაც უარყოფითად აისახება მისადმი ნდობაზე. სავალუტო კურსის სტაბილურობის მნიშვნელოვანელობიდან გამომდინარე, მიზნობრივ ინფლაციაზე ფოკუსირების მიუხედავად, ეს საკითხი სათანადოდ უნდა იყოს მიხედული ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის ფარგლებში, რომ გაცვლითი კურსის “ჭარბი” ფლუქტუაციას არ ჰქონდეს ადგილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Blinder A., 1982, The Anatomy of Double-Digit Inflation in the 1970s, from <http://www.nber.org/chapters/c11462>.
2. Dewald W., 1998, Historical U.S. Money Growth, Inflation, and Inflation Credibility, from <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.197.4766&rep=rep1&type=pdf>.
3. Horwitz S., 2003, The Costs of Inflation Revisited, Kluwer Academic Publishers.
4. Dowd, K., 1994, “The Costs of Inflation and Disinflation.” Cato Journal, 14(2): 305–331; Pakko, M. R. (1998) “Shoe-Leather Costs of Inflation and Policy Credibility.” Federal Reserve Bank of St. Louis Review, 80(6): 37–50; Horwitz S., (2003) Review of Austrian Economics, Kluwer Academic Publishers. Manufactured in The Netherlands.
5. Phelan J. (23 October 2012). "Milton Friedman and the rise and fall of the Phillips Curve", from <http://thecommentator.com>; Retrieved on September 29, 2014.
6. Friedman M., 1994, Money Mischief: episodes in monetary history. Harcourt Brace & Company.
7. Benanke B.S., Laubach T., Frederic S., Mishkin A., Posen S., 1999, “Inflation Targeting: Lessons from the International Experience”, Princeton University Press.
8. Estrella and Mishkin F., 1997, “Predicting U.S. Recession: financial variables as leading indicators”, from <http://www.jstor.org>.
9. Mishkin F.S., 2007, “Monetary Policy Strategy. Massachusetts Institute of Technology”.
10. Dabell G. and Fischer S., 1994, How Independent Should a Central Bank Be?, <http://www.bostonfed.org/economic/conf/conf38/conf38f.pdf>.
11. Mathew J., Measuring Central Bank Independence in Twenty- Five countries: A New Index of Institutional Quality, from <http://www.igidr.ac.in/> 20Mathew.pdf.
12. Mason R.D., Douglas A. Lind and Willian G. Marchal, 1999, Statistical Techniques in Business and Economics – thenth edition. Irwin/McGraw.
13. Parkin M., 2013, The Effects of Central Bank Independence and Inflation Targeting on Macroeconomic Performance : Evidence from Natural Experiments, from http://economics.uwo.ca/newsletter/misc/2013/parkin_may28_13.pdf.
14. Waller C., 2011, Independence + Accountability: Why the Fed Is a Well-Designed Central Bank, Federal ReserveBank of St. Louis Review, September/October 2011, 93(5), pp. 293-301.

Givi Lemonjava
Associated Professor of Georgian University

MONETARY POLICY: STRUCTURE AND TASKS Expanded Summary

State policies influence the environment, where business has to operate. The perspectives of economical development greatly depend on the quality of this environment. Among these policies is the monetary policy, which is created and performed by the central bank of the country. From the point of view of influence on economy, among other policies of the government, the monetary policy is the most viable mechanism, which is quickly corrected in response to the expected changes of the macroeconomic situation.

The result of the expansive monetary policies, which were implemented in many countries, was high inflation. In this regard, especially outstanding were 70-80-ies. In this period in many countries, including economically developed, the inflation reached double-digit indicators. One positive result of this prolonged inflation was that recognition of the loss received as a result of inflation became almost universal.

This influenced the monetary policies and the aim of reducing inflation was brought to front. Many countries developed and implemented goal-oriented inflation monetary policies. The monetary policy consists of several components and its success depends on proper and synchronized action of these components. Besides, political factors can have great influence on it, which sometimes may be negative. So the structure and organization of the monetary policy must be such that decisions of the policy must be protected from possible negative influences as much as practical.

The monetary policy focused on inflation, which means stability of prices, complies with the interests of the growth of the country as much as practical, as low inflation with minimal volatility creates good conditions for making efficient economic and investing decisions. Sustainably low inflation reduces market and investment risks.

The monetary policy should not be discretionary and should respond prior to its occurrence. The processes results are characterized by time lag, so the decisions of the monetary policy must be preemptive and respond to the events, whose occurrence is expected in the future. So, the necessary instrument of the efficient monetary policy is prediction, which shall be based on the documented and verified methodology of prediction.

With the objective of increase of accountability and responsibility of the central bank, it is preferred that the aim of the monetary policy to be urgency, whose length may be one year or more. The average term of the objective increases the flexibility of monetary policy. In case of short-term shocks, it is possible to allow short-term deviation from the aim within certain framework. In determination of the term of the goal, the speed of mechanisms for the transfer of instruments of the monetary policy must be taken into account. In developing countries the inflation responds comparatively quickly to the rate of the monetary policy, so one year is often taken as the duration of the goal. Accurate determination of the term of the mechanism increases the efficiency of accountability of the central bank and reduces the possibility of creation of inflation expectation.

The consumer price index (CPI) is often used for the measurement of the target inflation. The usage of this indicator is justified by the fact that it is calculated and published on a monthly basis. It is known, that volatility of the prices of the part of products participating in the calculation of CPI is less dependent on the rate of the monetary policy, so the official CPI will require certain correction.

The part of fluctuation, which is caused by other factors-for example, seasonality and irregularity must be eliminated.

One more characteristic of determination of the goal is quantitativeness, which may be selective or intervallic. The advantage of the selective is that it restricts deflation. In both cases, the market is provided with clear and exact sign about the decision of the central bank. It is justified to mitigate the selective dedicated level, which may be achieved by determination of tolerance of deviation from it, which will have a positive impact on the flexibility of the monetary policy.

In relation to the goals of the monetary policy, the mode of currency exchange rate is one more important issue. The central bank, focused even on one inflation goal, cannot avoid responsibility for the exchange rate. The sharp devaluation of the currency, especially in the developing countries, gives an impetus to inflation and sometimes causes financial crisis. The level of risk depends on the level of development of economy-how quickly and efficiently it can replace import with the local production and increase export. Some of these factors are

beyond the monetary policy, because long “underpin” of the currency exchange rate is achievable only by means of instruments available to the central bank of the country.

The central bank can and must mitigate “sharp” short-term fluctuation of the currency exchange rate. But it is not easy. Thus one of challenges of the monetary policy oriented on the target inflation, remains the currency policy. At its best, the following questions must be answered within the framework of this policy: (1) should the currency exchange rate be fixed or free? (2) to what extent is the fluctuation of the currency exchange rate moderate? (3) how the exchange rate should be “underpinned” in the specified range of stability?

Taking into account the existing risks, the currency exchange policy of the central bank should be very careful, its aim must be only mitigation of short-term fluctuation. As to the policy of the fixed rate, it cannot be deemed to be careful, as it increases the risk of the economic collapse of the country, which had been confirmed many times by the experience of various countries.

It is true that the mode of free currency exchange rate is accompanied by the currency risk, but its other advantages justify undertaking this risk. In case of the free exchange rate, all changes shall immediately be reflected in the currency price, and the business units have the possibility to timely respond to them.

The success of the monetary policy also depends on the quality of independence of the central bank. The independence of the central bank has several dimensions: political, purposeful and instrumental. The purposefulness of political independence means to what extent the central bank is free in determination of its purpose. Purposeful independence ensures political independence, because the freedom of choosing the goal enables central bank to make choice without political influence on the low inflation target and follow it. By instrumental independence we should imply methodological independence. That is the freedom of selection of political instruments.

The performed research confirms that the correlation between the independence and inflation of the central bank is negative. The empirical research also confirms the following: (1) positive correlation between the independence of the central bank and economical result; (2) independence of the central bank between the inflation.

Not less important component of the monetary policy is the transparency of the central bank and efficiency of channels of communication with the society. The central bank must clearly explain the goals of the monetary policy and the plans for the achievement of those goals. Besides, it is important to timely disclose current changes in the monetary policy. The aim of communication must be restriction of the possibility of uncertainty and creation of unnecessary expectation.

The central bank must have the means for the prediction of those changes, which are influenced by the instruments of the monetary policy. The skill of prediction assists the central bank in timely making decisions and reduces the risk of incompliance of their decisions with the time. On the other hand, when the society understands the goal of the current decisions, the implementation of the monetary policy is significantly simplified for the central bank.

სოფლის მეურნეობა
AGRICULTURE

თენციზ ქაფთარაძე
აკადემიური დოქტორი

0602020090 პოლიტიკა აშშ-ს სოფლის მეურნეობაში და საქართველოში
მისი გამოყენების შესაძლებლობები

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია აშშ-ისა და უკროკავშირის ქვეყნების სოფლის მეურნეობაში ინიციატივის პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი. გამოთქმულია აზრი მათ მაგალითზე, საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინიციატივის პოლიტიკის გატარების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: აგროსასურსათო წარმოება, უკროკავშირის ქვეყნები, ინიციატივი, ინიციატივის საწარმო.

შესავალი

საინიციატივო საქმიანობა წარმოადგენს ქვეყნის განვითარების იმ პრიორიტეტულ მიმართულებას, რომლის წარმატებულმა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური ხამორჩენის დაძლევა და ბაზრის შევსება საქუთარი წარმოების სხვადასხვა სახის კონკურენტუნარიანი პროდუქტით.

ინიციატივა მეცნიერული ცოდნისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევების გამოყენებაზე დამყარებული სიახლეებია ტექნიკაში, ტექნოლოგიაში, შრომის ორგანიზაციასა და მართვაში. მეცნიერულ და ტექნოლოგიურ სიახლეთა გამოყენება ეხება ადამიანთა საქმიანობის ყველა, მათ შორის აგრარულ სფეროს.

მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ტექნიკური და ეკონომიკური სიახლეების გამოყენება გულისხმობს საქონლის ახალ სახეობათა ათვისებას, ასევე ახალი ტექნოლოგიების, შრომისა და მეწარმეობის პროგრესული ფორმების დანერგვას.

აშშ-ის სახელმწიფო აგრარული ინიციატივი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომელიც განსაზღვრავს სოფლის მეურნეობაში ინიციატივის საქმიანობის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფუნქციონირების მიზნებს, ძირითად მიმართულებებსა და მეთოდებს. განვითარების თანამედროვე ეტაპზე სოფლის მეურნეობაში ინიციატივის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკისა და ტექნოლოგიის უახლესი მიღწევების, საერთოდ, სამამულო და საერთაშორისო ინიციატივის საქმიანობის შედეგების წარმატებით გამოყენებას მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაწარებისა და საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ ღონისძიებათა სულ უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის. იგი მოიცავს სამ ეტაპს: არსებულ პოტენციურ შესაძლებლობათა ყოველმხრივი გაანალიზების საფუძველზე შემუშავებულ ქვეყნის ინიციატივის საქმიანობის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებულ კონცეფციას; ინიციატივის საქმიანობის განვითარებისადმი სახელმწიფოებრივი მსარდაჭერის ძირითად მიმართულებათა გან-

საზღვრას; ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების განსახორციელებლად პრაქტიკულ სამოქმედო დონისძიებათა დასახვას.

* * *

აშშ-ის აგრარულ ინოვაციურ პოლიტიკაში გამოყოფენ ორ მხარეს: სტრატეგიულსა და ტექნიკურს. სტრატეგიული ჩვეულებრივ გრძელვადიან და შედარებით მასშტაბურ ამოცანებს ისახავს და გულისხმობს როგორც ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას, ისე შეცნიერული პოტენციალის რაციონალური გამოყენების თანამდებობის მიზნების შემთხვევას. ტაქტიკური კი მნიშვნელოვანწილად ისეთი კონკრეტული დონისძიებების შემუშავებას მოიცავს, რომელთაც შეუძლიათ დასახული მიზნების მაღალეფებითი განხორციელება. პრაქტიკურ ქმედებებში იგულისხმება ინოვაციური საქმიანობის განვითარების ამოცანების რეალიზაციისათვის მიმართული დონისძიებები: მეცნიერულ კვლევათა დაფინანსება, კვალიფიციური კადრების დაკომლებება, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციული უზრუნველყოფა, ორგანიზაციულ-სამართლებრივი პირობების შექმნა და ა.შ.

ინოვაციებს ადგილი აქვს ნებისმიერი წყობილების დროს, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარკვეულ ეტაპზე, როდესაც ის იღებს უწყვეტ სასიათს და ხდება განვითარების უკელაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეს პროცესები მსოფლიოში დაიწყო გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან და განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში. ამიტომა, რომ ამ ქანქნების ეკონომიკას ინოვაციურ ეკონომიკას უწოდებენ. ინოვაციური ეკონომიკა უფრონება ცოდნას, ინოვაციების ნაკადს, ტექნოლოგიების, ინფორმაციის, ინსტიტუციების, ადმინისტრაციული კაპიტალის, წარმოების ორგანიზაციის, პროდუქციისა და ა.შ. გამუდმებულ სრულყოფას, მეცნიერთა და ინოვატორთა ინტელექტუალურ შრომას და არა უბრალოდ კაპიტალს. მეცნიერება, გამოგონება, ინოვაცია ასეთ ეკონომიკაში განვითარების ერთიანობაზე უძრავი ფაქტორის წარმოადგენს. სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინოვაციურ ტექნოლოგიების. ტექნოლოგია არის ის წესი და საშუალება, რომლის მეშვეობითაც ხდება ამოსაგალი მასალების გარდაქმნა საჭირო საქონლად ან მომსახურებად. უფრო ზუსტად, ტექნოლოგია – ეს არის შერწყმა კვალიფიციური ჩვევების, მოწყობილობების, ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი ტექნიკური ცოდნის.

მაღალი ტექნოლოგიები ინოვაციური ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორია, ვინაიდან იგი იწვევს ეკონომიკური სისტემის კველა ელემენტის განვითარებასა და სრულყოფას. მაღალი ტექნოლოგიები წარმოადგენს სულ უფრო ახალ და პროგრესულ ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენება მიმდინარე ეტაპზე აჩქარებს საზოგადოების, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური განვითარების პროცესს. ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა განვითარების მაღალ დონეს მიაღწია სწორედ მეცნიერებატექნიკური და მაღალტექნიკური წარმოების განვითარებით. ეს კი განხორციელდა სახელმწიფო პროგექციონისტული პოლიტიკის გამოყენებით, ექსპორტის სტიმულირებით, იმპორტის შეზღუდვით საბაჟო თუ ადმინისტრაციული ბარიერებით.

ინოვაციური სექტორის ხვედრითი წილი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში განუხელებად იზრდება. უკვე გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის საქმიანობის ინოვაციურ სახეობათა ხვედრითმა წილმა აშშ-ის მთლიან უროვნებულ პროდუქტებში 50%-ს მიაღწია [აბესაძე რ. 2014]. 1990 წელს ინფორმაციის მიღებისა და დამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობით იყო

დაკავებული: აშშ-ში დასაქმებულთა რიცხოვნობის 47,4%, დიდ ბრიტანეთში – 45,8%, საფრანგეთში – 45,1.

ინოვაციური პროცესების ათვისებასთან დაკავშირებით რადიკალურ ცვლილებებს განიცდის წარმოების მუშაკთა პროფესიული სტრუქტურა. აღსანიშნავია, რომ 2005 წლისათვის აშშ-ში მუშის 150 პროფესიიდან სულ 15-მდე დარჩა [წიქავა ლ. 2006]. როგორც რეალური ვითარების ანალიზი ცხადყოფს, ამჟამად მეცნიერებაზევადი პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე აშშ-ის ხვედრითი წილი დაახლოებით 40%-ს შეადგენს, იაპონიის – 30%-ს, გერმანიის – 16%-ს, ხოლო რუსეთისა – 0,3%-ს არ აღემატება.ინოვაციის რა დონეზე იმყოფება ამა თუ იმ ქვეების ეკონომიკა, პასუხი არ არის [წიქავა ლ. 2006:55]. ეკონომიკის ინოვაციური სექტორის საზღვრების დადგენა, ფუნქციონირების ამსახველი ზუსტი ფაქტობრივი მონაცემების მოძიება, მათი გაანალიზება და სათანადო დასკვნების გაკეთება საკმაოდ დიდ სიმედიებთანაა დაკავშირებული (თუ, საერთოდ, შეუძლებელი არა), ამიტომ შეინიშნება კიდევ მისი შინაარსობრივი დატვირთვის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა ეკონომიკურ ლიტერატურაში, მაგრამ ძირითადი კონტურების მიახლოებით მაინც განსაზღვრის ცდები სახეზეა.

როგორც ჩანს, ამ გარემოებით აისხება ის ფაქტი, რომ სპეციალისტები რომლებიც სწავლობენ ინოვაციურ წარმოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, არ იფარგლებიან ეკონომიკის ე.წ. ინოვაციური სექტორით და უპირატესობას ანიჭებენ საერთოდ მეცნიერებაზევადი დარგების შესწავლას, რაც სავსებით მართებული მიდგომაა. მაგალითად, საფრანგეთში ხორციელდება გამოყენებითი სახელმწიფო პროგრამები. იაპონიაში მიმდინარეობს ინოვაციური პროგრამების სახელმწიფო მხარდაჭერა. ინოვაციური ფორმირებები იაპონიაში დაფუძნებულია მეცნიერებისა და წარმოების ჰქილაო კოოპერაციასთან, რითაც იგი განირჩევა ევროპული და ამერიკული მოდელებისაგან. სამეცნიერო კვლევების უფექტიანობა იაპონიაში ექვსჯერ მაღალია ვიდრე აშშ-ში და წარმოებაში მათი დანერგვის ვადა შემცირებულია ერთ წლის მიზანზე ინოვაციური პროცესების ბოლო სტადიაზე ფირმებს გააჩნიათ საბაზრო საფუძველი, რაც განაპირობებს იაპონიური ეკონომიკის შთამბეჭდავ წარმატებებს [ფГУРССК, 2006:136].

რესერვში ჩამოყალიბდა ინოვაციური სტრუქტურები (საწარმოო, ანალიტიკური, კონსალტინგური), შეიქმნა სარისკო ფირმები, დაწესდა შეღავათები (საგადასახადო) ინოვაციებზე, განხორციელდა ინოვაციური პროექტების საკონკურსო წესით დაფინანსება, შეიქმნა ინოვაციური სფეროს მასტიშულირებელი საკანონმდებლო ბაზა.

აშშ-მა ეკონომიკის აღმაგლობას მიაღწია სახელმწიფოს აქტიური ზემოქმედებით. აქ ტექნოლოგიური განვითარება გახდა ქვეების ეკონომიკური ზრდის საფუძველი და ამ სვეროშიგნერორციელდა შემდეგი ძირითადი მიზნები: შეიქმნა სამეწარმეო კლიმატი ინოვაციური საქმიანობის გაფართოებისა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, მოხდა სამეცნიერო სამუშაოების სტიმულირება. ახალ ტექნოლოგიათა ბაზაზე შეიქმნა საუკეთესო ინფრასტრუქტურა, განხორციელდა ინოვაციები მრეწველობისა და ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით. ასევე განხორციელდა სამხედრო და სამოქალაქო წარმოების ინტეგრაცია, ჩამოყალიბდა მაღალკალიფიციური შრომითი რესურსები, რომლებიც მონაწილეობენ ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაში.

ევროკავშირის ქვეებში ინოვაციური პოლიტიკა სახელმწიფო მართვის სისტემის განუყრელი ნაწილი გახდა; ევროკავშირში შეთანხმდნენ ინოვაციური საწარმოს ცნებაზეც; ინოვაციურია საწარმო, თუ ბოლო სამი წლის მანძილზე ერთ-ერთი წლის დანახარჯი კვლევაზე ბრუნვის 15%-ს აღემატება და კონკურენტუნარიანია. ევროკავშირში სამეცნიერო კვლევებზე მშპ-ის 2% იხარჯება;

აშშ-ი ეს მაჩვენებელი 2,7%-ია, იაპონიაში – 3,1%; დასახელებული მაჩვენებლები განსხვავდებულია ეკონომიკური ძალების მიხედვით (მაგალითად, შევეღოში – 3,6%, ფინეთში – 3,2%). საქართველოში ეს მაჩვენებელი 0,2%-ს შეადგენს [ხარაიშვილი ქ., 2012].

იმის გამო, რომ ინტელექტუალური პოტენციალი კონკურენციულ ბრძოლაში უპირატესობის მოპოვების, ახალ ბაზრებზე შედწევისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების ძირითად გარანტის წარმოადგენს, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ინვესტიციების სულ უფრო მძლავრი ნაკადი მიიმართება ინვაციური საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფისათვის. ამ მხრივ პირველ ადგილზეა აშშ, სადაც ამ დანიშნულებით გაწეული დანახარჯების საერთო მოცულობამ 2000 წლისათვის 265,3 მილიარდ დოლარს მიაღწია, მაშინ, როდესაც ათიოდე წლის წინ (1995) 173 მილიარდ დოლარს შეადგენდა. მეცნიერებულ კალევასა და ტექნიკურ დამუშავებაზე აშშ-ის მიერ 2000 წელს გამოყოფილი ინვესტიციები აღმატებოდა: იაპონიის შესაბამის მაჩვენებელს 2,7-ჯერ, გერმანიისას – 5-ჯერ, საფრანგეთისას – 8,4-ჯერ, დიდი ბრიტანეთისას – 9,8-ჯერ, ჩინეთისას – 5,2-ჯერ, რუსეთისას – 24-ჯერ, ხოლო ეკონომიკური შემაგლი ქვეყნებისას (ერთად აღებული) – 1,5-ჯერ.

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ ინვაციურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები 20-დან 50 პროცენტამდეა. სახელმწიფო ხარჯების საერთო მოცულობაში მეცნიერულ კალევასა და ინოვაციურ დამუშავებაზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წილი, მართალია, ძალიან მაღალი არ არის, მაგრამ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე საკმაოდ სტაბილურია და შეადგენს: აშშ – 6 - 7 პროცენტს, გერმანიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და იტალიაში – 4-5 პროცენტს, ხოლო იაპონიაში – 3-5 პროცენტს [ჩიქავა ლ. 2006].

კანადა განეცუოვნება იმ ქვეყნების კატეგორიას, რომლებიც მოედ თავიანთ ძალისხმევას სრულად ახმარენ ცოდნაზე დამყარებული კონკურენციის დაწარებულ განვითარებას. კანადის მოავრობამ 2004 წლის მაისში მიიღო პროგრამა, რომელიც მიმართულია ძირითადად მეცნიერებისა და წარმოების მეცნიერებაზე დარგების უპირატეს განვითარებაზე. რომელის მიხედვითაც 2010 წლისათვის ქვეყანამ უნდა გააორმაგოს დანახარჯები მეცნიერულ კალებზე და ამ მაჩვენებლით ჩადგეს მსოფლიოს ყველაზე დაწინაურებული ქვეყნების ხუთეულში. ასევე, მოსახლეობის ერთ სულზე ვენეცუელი კაპიტალის მოცულობით გაუთანაბრდეს აშშ-ს. ამ მიზნის მიღწევას ემსახურება კანადაში სტუდენტთა და ასპირანტთა ყოველწლიური 5 პროცენტიანი ზრდაც.

რიგ სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებთან ერთად, რუსეთის უკიდურეს ჩამორჩენილობაზე მიგვანიშნებს ის გარემოება, რომ 2000 წელს მეცნიერულ კალევასა და ტექნიკურ დამუშავებებზე გაწეული დანახარჯების მოცულობით იგი ჩამორჩებოდა არა მარტო აშშ-ს, არამედ ბევრ სხვა ქვეყანასაც. მაგალითად, იაპონიას – 9-ჯერ, გერმანიას – 5-ჯერ, ჩინეთს თითქმის – 4,8-ჯერ და ა.შ. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთში ახალ ტექნოლოგიურ გადაწყვეტათა დამუშავება და დანერგვა ჯერჯერობით არ გვევლინება ეკონომიკური ზრდისა და მსოფლიო ბაზარზე კონკურენციულარიანობის ამაღლების ფაქტორად. განვითარებული ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილში მეცნიერული კალევისა და ტექნიკურ დამუშავებათა დაფინანსების ძირითად წეაროს ინვაციურ პოლიტიკაში კერძო სექტორი წარმოადგენს. მაგალითად, 2000 წელს ამბგარი ინვესტიციების ხვედრითი წილი შეადგენდა: იაპონიასა და სამხრეთ კორეაში 71,4 პროცენტს, ფინეთში – 70,2, აშშ-ში – 68,2, შვედეთში – 67,8, გერმანიაში – 66,1, საფრანგეთში – 54,1, ეკონომიკური შემავალ ქვეყნებში საშუალოდ – 55,5 პროცენტს. ფედერალური ბიუჯეტის წილი სამრეწველო კომპანიებისას აღმატებოდა და შეადგენდა საბერძნეთში – 48,7 პროცენტს,

მექსიკაში – 65,3, პორტუგალიაში – 69,7, თურქეთში – 47,7, რუსეთში – 54,8 პროცენტს [ჩიქავა ლ., 2006]. აერძო კომპანიები ძირითადად გამოყენებითი ხასიათის მეცნიერულ კვლევას (70%) და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებებს (90%) აფინანსებენ. ფუნდამენტურ გამოკვლევათა საერთო მოცულობაში კი მათი ხვედრითი წილი 4 პროცენტს არ აღემატება. ამ სფეროში გადამწყვეტ როლს სამთავრობო დაწესებულებები ასრულებენ, რომლებსაც ფედერალური ბიუჯეტი აფინანსებს.

სხვადასხვა ქვეყნების ინოვაციურ სამსახურებს სოფლის მეურნეობაში სპეციფიკური თავისებურებანი გააჩნიათ. ამ მხრივ საინტერესოა ინოვაციების ორი სისტემის განხილვა, ამერიკულისა და ევროპულის, რომელთაც არსებითი განსხვავებები აქვთ როგორც თავიანთი სტრუქტურის, ასევე სამუშაოთა მეორდიკის პრინციპების მიხედვით. [ФГУРССК, 2006:136]. ცოდნის გადაცემის ამგრიგულ სისტემას, ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. 1862 წლიდან ფერმერთა სწავლება აგებულია ცოდნის გავრცელების პრინციპებზე. ამ სამსახურის პირველდაწყებითი ფუნქციები საფუძვლად დადო აშშ-ის შტატების სასოფლო-სამეურნეო კოლეჯების ფუნქციონირებას. 1914 წელს აშშ-ში ჩამოყალიბდა ფედერალური სამსახური „ექსტენშნ სერვისის“ სამსართველოს სახით, სოფლის მეურნეობის სამინისტროში [2010].

როგორია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნები და პრიორიტეტები სოფლის მეურნეობაში ინოვაციური პოლიტიკის გატარების საქმეში? სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკისრებული აქვს ინოვაციების ათვისების ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა სოფლის მეურნეობაში. აღსანიშნავია მხარდაჭერის კიდევ ერთი, კერძოდ, კვლევისა და ფერმერთა სწავლების პროგრამა; კვლევით ლაბორატორიებსა და ექსპერიმენტულ ფერმებში გამოჰყოვთ პირუტყვის ახალი ჯიშები; ამუშავებენ მცენარეთა დაცვის ახალ საშუალებებს, წყვეტები პირუტყვის დაავადებებთან დაკავშირებულ პრობლემებს. მაგალითად, ეკროპიდან და ინგლისიდან შემოყენილ დორებზე ჩატარებული სანაშენო კვლევითი მუშაობის შედეგად გამოყვანილი იქნა ღორის ახალი ჯიშები, რომლებიც უფრო სწრაფად სუქლდებიან მარცვლეულის ნაკლები დანახარჯებით. მოხდა ნიადაგების შემოწმება იმის დასადგენად, თუ რა სახის სასუქებს საჭიროებენ ისინი მარცვლეულის წარმოების გასაზრდელად. სხვა ექსპერიმენტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა პქონდა პიბრიდული თესლების, მცენარეთა კვების, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებების მავნებლებთან ბრძოლოს საქმეში [2010].

აშშ-ის ფერმერების ინოვაციური წარმატებები გამოწყვეტილია აგრეთვე დიდი კაპიტალდაბანდებებით და იმით, რომ სწრაფად მატულოს მაღალკვალიფიციური მუშახელის გამოყენება, ხდება თესლის მეცნიერული დამუშავება და ხელმეორედ გადამუშავება იმ მიზნით, რომ ის მაქსიმალურად პროდუქტიული და გამძლე იყოს დაავადებებისა და გვალვისადმი; გაანგარიშებულია სასუქების გამოყენების და ირიგაციის ოპტიმალური რაოდენობა; მუშავდება ახალი პროექტები ახალი ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესახებ; მექანიზაციის გამოყენება კულტივაციისა და მოსავლის აღებისას ამცირებს შრომის დანახარჯებს და იძლევა დროის ეკონომიკას პროდუქტიულ ერთეულზე; იშვიათი სანახავი როდის ფერმერი, რომელიც მართავს ტრაქტორს, ძალიან ძვირად დირებულ საოთხნეს, მიწის დამამუშავებელ ან მოსავლის ამღებ მანქანას და მასზე მიმაგრებულია პაერის კონდიციონერით აღჭურვილი კაბინა. ფერმერებს მიეწოდებათ კვლევითი ინფორმაცია „ექსტენშნ სერვისის“ სამსახურის მეშვეობით. ეს არის საკმაოდ მოქნილი და ძლიერი სამსახური სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებისა და დანერგვის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების თითქმის ყოველ შტატს, როგორც წესი,

ერთი სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი მაინც აქვს, ხოლო ყოველ ოლქს, ანუ რაიონს – „ექსტენშნ სერვისის“ სამსახურის ოფისი, რომელიც უზრუნველყოფს ფერმერების, აგრეთვე ქალებისა და ბავშვებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას.

დასკვნა

ბოლო წლებში საქართველოში, ცნობილი მიზეზების გამო, მოიშალა ქვეყნის აგროსასურსათო კომპლექსის მართვის მექანიზმი. საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის ხვედრითმა წილმა 2015 წელს 9,2% შეადგინა, ეს მაშინ, როდესაც სოფლად ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი და მათ მიერ შექმნილი ღოვლათი არ არის ამ მაჩვენებლის პროპორციული. საქართველოში დასაქმებულთა ნახევარი სოფლის მეურნეობაზე მოდის და მათი 17-18% დღეში 1 დოლარზე ნაკლებ შემოსავალს იღებს. უკანასკნელ წლებში მკვეთრად შემცირდა აგრარული სექტორის ძირითადი მაჩვენებლები. 2004-2015 წლებში ნათესი ფართობები განახევრდა. შემცირდა მემცნარეობის პროდუქციის წარმოება, მათ შორის კარტოფილის, ხილისა და კურძნის მოსავალი – 50%-ით, ბოსტნეულისა და ბალჩეულილს – 60%-ით, სიმინდის – 70%-ით, ხორბლის – 80%-ით. ასევე შემცირდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის, ღორისა და ფრინველის სულადობა. აღნიშნულ პერიოდში 50%-ით ნაკლები ხიორცი და 25%-ით ნაკლები რძე იქნა წარმოებული; 5-ჯერ ნაკლები ხორბალი იქნა მოყვანილი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, რაც გამოწვეულია პირუტყვის გაუარესებული ჯიშობრივი შემადგენლობით, ვეტერინალური მომსახურების დაბალი დონით, მინდვრად საკვებწარმოებასთან დაკავშირებული პრობლემებით; ყოველივე ზემოთ აღნიშნული უშუალოდაა დაკავშირებული ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფასთან. გაუარესებულია ქვეყნის სასურსათო თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი. ამ მხრივ განსაკუთრებით ადანიშნავია ხორბალი, რომლის იმპორტი 3,7-ჯერ გაიზარდა, ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 24%-დან 9%-მდე შემცირდა. საქართველოს მოსახლეობა ერთ სულზე გაანგარიშებით 2015 წელს მოიხმარდა უფო ნაკლებ პურს, ხორცია და ხორცის პროდუქტებს, რძესა და რძის ნაწარმს, კვერცხს, ხილს, ბოსტნეულს, თაფლს და კვების სხვა პროდუქტს, ვიდრე 2003 წელს. აღნიშნულ პერიოდში პროდუქციის იმპორტი 6-ჯერ გაიზარდა, ხოლო ექსპორტი მხოლოდ 2,5-ჯერ. ამის გამო აგრარულ ბაზარზე ქართული აგრარული პროდუქციის ადგილი უცხოურმა იაფასიანმა, უმეტეს შემთხვევაში, უხარისხო პროდუქციამ დაიკავა. დღეისათვის კი საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული აგროსასურსათო პროდუქციის 80% იმპორტირებულია.

სოფლის მეურნეობაში არსებული მძიე მდგომარეობიდან გამოსავალს ხელისუფლება სოფლად კოოპერაციული სისტემის დანერგვა-განვითარებაში ხედავს. რაც შეეხება შეკითხვას – „წარმოადგენს თუ არა კოოპერაციული სისტემა ინოვაციას საქართველოსთვის?“. ვიზიარებთ სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის პროგრამის მენეჯერთა აზრს, რომ საქართველოში, სრულიად გასაგები მიზეზებისა და გარემოებების გამო, რამდენადმე საგულისხმო პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება ამ სისტემასთან მიმართებაში არ არსებობს და შექმნდებლიცაა რომ არსებობდეს, რადგან სამოცდათი წლის მანძილზე ხელოვნურად რეგულირებული გეგმიური ეპონომიკის, თავისუფალი ბაზრის აკრძალვის, კერძო საკუთრებისა და კერძო მეწარმეობის დაორგუნვისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახით ძალმომრებითი „საწარმოო კოპერაციის“ დანერგვის პირობებში აღნიშნული სისტემა ვერ განვითარდებოდა. მეტიც, 1991 წელს დამოუკიდებლო-

ბის გამოცხადების შემდგომ ოცნებიან პერიოდშიც დარგის განვითარებასთან დაკავშირებული რამდენადმე გააზრდებული და გრძელვადიან სტრატეგიულ ხედვებზე დაფუძნებული პოლიტიკა არც შემუშავებულა და არც გატარებულა.

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებასთან დაკავშირებულ გრძელვადიან სტრატეგიულ ხედვებში დაფუძნებული ინოვაციების ათვისების ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის მიზნით აუცილებელია, სახელმწიფომ, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისას, ორიენტაცია აიღოს ინოვაციური პროცესების დაჩქარებაზე, მაღალკალიფიციური კადრების მომზადებაზე, ამასთან, შეცნიერებასა და წარმოებას შორის ურთიერთობა უნდა აიგოს ურთიერთსარგებლობის პრინციპით, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შერწყმის საფუძველზე, სახელმწიფოს რეგულირება ძირითადად ირიბი მეთოდებით (საგადასახადო ბაზა, საკრედიტო ინვესტიციები, შეღავათები და სტიმულები და სხვა) უნდა ხორციელდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., 2014, ინოვაციები ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამ-ბა, თბილისი.
2. ამერიკის ეკონომიკა – ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა, 2010, ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო.
3. გოგონია თ., 2015, ტექნოლოგიური და მარკეტინგული ინოვაციების დანერგვის ბარიერები და სტიმულები, ჟურნ. „ეკონომისტი”, №5.
4. რეჯიშვილი ზ., 2015, საქართველოს აგრარული განვითარებისა და პოლიტიკის თეორიული საკითხები. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი.
5. რუხაძე ს., 1994, აშშ-ის აგროსამრეწველო კომპლექსის სახელმწიფო რეგულირების საკითხები, თბილისი.
6. ქავთარაძე თ., 2003, აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირბებში და საქართველო, „მეცნიერება”, თბილისი.
7. ქველაძე ქ., 2013, ინოვაციების პოლიტიკა ტურიზმის განვითარებაში თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი.
8. ქისტაური ნ., 2015, ინოვაციებისა და ცვლილებების მართვის თანამედროვე პრობლემები. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი.
9. ხარაძეშვილი ქ., 2012, ინოვაციური განვითარების პრობლემები საქართველოს ფერმერულ მეურნეობებში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამ-ბა, ტომი 2, თბილისი.
10. ჩიქავა ლ., 2006, ინოვაციური ეკონომიკა, საგამომცემლო ფირმა „სიახლე”, თბილისი.
11. www.fao.org/corp/statistics

12. Косвоение инновации в агропромышленном комплексе опыт и провлемы, 2006, М . : ФГУРССК - 136 с.

Tengiz Kavtaradze
Doctor of Economics

**THE USA POLICY OF INNOVATION IN AGRICULTURE AND THE
POSSIBILITIES TO USE IT IN GEORGIA**
Expanded Summary

Innovation is a novelty based on the use of gains of scientific knowledge and advanced experience in technologies, technics, labor organization and management. The use of scientific and technological novelties is related to all human activities including the agrarian sector. For example in the production the use of technical and economic innovations means the development of new types of projects, as well as the implementation of new technologies, progressive forms of labor and entrepreneurship.

The USA state agrarian innovative policy is an integral part of the country's social – innovative policy identifying in agriculture the goals, main directions and methods of state power functioning. In agriculture the most significant goal of innovative policy is to create the mechanism. That provides the successful application of the latest advances in technics and technologies, generally, the results of national and international innovative activities, more fully meet competitive products on the world market, acceleration of social-economic development of the country and ever-growing material and cultural events. It involves three stages: scientifically based concept of development of national innovative activity worked out by means of comprehensive analysis of the potential; determination of basic directions of state support to the development of innovative activity; identification of practical action to intensify the innovative activity.

The success of US policy of innovation is due to a large capital investment in agriculture and rapidly increasing use of high-skilled workers; scientific processing and re-processing of seed in order to maximize its productivity and disease and drought resistance; is established the optimal number of fertilizers and irrigation. Projects for new tractors and other agricultural equipment are being developed; the use of mechanization in cultivation and harvesting reduces labor costs and makes it possible to save time on each unit of output. Farmers are provided with research information through "extension service". This is a very flexible and powerful service for agricultural knowledge dissemination and implementation. Almost every state in the United States usually has at least one agricultural university and each district has "extension service" office which provides farmers, women and children as well with the necessary information.

In US food complex for the implementation of any information the national priority tasks are carried out by a special targeted programs but with the difference that each target innovative program is realized through law which is discussed in congress and after approval enters into force. Federal budget allocates the necessary

funds for the implementation of each such program, and the ministry of agriculture improves its structure – sets up new departments, Federal budget allocations are systematically growing.

In recent years agricultural management mechanism has been undermined in Georgia because of well - known reasons, Specific share of agriculture in GDP of Georgia was 9,2%.

That's when more than half of the country's population lives in rural areas and the wealth created by hem is not proportional to this parameter. In Georgia half of employees occupied in agriculture and 17-18% of them gets income less than \$1 a day. The main highlights of the agricultural sector have fallen sharply in recent years. In 2004-2015 years, the sown area was half-reduced; crop production including potatoes, fruit and grape harvest was reduced by 50%, vegetables and melons by 60%, corn by 70%, wheat by 80%. The number of cattle, sheep and poultry also decreased. During this period, 50% less meat and 25 % less milk was produced. Wheat production per capita was 5 times less due to the worsening of the varietal composition of livestock, low level veterinary service, found production-related problems in the field. All these are directly related to the country's food self-sufficiency, the ratio of which is worsened. Particularly note worthy is wheat the import of which increased 3,7 times, grain self-sufficiency ratio decreased from 24% to 9%. The consumption of bread, meat and meat products, milk and dairy products, eggs, vegetables, honey and other food products by Georgian population was less than in 2003. During this period, import of products increased 6 times, white export-only 2,5 times. Because of this Georgian agricultural products were replaced by foreign cheap, in most cases, defective goods in agricultural market. At present 80% of agro-food products consumed by the population is imported.

In order to escape the difficult situation in agriculture the government considers rural cooperative system development. As for the question – “Is the cooperative system the innovation or not in Georgia?” in our view because of understandable reasons and circumstances some of considerable practical experience and knowledge with regard to the system does not exist and is impossible to exist as the seventy years of artificially regulated central planned economy, the prohibition of the free market, private property and private enterprise in the violent repression from and the implementation of industrial cooperation in the form of Kolkhozes and Sovkhozes the system can not be developed. More over, after the declaration of independence in 1991 for twenty years, the policy based on thought out and long term strategic vision related to the sector's development was not implemented either.

**თამარ ლაზარიაშვილი
თხუ გეონომიკისა და ბიზნესის
ფაქულტეტის ასისტენტ-პროფესორი**

სუბსიდირების პროგრამების ეფექტიანობა მიმღებელთა მიღვისეობაში

რეზიუმე

სტატიაში შეფასებულია აგრარულ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობის პოლიტიკა, გაანალიზებულია მდგრადი-მდგრადი მოზიდვის ხელშიდირების სისტემა. გაკეთებულია დასკვნა სექტორის პროგრამების უპირატესობის, ასევე, მინიმალური ფასების პოლიტიკით გამოწვეული სარგებლისა და ზარალის შესახებ. მოცემულია მოსავლის პირდაპირი დაფინანსების მექანიზმი და შემოთავა ზებულია საგრანტო პროგრამების ამოქმედების რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს საოჯახო, მცირე მეურნეობების განვითარებას და შესაბამისი დანადგარებით უზრუნველყოფას.

საკვანძო სიტყვები: აგრობიზნესი, სექტორის საგრანტო პროგრამა, ინვესტიცია, აგროსაბურსათო წარმოება.

შესავალი

საქართველოში აგრარული სექტორი მრავალი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას, კერძოდ ძალზე დაბალია პროდუქტიულობა, ქვეყანაში სიდარიბის მაღალი დონეა, სავარგულების საერთო რაოდენობა 43%-ით შემცირდა, რამაც შეამცირა ერთ პექტარ სავარგულზე პროდუქტის რაოდენობაც. სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა 53% მხოლოდ ნატურალურ მეურნეობაში წარმოებული პროდუქტით კმაყოფილდება, ხოლო მათი 25, 8 % ქვეყნის საშუალო მედიანური მოხმარების 60%-ს მოიხმარს [ლაზარიაშვილი თ., 2015].

სოფლის მეურნეობას კვლავ განსაკუთრებული როლი ეკისრება დასაქმების გაზრდასა და სიდარიბის შემცირებაში. საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, დადებითი შედეგის მიღწევის უპირველესი გარანტი იქნება აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის ამ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სუბსიდირების პროგრამების დანერგვა.

* * *

დღეისათვის სოფლის მეურნეობაში სუბსიდირების სისტემა ბევრ ქვეყანაში მოქმედებს. სოფლის მეურნეობის სუბსიდირების პოლიტიკა აქტიურად გამოიყენება აშშ-ში, მექსიკაში, რუმინეთში, კანადაში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში, ბულგარეთში, სამხრეთ კორეაში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში. სუბსიდიები მიზნად ისახავს მინიმალური ფასების უზრუნველყოფის ხელშეწყობას და ხშირ შემთხვევაში გამოიყენება მოსავლის პირდაპირი დაფინანსების ფორმით.

დარგის განვითარების დადებითი დინამიკის შენარჩუნებისა და წარმოების სტიმულირების მიზნით, ასევე, მევენახევების ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ 2015 წელს კურძნის სუბსიდირების გადაწყვეტილება მიიღო. სუბსიდირების უპირატესობა არის ის, რომ ფერმერი ჩაბარებული კურძნის

საფასურს დაგვიანების გარეშე, ყურძნის ჩაბარებიდან დაახლოებით 2 კვირის განმავლობაში, ბანკში მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე მიიღებს. მნიშვნელოვანია მევენახეობა-მედვინეობის განვითარების კუთხით განხორციელებული ღონისძიებები, მათ შორის, ვენახების კადასტრის პროგრამა და ბაზრების დივერსიფიკაცია. ბოლო პერიოდში გაშენდა ახალი ვენახები, გაიზარდა დვინის წარმოება და ქართული დვინის საექსპორტო არეალი, ამოქმედდა აგროდაზღვეების პროგრამა, დამონტაჟდა სეტუპის საწინააღმდეგო დანადგარები და სხვა. მიუხედავად ამისა, მევენახეობა-მედვინეობის დარგში კვლავაც პრობლემები რჩება.

საქართველოში ვენახების ფართობების (58 ათასი ჸა) უმეტესი ნაწილი ქვეწის აღმოსავლეთი ნაწილზე მოდის, კერძოდ კახეთის მხარეში 68%-ია, დასავლეთში წამყანია იმერეთის მხარე, სადაც შესაბამისი მაჩვენებელი 18%-ია, 9% მოდის ქართლზე, დანარჩენი 5% კი სხვა რეგიონებზეა გადანაწილებული. 2013 წლის მონაცემებით, ყურძნის ხვედრითი წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) შეადგენს დაახლოებით 1.4%-ს. ყურძნის კველაზე მაღალი მოსავალი 2007 წლის შემდეგ (227 000 ტონა) 2014 წელს დაფიქსირდა (224 000 ტონა)¹.

სამრეწველოდ გადამუშავებული ყურძნის ოდენობა კი წლების განმავლობაში შემდგენირად იცვლებოდა (იხ. ცხრილი 1):

**ცხრილი 1
სამრეწველოდ გადამუშავებული ყურძნის ოდენობა 2009-2014 წლებში²**

| წელი | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 |
|---------------------------------------|--------|--------|--------|--------|--------|---------|
| გადამუშავებული ყურძნის ოდენობა (ტონა) | 23 000 | 23 000 | 43 500 | 54 000 | 92 773 | 124 606 |

ყურძნის გადამუშავებიდან მიღებული შემოსავალი 2013 წელს 116, ხოლო 2014 წელს 177 მლნ ლარი იყო. 2015 წელს სამრეწველოდ გადამუშავდა 143 167 ტონა ყურძნი და შემოსავალმა 102 341 924 მლნ ლარი შეადგინა. ყურძნის ფასი, სუბსიდიის ჩათვლით, წლების მიხედვით შემდეგნაირად ცვალებადი (ცხრილი 2):

**ცხრილი 2
წითელი და თეთრი ყურძნის ჩაბარების ფასი (ლარში)³**

| წელი | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 |
|---------------|-----------|-----------|--------|----------|-----------|
| თეთრი | 0.60 ლარი | 0.70 ლარი | 1 ლარი | 1 ლარი | 1 ლარი |
| წითელი | 0.80 ლარი | 1 ლარი | 1 ლარი | 1.3 ლარი | 1.95 ლარი |
| რაჭა (წითელი) | 3 ლარი | 3 ლარი | 4 ლარი | 8 ლარი | 8 ლარი |

სოფლის მეურნეობაში გამოყენებული პროგრამების მიმართ სახელმწიფო მიღომა უნდა შეცვალოს. საჭიროა საგრანტო პროგრამებიც, ასეთი პროგრამები გამოიწვევს მცირე ფერმერული მეურნეობების განვითარებას და ტექნიკური აღჭურვილობის გაზრდას, რაც ხელს შეუწყობს დვინის ხარისხის გაუმჯობესებას. საჭიროა ვაწარმოოთ არა ზოგადად ყურძნის პროდუქცია, არამედ ვაწარმოოთ იგი განსაზღვრული დვინის ტიპისა და ხარისხის, უპირველეს ყოვლისა, კონტროლს

¹ <http://www.geostat.ge>

² <http://www.moa.gov.ge>

³ <http://www.moa.gov.ge>

დაქვემდებარებული, ადგილმდებარეობის მიხედვით წარმოშობილი პროდუქცია [ლაზარიაშვილი ო. 2007]. სხვა ზომების მიღებასთან ერთად, სასურველია სახელმწიფოს მხრიდან კანონმდებლობის გამკაცრება. განსაკუთრებით აქტიური მუშაობა უნდა გაგრძელდეს დვინის ბაზრების დივერსიფიცირებისთვის, რომ ერთ ქვეყანაში ექსპორტის შემცირებამ მომავალშიც მსგავსი პრობლემები არ შეგვიქმნას. ყურძენზე გასაცემი სუბსიდია წლების მიხედვით შემდეგი ოდენობით განისაზღვრა (ცხრილი 3):

ცხრილი 3

ყურძნის სუბსიდირებისთვის გამოყოფილი თანხა ლარებში⁴

| წელი | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 |
|------------|---------|---------|---------|---------|----------|--------|--------|--------|
| რქაწითელი | 0.15 | 0.15 | 0.15 | 0.15 | 0.25 | 0.40 | 0.35 | 0.35 |
| საფერავი | 0.25 | 0.25 | 0.25 | 0.25 | 0.35 | 0.35 | 0.15 | 0.15 |
| მუჯურეთული | - | 1.0 | 1.0 | 1.0 | 1.0 | - | - | - |
| სულ | 6.1 მლნ | 5.5 მლნ | 4.7 მლნ | 8.7 მლნ | 14.8 მლნ | 32 მლნ | 32 მლნ | 30 მლნ |

1 პეტარზე გაწეული დანახარჯების მიხედვით, ვენახის მოვლა საშუალოდ 4000-5000 ლარი ჯდება. ყურძნის თვითდირებულებას, მოვლის ხარჯთან ერთად, მოსავლიანობაც განსაზღვრავს. 1 კილოგრამი თეთრი ყურძნის ღირებულება 35-40 თეთრის ფარგლებში მერყეობს, შავი ყურძნის – 40-50 თეთრის ფარგლებში. თუმცა, არიან მევენახები, ვინც უფრო მეტი თანხა დახარჯა და მათვის ყურძნის თვითდირებულება 50-60 თეთრს აღწევს. ეს გარეულწილად ლარის დევალვა-ციამ, სასუქებისა და შესამქიმიკატების ფასების ზრდამ და მუშახელის გამვირებამ გამოიწვია, რაც ყურძნის თვითდირებულებაზეც აისახა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია ითვალისწინებს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტანდარტული ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უცნებლობასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას⁵. „აუცილებელია სასურსათო ბაზრის უზრუნველყოფით დარგების განვითარებისათვის ხელშეწყობა საინვესტიციო მოთხოვნების გათვალისწინებით. უპირველეს ყოვლისა, რესურსებისა და ინვესტიციების კონცენტრაცია კონკურენტუნარიან პროდუქტებზე უნდა წარიმაროს. საქართველოსთვის ხილი, ყურძენი, ბოსტნეული, კარტოფილი, ტრადიციული კულტურებია, ასევე ტრადიციულია მეცხოველეობის უმეტესი დარგები (მსხვილფეხა პირუტყვის მოშენება, მეცხვარეობა, მეფუტერეობა და სხვა). თუ ამ დარგებისადმი განხორციელდება პროტექციონისტული პოლიტიკა და ამუშავდება გადამამუშავებელი მრეწველობის დარგები, ისინი კონკურენტუნარიანი გახდებიან და თვითონვე შექმნიან საინვენტიციო ფონდებს” [ხარაიშვილი ქ. 2011, გვ. 77]. მევენახეობადმედვინეობის სექტორს აქვს არა მარტო საინვესტიციო ფონდების შექმნის, არამედ საკმაოდ დიდი დივერსიფიკაციის შესაძლებლობებიც, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივად ათვისებული ფერმერებისა და საწარმოების მხრიდან

ბოლო პერიოდში დვინის ბაზარზე განვითარებულმა მოვლენებმა გამოიწვია საექსპორტო ბაზრებზე ქართული დვინის შემცირება, ეს უარყოფითად აისახა

⁴ <http://www.moa.gov.ge>

⁵ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. 2015.

ადგილობრივი წარმოებაზე, კერძოდ – მნიშვნელოვნად შემცირდა მოთხოვნა ფურძებზე.

დღეს პროდუქციის ექსპორტს 35 კომპანია ეწევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დვინო უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეულში შედის და 2014 წელს დვინის აქსპორტმა მთლიანი ექსპორტის 6.3% შეადგინა. ექსპორტირებული დვინის ოდენობა წლების მიხედვით შემდეგნაირად არის წარმოდგენილი (ცხრილი 4):

ცხრილი 4

დვინის ექსპორტი 2010-2015 წლებში⁶

| წელი | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 I-II პლ. |
|---------------------------------|--------|--------|--------|--------|--------|---------------|
| დვინის ექსპორტი (0.75 ლ. ბოთლი) | 15 მლნ | 19 მლნ | 23 მლნ | 46 მლნ | 59 მლნ | 13 მლნ |

2010-2014 წლებში ქართული დვინის ექსპორტი 61 ქვეყანაში განხორციელდა. 2010-2012 წლებში დვინის საექსპორტო ქვეყნების ხუთეული თითქმის უცვლელი იყო (უკრაინა, ყაზახეთი, ბელორუსი, პოლონეთი და ლატვია). 2013-2014 წლებში, რუსეთში ქართულ დვინოზე ემბარგოს გაუქმების შემდეგ, პირველი ადგილი დიდი უპირატესობით რუსეთს უკავია: 2013 წელს – 22 997 170 ბოთლი (მთლიანი ექსპორტის 49%) და 2014 წელს – 37 615 052 ბოთლი (მთლიანი ექსპორტის 63%). დანარჩენი ოთხეული უცვლელია: უკრაინა, ყაზახეთი, ბელორუსი და პოლონეთი. 2015 წელს ექსპორტის მატებაა ისეთ ბაზრებზე, როგორებიცაა: ჩინეთი – 23%, იაპონია – 21%, ლატვია – 20%, ესტონეთი – 16%, გერმანია – 5%, კანადა – 159%, აშშ – 61%, ყაზახეთი – 6%, დიდი ბრიტანეთი – 33%, პონკონგი – 230% და სხვა. თუმცა, ამ ქვეყნებში დვინის ექსპორტის წილი იმდენად მცირეა, რომ ჯერჯერობით საერთო სურათს ვერ ცვლის. შესაბამისად, 2015 წლის პირველ 6 თვეში რუსეთსა და უკრაინაში დვინის ექსპორტის შემცირების გამო, საქართველოდან დვინის ექსპორტი 49%-ით შემცირდა, რამაც, თავის მხრივ, ყურძენზე მოთხოვნის შემცირება განაპირობა⁷.

სავარაუდოა, რომ რუსეთსა და უკრაინას შორის არსებული კონფლიქტის დარეგულირების კვალიობაზე ქართული დვინის ექსპორტი გაიზრდება ამ ქვეყნებში. ამასთან, ქართული დვინო სულ უფრო ცნობადი ხდება ევროკავშირის ბაზარზე და შესაბამისად ქართული დვინის გაყიდვებიც უნდა გაიზარდოს ევროკავშირის ქვეყნებში.

ამ ასპექტით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სუბსიდირების როლი, რომელიც, ზოგადად, მძლავრი სტიმულია აგრარულ სფეროში მოქმედი მეურნეობებისთვის, რომ გაზარდონ წარმოების მოცულობა და გააფართოვონ საკუთარი საქმიანობა. სუბსიდირების პოლიტიკა მათთვის ქმნის დადგებით მოლოდინებსაც მომავალთან დაკავშირებით და უქმნის განცდას, რომ სახელმწიფო ზრუნავს მათზე.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, სახელმწიფომ, სხვადასხვა ფორმით, 2013 და 2014 წლებში, კახეთის რეგიონში, მევენახეობა-მედვინეობის დარგის დასახმარებლად, ჯამში 270 მილიონამდე ლარი დახარჯა (100 მილიონი – 2013-ში და 169 მილიონი – 2014-ში). თუ 2014 წელს კილოგრამი თეთრი ყურძნის ფასი 1 ლარის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო წითელი ყურძენი, ხარისხისა და მიკროზონების მიხედვით, 2-დან 3 ლარამდე იყო; 2015 წელს თეთრი ყურძენი 70 თეთრი

⁶ <http://www.moa.gov.ge>

⁷ <http://www.moa.gov.ge>

ლირდა, წითელის ფასი კი 85 თეორიდან ერთ ლარამდე მერყეობდა. თეორ კურქენზე 35, წითელზე – 15 თეორი თდენობის სუბსილი გაიცა, დანარჩენი თანხა კურმნის მწარმოებლებს დვინის კომპანიებმა დაუფარეს. გარდა ფინანსური სტიმულებისა, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს როლი მევენახეების ინფორმირებულობის დონის ამაღლებაში, ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა: უცხოურ ბაზრებზე არსებული მოთხოვნა ქართული დვინის სხვადასხვა სახეობებზე; საზღვარგარეთ მზარდი მოთხოვნა ბიოლინოზე და მისი დამზადების ტექნილოგიები; დვინის ან ლინომასალის ექსპორტის განხორციელება დამოუკიდებლად; მევენახეობის გარდაქმნა ტრადიციული საოჯახო სამართლით თანამედროვე ტიპის ბიზნესად და ა.შ.; მიგვაჩინია, რომ კურმნის სუბსიდირებამ თავისი დადგებითი როლი შეასრულა, თუმცა მომავალში საჭირო იქნება გრანტებისა და სხვა პროგრამების საფუძველზე მისი წილის შემცირება.

დასკვნა

საქართველოს შეუძლია მაღალხარისხოვანი სუფრის სამარკო და უნიკალური ნახევრადტებილი დვინოები მსოფლიო ბაზარს მიაწოდოს. დიდი მოთხოვნილებაა ქართულ სამარკო შამპანურზე და კონიაკზეც. არსებობს დვინოპროდუქტების საქსპორტო გატანის შესაძლებლობებიც. მსოფლიოში მოთხოვნილება ძირითადად წითელ და ვარდისფერ დვინოებზეა, საქართველოში კი ამ დვინოების ხარისხი მეტად მაღალია. ამიტომ აუცილებელია ხელსაყრელი გარემოს შექმნა ფერმერებისათვის კურმნის წითელი და ვარდისფერი ჯიშების საწარმოებლად. მაშასადამე, მევენახეობა-მედვინეობის განვითრება განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების თვალსაზრისითაც.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში წამყვანი ძალა მცირე საოჯახო მეურნეობებია, რომლებსაც მცირე შემოსავლებიდან გამომდინარე უჭირთ ნარგავების/ნათესების მოვლა. შესაბამისად, სახელმწიფოს შეუძლია ამ მიმართულებით დახმარება გაუწიოს მეურნეობებს, რათა მათ მიერ წარმოებული პროდუქცია გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი უცხოურ პროდუქციასთან მიმართებით. ამ მხრივ გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის მწარმოებლები, უმეტეს შემთხვევაში, სარგებლობები მხარდამჭერი ღონისძიებებით მათი ქვეყნის მთავრობებისგან. დვინო არის ის პროდუქტი, რომელსაც ყველაზე დიდი საქსპორტო პოტენციალი აქვს სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებთან შედარებით, ამიტომ საჭიროა უფრო აქტიური მუშაობა კურმნის წარმოების სტიმულირებისა და საზღვარგარეთ ახალი ბაზრების ასათვისებლად.

მიგვაჩინია, რომ სუბსიდირების პოლიტიკა ამ ეტაპზე შენარჩუნებული უნდა იყოს იმ სახით, როგორი სახითაც ამჟამადაა წარმოდგენილი - მიბმული უნდა იყოს წარმოების მოცულობაზე, რათა სტიმული მისცეს კენახების გაფართოებასა და კურმნის წარმოების ზრდას. სუბსიდიის არსებობა მევენახეებს უქმნის გარევეული სტაბილურობის შევრცხებას და უზრუნველყოფს მათოვის დამატებით შემოსავალს. გარევეულ ეტაპზე შესაძლებელია განხილულ იქნეს საქართველოში მევენახებისთვის ფიქსირებული სუბსიდიების მიცემა, რაც უზრუნველყოფს სტაბილურ შემოსავალს მათოვის და ხელს შეუწყობს მათი კრედიტუნარიანობის ზრდას. ფიქსირებული სუბსიდიების უარყოფითი მხარეები ის, რომ მან შესაძლოა შეამციროს მათი წარმოების მოცულობის ზრდის სტიმულები და მიღებული სუბსიდია გამოიყენოს სხვა მიმართულებით. ამიტომ, საჭიროა კვლევების გააქტიურება ამ მიმართულებით, რათა დაიხვეწოს სახელმწიფოს მხარდამჭერი პოლიტიკა და შემუშავდეს სუბსიდირების ოპტიმალური მოდელი.

მიზანშეწონილია, სახელმწიფოს ხელშეწყობით ქვეყანაში ბიზნესზე ორგანიზებული სოფლის მეურნეობა განვითარდეს და საქართველო აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტიორ ქვეყნად იქცეს. საექსპორტო პოტენციალის გაუმჯობესება, ქართული ღვინოების დამკვიდრება მსოფლიო ბაზარზე და დაკარგული პოზიციების დაბრუნება უნდა იქცეს მევენახეობად მედვინეობის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად. დასახული მიზნების მისაღწევად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებებია განსახორციელებელი: ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს უზრუნველყოფა, სპეცირალიზაციის მიღება, სამეცნიერო სამუშაოების წარმატება, ხარისხის კონტროლისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ქართული ღვინის სახელის დაცვა საერთაშორისო ბაზარზე, თანაც არა მოკლე ხნით, არამედ კრძალვადიან პერიოდში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლაზარიაშვილი თ., 2015, აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და მათი დაძლევის გზები საქართველოში, საერთაშორისო სამეცნიეროდპრაქტიკული კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები, პრიზ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პატა გუგუშვილის სახელობის ეპონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 10-11 ივლისი.
2. ლაზარიაშვილი თ., 2007, „მევენახეობა-მდგვინეობის განვითარების პრობლემები კახეთის მხარეში. თბილისი, „უნივერსამი“.
3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, 2015, თბილისი.
4. ხარაიშვილი ე., 2011, კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი.

*Tamar Lazariashvili
Doctor of Economics,
assistant-professor of the faculty of economy
and business of tbilisi state university*

EFFECTIVENESS OF SUBSIDIZE PROGRAMS IN VINERY-WINERY Expanded Summary

In the article is estimated the supporting politics of attracting financial resources ; is proved its vital importance for the economy. Is analyzed the system of subsidizing of viticulture-vine-growing and is made the conclusion that the advantage of subsidizing will support providing minimal prices and direct financing of the crops.

Agriculture in Georgia has the biggest economic and social role. It is often discussed as one of the ways of overcoming poverty. Nowadays the production .made in the agriculture of Georgia is less competitiveness than foreign production and can't manage to assume the important part of the market. The country has a big amount of non-assumed potential in the agriculture. One of the ways of assuming and stimulating

this production in Georgia as in foreign countries is considered the politics of subsidizing.

In the viticulture from one hand is felt the support from the state and from the other hand are realized the wide opportunities of marketing of the production produced by them in conditions of existing of the Russian market. In the case of establishing the expect of non-stopped politics with the connection of growing volumes of subsidizing for vine-growers it will be changed according to its producing decisions, it will be more oriented on the volume of production and on the growing of the areas of the vineyards. The supporting politics of the state can play a supporting role in the development of the agrarian sector of Georgia. The first goal by this aspect in the market of agrarian product is important change of importing product that won't be managed without supporting of the state. The vine-growers get important loss by the natural disasters and they can't often manage to get the necessary amounts for insuring these risks. In these conditions the state can take its part in the insurance of crops. It often happens that the vine-growers who take credits aren't able to refund them. Thus they are left without crops in the case of damage of the crops and won't be able to take additional credits and to realize new investments. With the help of the effective insurance system is possible to compensate their losses and realize non-stopped development of the farming.

The politics of subsidizing on this stage is considered to be kept so as it is represented nowadays. It must be attached on the volume of production in order to stimulate the growth of viticulture and the production of grapes. Existing of subsidizing makes the feeling of stabilizing for vine-growers and provides the additional incomes for them. That's why it can be explained that 90 percent of vine-growers won't make the area of the vineyards wider in the case of cancelling of subsidizing.

On the certain stage it can be discussed to give big subsidies for the vine-growers in Georgia that will provide stabilized incomes for them and will support the growth of creditability for them. The negative side of the fixed subsidizing is, that it can reduce the stimulus of growing volumes of production and they may use these subsidies in other directions. It's necessary to activate investigations to this directions in order to improve the supporting politics of the state and to work out the optimal model of subsidizing.

Besides subsidies the vine-growers need additional stimulus that are connected with reducing the risks. That's why it's necessary to keep the system of agrarian insurance where the state will be the participant.

Family farming often needs additional financial resources of growing their activities. By this aspect the role of the state is important and it must keep privileged programs of credits. Besides the financial stimulus is important the role of the state of the growth of information of viticulture about the items as the demand of the different types of the Georgian wines existed on the foreign markets, growing and technology of its producing, realizing of wines or wine materials independently, turning of viticulture from traditional family farming to modern type of business.etc. Proper state structures must cooperate more actively and support to develop joint investigations and realizing joint projects. Carrying out the investigations are often stopped by non-existed data and the difficulties to find them..By the state and active cooperation of the scientific circles will be grown the amount of deep investigations

about the actual items of agriculture, will appear new initiatives. Will be simplified making decisions for working out the politics of agriculture and will be grown their effectiveness.

In the article are offered the recommendations of grant programs to be made into action that will support to create small family farming and providing them with suitable equipments. The regulation of wine quality is also necessary. Falsified wines mustn't be sold. From the side of the state it's desirable the legislation to be made strict. Particularly active work must be done for diversifying wine markets.

სასურსათო ჟარზონება
FOOD SAFETY

ზურაბ გარაგანიძე
გეონომისტის დოქტორი, ხელ-ხ პროფესორი

შიმშილი – ძართული სახელმწიფოს ვარშლი საზოგადო

რეზიუმე

სტატიაში განხილულია გეონომიკური უსაფრთხოების ისეთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, როგორიცაა სასურსათო უსაფრთხოება და მისი უზრუნველყოფის მაჩვენებლები. თანამდებობები გეონომიკურ დიტერატურაში არ არსებობს ერთიანი შეხედულება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ისეთი ძერაკების გამოყენებაზე, როგორიცაა აღილობრივ საქონის მნიშვნელობაზე დაცვა. დასავლეთის ძევრ ქვეყნაში ხახულმწიფო ცდილობს, ებადადებული პროტექციონის ბარიერების ნაცვლად, გამოიყენოს სახელმწიფო შესყიდვების მოქნილი სისტემა სამამულო საქონის მნიშვნელობის დაზღვრითა წარმოებული სურსათის საზოგადოებრივი დაწესებულებების მიერ გარანტირებულად შესყიდვების წახახალისებრიდად. ხელიაში ასეთი სისტემებია განხილული.

საქვანძო ხიტყვები: სასურსათო უსაფრთხოება, ხახულმწიფო შესყიდვები, სასურსათო კალათა.

შესავალი

საქართველოში 5 წლამდე ასაკის 1000 ბავშვი იღუპება წელიწადში. აქედან 300 იღუპება კვების დეფიციტის გამო... საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა ბავშვთა 27 პროცენტი ცხოვრობს... უკიდურესად მაღალია დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, რომლითაც საქართველო მესამე ადგილზეა ევროპასა და ცენტრალურ აზიაში... ასევე მაღალია იმ ბავშვთა რაოდენობა, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ სკოლამდელ განათლებაზე [ჯელაძე ლ., 2014].

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა, გარემოს დაცვის, ენერგიის ახალი წყაროების გამოყენებისა და სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად, მიერთვნება მსოფლიოს გლობალურ პრობლემათა რიცხვს, რომელთა გადაჭრაზე ბევრადაა დამოკიდებული კაცობრიობის მომავალი [Римская декларация, 2012].

სულ უფრო მეტი შეტყიური, პრაქტიკოსი მუშაკი და პოლიტიკური მოღვაწე თვების, რომ მალე სასურსათო პრობლემა საერთაშორისო კრიზისამდე მიგვიყანს და, ექსპერტების აზრით, სურსათზე მოთხოვნის ზრდა განპირობებული იქნება ორი გარემოებით: დედამიწის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდითა და კველა ქვეყნის მისწრაფებით, რათა გაზარდოს თავისი მოსახლეობის კვების კალორიულობა და ხარისხი. გაანგარიშების თანახმად, დედამიწის მოსახლეობა 2030 წლისათვის მიაღწევს 8,9 მლრდს. სხვადასხვა ქვეყნების შორის კვების ხარისხისა და კალორიულობას შორის განსხვავების ლიკვიდაცია ასევე იქნება სურათზე მოთხოვნის ზრდის მძლავრი ფაქტორი. ექსპერტების კველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, თუ ამოსავალ პუნქტად მხოლოდ პლანეტის მოსახლეობის აღნიშნულ ზრდასა და კვების თანამედროვე ნორმებს მივიჩნევთ, მაშინ მარცვლეულის დეფიციტი 2030 წლისათვის იქნება 526 მლნ ტონა, ხორცის – 40 მლნ ტონა, ზღვის პროდუქტების - 68 მლნ ტონა.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიო სასურსათო ორგანიზაციის, FAO-ს ხელმძღვანელი ჟაპ დიუფი თვლიდა, რომ თუკი არ მოხდება ტექნოლოგიური გარღვევა სურსათის წარმოებასა და ნიადაგის ნაეოფიქრებაში, XXI საუკუნის პირველივე ნახევარში უკვე შეიძლება დაიწყოს უმძლავრესი სასურსათო კრიზისი.

აღნიშნულ სფეროში სიტუაციის მოსალოდნელ გართულებასთან დაკავშირებით შესაძლებელია ცალკეულ ქვეყნებში გადაისინჯოს ეროვნული სტრატეგია. განვითარებული ქვეყნების ერთი ნაწილი უკვე მუშაობს ამ მიმართულებით, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მათ გადახედეს აღრინდელ შეხედულებებს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაზრდის შესახებ.

ტერმინი „სასურსათო უსაფრთხოება“ საერთაშორისო პრაქტიკაში შემოღებულია XX ს. 70-იანი წლებიდან, მარცვლეულის ღრმა კრიზისის შემდეგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის – FAO-ს ეგიდით შექმნილია საერთაშორისო სასურსათო უსფრთხოების მუდმივმოქმედი კომიტეტი.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებს დიდი ყურადღება ექცევა მსოფლიოს უკელა ქვეყანაში. აღნიშნული საკითხები მთავრობების პოლიტიკის ერთერთი მთავარი საგანია და, ამ საკითხებიდან გამომდინარე, ისინი აყალიბებენ იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პირობებს, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრას [კორდონიე კ., 2010; კოლქარტი ვ., 2008].

ამჟამად განვითარებული ქვეყნების უმრავლესობას აქვს სასურსათო უსაფრთხოების საკუთარი საკანონმდებლო ბაზა. ასე მაგალითად, აშშ-ში კანონს „სასურსათო უსაფრთხოების შესახებ“ აქვს ნახევარ საუკუნეზე მეტი წენის ისტორია. გერმანიაში ჯერ კიდევ 1955 წლის მიიღეს კანონი „გერმანიის სოფლის მეურნეობის შესახებ“, რომელშიც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ვალდებულია, სასურსათო მომარაგების პრობლემა განიხილოს როგორც სტრატეგიული ამოცანა, აუცილებლობის შემთხვევაში მოახდინოს სასურსათო ფონდების ფორმირება, გამოიყენოს ეკონომიკური სტიმულირებისა და მხარდაჭერის ღონისძიებების მთელი კომპლექსი და არ დატოვოს სასურსათო პრობლემა მესამე ქვეყნებზე დამოკიდებულ მდგომარეობაში.

სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის რეალიზაცია განვითარებულ ქვეყნებში ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკურ განვითარებაში აქტიური ჩარევის, საკუთარი სასოფლო-სამეურნეო საქონლის მწარმოებლების მიმართ თანადგომის გზით. სახელმწიფოს მხრივ მხარდაჭერას მრავალასპექტიანი ხასიათი აქვს. ესაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, ფასების რეგულირება, აგრარული წარმოებისთვის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაზე აკოტის დაწესება, საქონელმწარმოებელთა დაცვა საზღვარგარეთიდან უფრო იაფი სურსათით ინტერვენციისგან, სოციალური პროგრამების დაფინანსება და ა.შ. დასავლეთის ბევრი მთავრობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარს არეგულირებს სათესი ფართოების დაგეგმვის, სახელმწიფოს მიერ საქონლის ნამატის შენახვისა და შემდგომი რეალიზაციის გზით, ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საგარეო ბაზრების გაფართოებას, უზრუნველყოფს მისი ხარისხის კონტროლს, ატარებს ბუნების დაცვის ღონისძიებებს და ა.შ.

სასურსათო უსაფრთხოების არსი

საქართველოსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ისტორიაში სასურსათო უსაფრთხოების საკითხი გასული საუკუნის 70-იან წლებამდე არ წამოწეულია.

ბუნებრივია, ამ პრობლემის ირგვლივ სამეცნიერო კვლევაც ამ დრომდე არ მიმდინარეობდა. თანამედროვე პირობებშიც საქართველოში პრაქტიკულად მხოლოდ ბოლო წლებში მიმდინარეობს მუშაობა სასურსათო უსაფრთხოების საკითხების შესწავლაზე, იშვიათია ოუმცა მაინც გვხვდება მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის შესახებ ფუნდამენტური გამოკვლევები [მოდებაძე ნ... 1998; კოლუშვილი პ. 1999, 2004]. მაღალ სუსტი და ნაკლებ ეფექტიანია ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა.

როდესაც ლაპარაკია უსაფრთხოებაზე, აშკარაა, რომ იგულისხმება გარკვეული საფრთხეები, რომელთა ნეიტრალიზებაც აუცილებელია, უპიდურეს შემთხვევაში უნდა შემცირდეს მათი ნეგატიური ზემოქმედება. სასურსათო უსაფრთხოება, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს სურსათის ნაკლებობის (უკმარისობის) თავიდან აცილებას. ამასთან, სურსათის დეფიციტი განიხილება, როგორც ადამიანების ფიზიოლოგიური არსებობის საფრთხე. კაცობრიობის სურსათის ნაკლებობისაგან (უკმარისობისაგან) დაცვა ნიშნავს ადამიანების ფიზიოლოგიურ გადარჩენას. ოუმცა, ადამიანები უბრალოდ ფიზიკურად კი არ უნდა არსებობდნენ, არამედ უნდა ქმნიდნენ, სრულყოფდნენ გარემოსაც და საკუთარ თავსაც.

სურსათის დეფიციტი ნიშნავს სურსათის მოხმარების დეფიციტს, ამიტომ სურსათის ნაკლებობის (უკმარისობის) საფრთხის ლიკვიდაცია განიხილება უფრო ფართოდ, ვიდრე უბრალოდ ფიზიოლოგიური გადარჩენა. სურსათის მოხმარება უნდა იყოს ისეთ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს ცხოვრების (სიცოცხლისუნარიანობის) აქტიურ და ჯანსაღ შესაძლებლობას. ამრიგად, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა (პირობაა) სურსათის მოხმარების ისეთი საკმარისობა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა აქტიურ და ჯანსაღ ცხოვრებას.

სურსათის საკმარისობა არის ის ძირითადი დებულება, რომელიც გახვდება საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების არსებულ განმარტებებში. ოუმცა, საკმარისობა განიხილება ზოგადად და იგი ფოკუსირებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ერთ სახეობაზე – მარცვლეულზე, რომლის არსებობა (საკმარისობა), სპეციალისტების აზრით, უზრუნველყოფს მსოფლიოში სასურსათო მდგომარეობის სიმყარეს და ქმნის გარანტიებს საგანგებო მდგომარეობების შემთხვევაში. ამასთან, უსაფრთხოები ითვლება გარდამავალი მარაგების ის რაოდენობა, რომელიც შეესაბამება მსოფლიოს მარცვლეულის მოხმარების 60 დღეს, ანუ მთელი მოხმარების 17%-ს.

ცალკეული ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ხასიათდება სიმწვავის სხვადასხვა ხარისხით, რომელიც განპირობებულია ამა თუ იმ ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების სხვადასხვა დონით, წარმოებითი ურთიერთობებით, კლიმატურ-ნიადაგური პირობებითა და ა.შ. აშკარაა, რომ ყოველი ქვეყნის, ისევე, როგორც მთელი მსოფლიოს წინაშე, დგას სურსათის ნაკლებობის (უკმარისობის) საფრთხის ნეიტრალიზაციის ამოცანა. ამ მხრივ, ცალკეული ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება უკავშირდება საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების ძირითად პირობებს. აქედან გამომდინარე, სასურსათო უსაფრთხოების განმსაზღვრელ მოთხოვნას როგორც საერთაშორისო, ისე სახელმწიფო დონეზე, წარმოადგენს სურსათის საჭირო რაოდენობით სტაბილური უზრუნველყოფა. ესაა ფიზიოლოგიური სასურსათო უსაფრთხოება.

ოუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სურსათით დიდი რაოდენობით უზრუნველყოფა ჯერ კიდევ არასაკმარისია. ადამიანის სიცოცხლის დაცვის (პროდუქტიული საკვებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით), მისი სრულფასოვანი ფიზიოლოგიური არსებობის პრობლემა გადაიჭრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მიღწეული იქნება ამ დაცვის ბოლო სტადია – მოხმარება. აღნიშნული

გარემოება თავის შხრივ მოითხოვს ისეთი ეკონომიური პირობების შექმნას, მოსახლეობის შემოსავლების ისეთი დონის მიღწევის, სურსათზე ისეთი ფასების არსებობას და ა.შ., როცა შესაძლებელი გახდება მოსახლეობის სურსათზე ხელმისაწვდომობა.

ამრიგად, ადამიანის ფიზიოლოგიური არსებობის საფრთხისგან დაცვა, ამ საფრთხეთა შემცირება და ნეიტრალური გახდება სურსათით საკმარის დონეზე უზრუნველყოფის გზით, აგრეთვე მასზე ხელმისაწვდომობის პირობების შექმნით. სწორედ ეს ორი მთავარი დებულება – საკმარისობა და ხელმისაწვდომობა დაფიქსირებული საერთაშორისო დოკუმენტების უმრავლესობაში სასურსათო უსაფრთხოების განმარტებისას. სასურსათო უსაფრთხოება ხასიათდება, როგორც ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც ქვეყნის ყველა მცხოვრებს გარანტირებულად ხელეწიფება ნებისმიერ დროს მიიღოს სურსათი იმ რაოდენობით, რომელიც აუცილებელია აქტიური და ჯანსაღი ცხოვრებისათვის.

ჩვენი აზრით, სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოება უნდა განიმარტოს უფრო ფართოდ. ეს დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა იმასთან, რომ სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა სახელმწიფო წარმონაქმნების ფარგლებში „მუშაობს“ აგრეთვე სახელმწიფოს, როგორც ასეთის ამოცანების გადაწყვეტაზე და ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ხაზი გაესვას შემდეგს:

1. ისტორიული განვითარების გამოცდილება ამტკიცებს, რომ ე.წ. „მშეერა ამბოხეს“ შეუძლია შეარყიოს სახელმწიფო ხელისუფლების ერთი შეხედვით მყარი საფუძვლები.

2. კაცობრიობის ისტორია, სხვათა შორის, ესაა სახელმწიფოებისა და ხალხების უწყვეტი ბრძოლა თავიანთი ეროვნული ინტერესების დაცვისა და მათი რეალიზაციისათვის. თანამედროვე პირობებში ამ ბრძოლის სიმძიმის ცენტრში წარსულში მსოფლიო ოქტოიდან და ლოკალური კონფლიქტებიდან გადაინაცვლებს ეკონომიკური ურთიერთდაპირისაპირებისაკენ, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება გადაიზარდოს აშკარა დაპირისპირებაში.

სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა ბევრად განსაზღვრავს საზოგადოებაში სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას, რაც, თავის შხრივ, ქმნის სახელმწიფოს თანმიმდევრული ეკონომიკური განვითარების, მისი სიძლიერის და ავტორიტეტის განმტკიცების პირობებს და, საბოლოო ჯამში, ამჟარებს სახელმწიფოს პოზიციებს სხვა ქვეყნებთან ეკონომიკურ დაპირისპირებაში. სხვა სიტყვებით, ხდება სახელმწიფოს პოზიციების განმტკიცება მთლიანად მისი ეკონომიკური და ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით. ალბათ, სწორედ ამაში მდგომარეობს სასურსათო უსაფრთხოების, როგორც ქვეყნის ეროვნული უშიშროების შემადგენელი ნაწილის როლი.

ბუნებრივია, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების აღნიშნული პოზიცია შეიძლება გახდეს ეკონომიკურ მოწინააღმდეგეთა ზემოქმედების ობიექტი. ამას გარდა, სასურსათო პრობლემის საერთაშორისო ხასიათის გამო, სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა ისეთი საერთაშორისო ზეგავლენის ქვეშ არის, როგორებიცაა ფასები მსოფლიო სასურსათო ბაზარზე, რეევები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დონეში, ლოკალური კონფლიქტები და ა.შ. სრულიად რეალურია ისეთი სიტუაცია, როდესაც აღნიშნული ფაქტორების მოქმედებამ შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს სურსათის საკმარისობასა და ხელმისაწვდომობაზე, და, აქედან გამომდინარე, გამოიწვიოს საზოგადოების დესტაბილიზაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლიანი იქნება იმის მტკიცება, რომ სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა, მართალია, გარკვეულწი-

ლად არის სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორები, მაგრამ მხოლოდ მათი ზემოქმედებით არ შეიძლება განვითაროთ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის არსი და შინაარსი. სასურსათო უსაფრთხოების შინაარსის არსებით შემავსებელს წარმოადგენს დებულება თვითუზრუნველყოფის გარკვეული ღონის არსებობისა და, ამის ხარჯზე, სურსათის უზრუნველყოფის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირების შესახებ.

თეზისი თვითუზრუნველყოფის მიღწევის აუცილებლობის შესახებ დეპლარიტებულია მთელი რიგი ავტორების მიერ. ასე მაგალითად, მეცნიერები რუსეთიდან ს. ძარასოვი და ს. ფილიევი ფიქრობენ, რომ ქვეყანა უნდა უზრუნველყოფდეს კვების პროდუქტებით მიმდინარე და საგანგებო მოთხოვნილებების დაქმაყოფილებას საკუთარი რესურსების ხარჯზე. ამ დარგის სლოვაკი სპეციალისტების აზრით, რომ სასურსათო უსაფრთხოების ზღვარია სურსათის წარმოების ისეთი ღონე, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარი რესურსებით რეალური მოთხოვნილებების მინიმუმ 90%-ის დაქმაყოფილებას. ამავე დროს, დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისათვის არ არსებობს თვითუზრუნველყოფის ღონის ერთიანი კრიტერიუმები. ჩვენი აზრით, ადნიშნული მოთხოვნის კორექტული ფორმულირება უნდა ითვალისწინებდეს მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, მისი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბუნებრივ-კლიმატურ და სხვა პირობებს, აგრეთვე ჩამოყალიბებულ ტრადიციებს როგორც წარმოების, ისე მოსახლეობის კვების სტრუქტურაში.

გარდა სურსათის დეფიციტის საფრთხისა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს კვების პროდუქტების დაბინძურება. ასე მაგალითად, გამწვავდა სურსათის მიკრობოქსინებით, განსაკუთრებით ფუზარიტოქსინებით დაბინძურების პრობლემა, რომელიც ხასიათდება მაღალტოქსიკურობით, იმუნოდეპრესიული მოქმედებით და აქს ავთვისებიანი წარმონაქმნების გაჩენის უნარი. უკანასკნელ წლებში სამჯერ და მეტად გაიზარდა პროდუქციის ნიტრატებითა და მისი დაშლის პროდუქტებით დაბინძურების დონე.

თუ განვაზოგადებთ ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს, მართებულად მიგვაწნია ჩამოყალიბოთ სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოების შემდეგი ფორმულირება: სასურსათო უსაფრთხოება – ესაა სახელმწიფოს ეკონომიკისა და მისი შესაბამისი ეკონომიკური ინსტრუქტების უნარი, უზრუნველყოს ქვეყნის მოსახლეობისათვის ეკოლოგიურად სუფთა სურსათის სტაბილური საკმარისობა და ხელმისაწვდომობა იმპორტისაგან დამოუკიდებლობისა და თვითუზრუნველყოფის გარკვეული ღონის პირობებში.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემას აქვს აგრეთვე შიგა სახელმწიფოებრივი, რეგიონული ასპექტიც, ანუ მართებულია, განხილულ იქნეს გარკვეული ავტონომიური ან ტერიტორიულ-ადმინისტრაციული წარმონაქმნის სასურსათო უსაფრთხოება, რომლის რეგიონული ასპექტის პალევა პირველ რიგში მოითხოვს მოცემული პრობლემის ირგვლივ გადასაჭრელი ამოცანების მკვეთრ გამიჯვნას ცენტრსა და რეგიონებს შორის. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ საკუთარი სასურსათო ბაზის განვითარების, აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანი ფუნქციონირების, სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების დაცვის ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და დაცვის საერთო სახელმწიფო პროგრამების საბაჟო და საგადასახადო პოლიტიკის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. საქმიანობის მოცემული სფერო კი ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივა.

რეგიონულ დონეზე გადასაჭრელი ამოცანები დამოკიდებულია ამა თუ იმ რეგიონის არსებულ და პოტენციურ შესაძლებლობებზე, რომელიც მოიცავს სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების უნარს, აგრეთვე საკუთარი სახსრების აუმჯულირებისა და გადანაწილების ხარჯზე საჭირო რაოდენობის სურსათის შესყიდვის საქმარისობისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნების რეალიზაციის შესაძლებლობებს და ა.შ. ფაქტობრივად, საუბარია საერთო სახელმწიფო მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სურსათის წარმოების საქმეში შრომის რეგიონულ დანაწილებაზე. ჩვენი აზრით, როგორც რეგიონის ეკონომიკის გარკვეული მდგომარეობა, მიღწეული სასურსათო უსაფრთხოება უზრუნველყოფს საკვები პროდუქტების საქმარის (სამედიცინო ნორმებით) უზრუნველყოფას საკუთარი წარმოების ან საკუთარი სახსრების ხარჯზე. ეს გულისხმობს პროდუქტების ყიდვას, საკუთარი პროდუქტების გაცვლას სხვა ქვეყნის ან რეგიონის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე [Климова Н.Б., 2012]. ის მსოფლიო ვაჭრობაში გართულებების არსებობის შემთხვევაშიც კი უზრუნველყოფს სურსათის ხელმისაწვდომობის შესაბამის დონეს და სასურსათო მომარაგების შეფერხებების მაქსიმალურად აღმოფხვრას.

სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასების მეთოდური საკითხები

სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასება განაპირობებს მისი ძირითადი შემადგენელი ელემენტების – სურსათის საქმარისობისა და ხელმისაწვდომობის, მისი ეკოლოგიური სისუფთავის, აგრეთვე თვითუზრუნველყოფის დონის დახასიათების აუცილებლობას. ამასთან, ზემოაღნიშნული მახასიათებლების დონის უბრალო გათვალისწინებული უსაფრთხოების შეფასებაში აშკარად არასააქმარისია. ცხადია, აუცილებელია არსებობდეს შედარების გარკვეული ბაზა, რომელთან თანაფარდობაშიც შესაძლებელი იქნება გაპეტდეს გარკვეული დასკვნები სასურსათო უსაფრთხოების მიღწეული (არსებული) დონის მიუდებლობის ან საქმარისობის შესახებ. საქმე ეხება ადამიანს ცხოველქმედების ეწ. „ზღვრულ“ მაჩვენებლებს. მათ შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- კვების კალორიულობა (ენერგეტიკული ფასეულობა);
- მოხმარებული ძირითადი საკვები ნივთიერებების რაოდენობა (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, მინერალური ნივთიერებები და ვიტამინები);
- პროდუქტების დაბინძურებების ხარისხი;
- სურსათის იმპორტზე დამოკიდებულება;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამამულო მწარმოებლის დაცვა.

კვების კალორიულობა (ენერგეტიკული ფასეულობა)

ენერგიის მოხმარების დონის მხრივ გამოყოფენ სიცოცხლისუნარიანობის სამ დონეს:

- ოპტიმალური სიცოცხლისუნარიანობა 2500-3500 კკალ დღეში მოხმარების პირობებში;
- არასრულყოფილი სიცოცხლისუნარიანობა 1500-2500 კკალ დღეში მოხმარების პირობებში (ამასთან თვლიან, რომ ამ მაჩვენებლის ქვედა ზღვარი შეესაბამება ოპტიმალური სიცოცხლისუნარიანობის ნახევარს);
- კრიტიკული სიცოცხლისუნარიანობა 1000-1500 კკალ დღეში მოხმარების პირობებში.

ზოგიერთი რუსი მეცნიერის მოსაზრებით, შეიძლება გამოიყოს ორი ზღვრული სიდიდე:

- ადამიანის საშუალოსტატისტიკური ნორმალური სიცოცხლისუნარიანობის მიღწევის უზრუნველსაყოფად კაების კალორიულობა უნდა იყოს 2500-3500 კკალ დღეში;

- კვების კალორიულობა ნაკლები ვიდრე 1000-1500 კკალ დღეში, არის სიცოცხლისუნარიანობის კრიტიკული დონე, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას [ეფიმოვ ა.ნ..., 2012].

FAO-ს კლასიფიკაციით, ის პირები, რომლებიც 1520 კკალ-ს იღებენ დღვში, მიეკუთვნებიან მოშიმშილეთა კატეგორიას, ხოლო ისინი, რომლებიც 2150 კკალ-ს იღებენ დღვში, იმ ადამიანების კატეგორიაში არიან, რომლებიც შიმშილობის ზღვარზე იმყოფებიან.

რესი მეცნიერების მიერ მოყვანილი კვების კალორიულობის ზღვრული მაჩვენებლები, ჩვენი აზრით, ხასიათდება დიდი ამპლიტუდით კალორიულობის ქვედა ზღვარსა და ადამიანის საშუალო კრიტიკული სიცოცხლისუნარიანობის ზედა ზღვარს შორის – თითქმის 1000 კკალ დღეში, რაც ართულებს კვების ენერგეტიკული ფასეულობის განსაზღვრას. მაგალითად, როგორ შევაფასოთ ენერგეტიკული ფასეულობა – 1500-2000 კკალ დღეში დააპაზონში? ამ ოვალსაზრისით უფრო მისაღებია fao-ს კლასიფიკაცია, რომელიც განსაზღვრავს კალორიულობის კრიტიკულ დონეს (ზღვრული სიდიდე) დღეში 2150 კკალ რაოდენობით.

ნივთიერებათა ცვლის, ორგანიზმის ზრდისა და განვითარებისათვის ადამიანს ესაჭიროება ძირითადი საკვები ნივთიერებები, რომლებიც სხვადასხვა პროდუქტებშია თავმოყრილი. სპეციალისტების აზრით, ყველაზე აუცილებელი და შეუცვლელია რძის, ხორცის, პურისა და კარტოფილის, ცხიმების, შაქრის პროდუქტები. პროდუქტების ეს ჯგუფები უზრუნველყოფს კვების 90%-მდე კალორიულობას. აქ შეიძლება გამოვყოთ საკვები ნივთიერებების უზრუნველყოფის ორი ძირითადი სფერო: საქმარისი - 100% და კრიტიკული – 50%-ზე ნაკლები.

დაბინძურებული პროდუქტების მოხმარება

კვების პროდუქტებში შეიძლება აკუმულირებული იყოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერება მათი მოყვანის (ნედლეულის მიღების) სტადიაზე, აგრეთვე, გადამუშავების, შენახვის, რეალიზაციის პროცესში. კვების პროდუქტების „დაბინძურების“ წყარო შეიძლება იყოს: ნიადაგი, განსაკუთრებით ისეთი, რომლებიც სამრეწველო ცხნილებთან ან ავტომაგისტრალებთან ახლოს მდებარეობს და ა.შ.; მინერალური სასუქები, ძირითადად ფოსფატები, რომლებიც შეიცავს ისეთ ტოქსიკურ ნივთიერებას, როგორიცაა სტრონციუმი; ნაკელი, რომელშიც შეიძლება იყოს მძიმე ლითონები და ორგანული ტოქსონები; წყალი და ატმოსფერული ჰაერი.

სურსათის იმპორტზე დამოკიდებულება

მოცემული ფაქტორის ზღვრული სიდიდის ზუსტი ფორმულირება, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, დაკავშირებულია:

- სოფლის მეურნეობის განვითარების პირობების შეფასებასთან;
- იმ პროდუქტების ჩამონათვალის განსაზღვრასთან, რომლებზეც თვითუზრუნველყოფა პირველ რიგში უნდა იყოს ორიენტირებული;
- სოფლის მეურნეობისა და სურსათის სფეროში საერთაშორისო-საგაჭრო კავშირების შეფასებასთან. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, გაძნელებულია ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების

დაკმაყოფილება ზოგიერთ პროდუქტზე საკუთარი წარმოების ხარჯზე. თუმცა, ერთი მხრივ, საჭიროა განისაზღვროს პროდუქტების ცალქული სახეები (ძირითადები), რომელთა წარმოებისთვის არსებობს მეტ-ნაკლებად მისაღები პირობები და მთელი ძალები წარმოიძოოს ამ პროდუქტების თვითუზრუნველყოფის მისაღწევად. მეორე მხრივ, ისეთი სპეციალიზებული დარგების არსებობა, როგორებიცაა ღვინის და ჩაის წარმოება (მათი განვითარებისათვის სახელმწიფოს მხრიდან ძლიერი მხარდაჭერის პირობებში) იძლევა იმის საშუალებას, რომ მათი ექსპორტის ზრდის კვალობაზე ამონაგები თანხები გამოიყენებული იქნება სხვა აუცილებელი სურსათის შესაძლნად.

სურსათის წარმოების სექტორში სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების ხასიათის შეფასება უნდა მოიცავდეს იმ ქვეყნებთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზს, საიდანაც ხდება სურსათის უმეტესი ნაწილის იმპორტი. აუცილებელია გაირკვეს:

- რამდენადაა ეს ურთიერთობები სტაბილური, ურთიერთხელსაყრელი და როგორია მათი განვითარების პერსპექტივები;
- როგორია სახელმწიფოს პოზიციები (ეკონომიკური და პოლიტიკური) სურსათის ექსპორტიორ ქვეყნებში;
- როგორია იმპორტის სტრუქტურა – ანუ შემოიტანება უფრო მეტად ნედლეული თუ მზა პროდუქცია;
- როგორია სავჭრო ბალანსი ამ ქვეყნებთან და ა.შ.

ამ პარამეტრების დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს გლობალურ ბაზრებზე ფასების ანალიზს. ჩვენი ინფორმაციით, 2014–2015 წლების პერიოდში მსოფლიოს სურსათის ბირჟებზე ფასწარმოქმნა კლების ტენდენციით ხასიათდება. FAO-ს მონაცემებით, სასურსათო ფასების ინდექსი 2015 წლის აპრილში, მარტთან შედარებით, 1.2 პროცენტით შემცირდა, ხოლო 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან – 19.2 პროცენტით. მაგრამ 2012–2013 წლებში მწარმოებელ ქვეყნებში ხორბლისა და სიმინდის მოსავალიანობის მაკეთო შემცირება გლობალური სასურსათო კრიზისის საფრთხეს სამომავლოდ არ გამორიცხავს. ეს საქართველომ, როგორც სურსათის იმპორტიორმა ქვეყანამ, უნდა გაითვალისწინოს. მთო უფრო, რომ რეგიონის მეზობელი ქვეყნები ამ მიმართულებით ქმედით დონისძიებებს უკვე ატარებენ. ეს განსაკუთრებით ხორბალს ეხება.

ჯერ კიდევ 2013 წლის მაისში, FAO-ს ექსპერტები ხორბლის მოსავალიანობის მხრივ შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში მოთხოვნისა და მიწოდების არასახარბიელო თანაფარდობაზე ამაჩვილებდნენ ყურადღებას. ეს თანაფარდობა დღესაც არ არის დაბალისებული. კერძოდ 2012–2013 წლებში მარცვლეულის მოსავალი შემცირდა რესეფში, უკრაინასა და ყაზახეთში. იმ წლებში რესეფში გვალვისგან განადგურდა მილიონნასევევარი ჰექტარი ნაოვები. ამასთან, რესეფთის და უკრაინის მთავრობების მიერ, 2010–2011 წლებისგან განსხვავებით, ექსპორტის შეზღუდვაზე 2013–2014 წლებში უარის თქმამ დადგებითი როლი ითამაშა მსოფლიოს მარცვლეულის კონკრეტურაზე. ამან, მარცვლეულის მიწოდების შეფერხებების მიუხედავად, ამ ბაზრებზე სპეციალის შეამცირა.

სამწეროდ, საქართველოს სოფლის მეურნეობაში განხორციელებული სახელმწიფო სუბსიდიების მიუხედავად, 2015 წლის განმავლობაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობით საქართველო რეგიონში ერთ-ერთი აუტსაიდერია. ამ მაჩვენებლებით საქართველოს ისეთი მცირემიწიანი ქვეყანაც კი უსწრებს, როგორიც სომხეთია. სულ 29 ათ. კვ. კმ განფენილი სომხეთი თითქმის უკელა კომპონენტში სჯობნის მასზე თითქმის ორჯერ დიდ საქართველოს. მაგალითად, სომხეთი 2014 წელს 691 ათ. ტონა კარტოფილი აწარმოა, მაშინ როცა საქართველომ – მხოლოდ 196 ათ. ტონა და ა.შ. ანალოგიური ვითარებაა სხვა კულტურებთან მიმართებაშიც (იხ. ცხრილი 1).

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველო ყოველწლიურად 750-800 ათ. ტონა ხორბალს მოიხმარს. სამამულო წარმოება კი ამ მოცულობის მხოლოდ 10-15%-ს აქმაყოფილებს. ჩვენთან 2008-2009 წლებში ხორბლის იმპორტის 75-80% ძირითადად რუსეთიდან შემოდიოდა, მაგრამ 2011-2012 წლებში ამ პროდუქციის უმსხვილესი მომწოდებელი უკრაინა გახდა. ამ პერიოდში უკრაინიდან ხორბლის იმპორტი გაიზარდა როგორც მოცულობით, ისე დირექტულებით.

თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, 2013 წლის ივლისის დასაწყისიდან გაფორმდა შეთანხმებები რუსეთიდან საქართველოში ხორბლის შემოტანაზე. სავარაუდოდ, რუსელ ხორბალზე ამ კონტრაქტის გაფორმება გამოწვეული იყო იმით, რომ 2013 წლის 1 ივნისიდან რვ-მ მოხსნა 2011 წელს შემოღებული ემბარგო ხორბლის უქსპორტზე და ამჟამად, უკრაინასთან შედარებით, მისი ხორბალი იაფია. ფასი ტონაზე 385 დოლარიდან 300-320 დოლარამდე დაეცა. თუმცა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს, რომ 2015 წლის 16 აპრილს რუსეთში გამართულ „მარცვლეულის მრგვალ მაგიდაზე“ რუსმა ანალიტიკოსებმა განაცხადეს, რომ 2015 წელს მარცვლეულის წარმოება 4.6%-ით დაიკლებს გასულ წელთან შედარებით და 100.4 მლნ ტონა იქნება. ამიტომ, ზემოაღნიშნული გაიაფება, თუ გავითვალისწინებოთ FAO-ს ნეგატიურ პროგნოზეს, შეიძლება დროებითი აღმოჩნდეს.

აღნიშნულის გამო, ხორბლის იმპორტის დიგერსიფიცირებისათვის, ზოგმა ქვეყანამ უკვე შესაბამისი სატარიფო რეგულაციების გამოყენება დაიწყო. ასე მაგალითად, აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტმა 2012 წლის 24 სექტემბრიდან იმპორტირებული ხორბალი და ფქვილი დაგ-სბან გაათავისუფლა. ანალოგიური ნაბიჯი გადადგა მაროკომაც, სადაც 2013 წლის 1 ოქტომბრიდან რბილი ხორბლის იმპორტზე გადასახადები გაუქმდა. ზემოაღნიშნული საფრთხეების გათვალისწინებით, სასურველია, ამ მიმართულებით საქართველოშიც იფიქრონ.

სურსათის თვითუზრუნველყოფას განსაზღვრავენ მისი ზოგადი და კერძო კოფიციენტებით. ზოგადი (Ks) გაიანგარიშება ფორმულით:

$$Ks = O/A,$$

სადაც:

Ks არის სურსათის თვითუზრუნველყოფის ზოგადი კოეფიციენტი;

O – საკუთარი წარმოების მოხმარებული პროდუქტების დირებულება მოცემულ წელს;

A – სულ მოხმარებული პროდუქტის წლიური დირებულება.

თვითუზრუნველყოფის კერძო კოეფიციენტი იანგარიშება ცალკეული პროდუქტის მიხედვით, დირებულებით გამოხატულებაში. მისი ზღვრული სიდიდე კვების ცალკეული პროდუქტებისათვისაც ზემოაღნიშნული ფორმულით გაითვლება. ამათუ იმ რეგიონისთვის შეიძლება შემოღებულ იქნეს დამატებითი მაჩვენებელი – სასურსათო დამოუკიდებლობის კოეფიციენტი (Kr):

$$Kr = Or/Ar,$$

სადაც:

Kr რეგიონის სასურსათო დამოუკიდებლობის კოეფიციენტია;

Or – სურსათის დირებულება, რომელიც თვითმმართველობისა და ადგილობრივი ბიზნესსტრუქტურების მიერ შეისყიდება მოცემულ წელს;

Ar – რეგიონში მოხმარებული პროდუქტების წლიური დირებულება.

სასურსათო დამოკიდებულება ჩვენ შევაფასეთ კვების 8 ძირითადი პროდუქტის (პოზიციის) მიხედვით (ცხრილი 5) იმპორტის სიდიდის შეფარდებით მოცემული პროდუქტის საერთო მოთხოვნილებასთან. თუ კრიტიკულ დონედ მივიღებთ იმპორტზე დამოკიდებულების 50%-იან ზღვარს, შეიძლება დაგასცნათ, რომ, კარტოფილის და ხორცის გამოკლებით, საქართველო დიდნაწილადაა დამოკიდებული საზღვრებს გარედან სურსათის შემოტანაზე. განსაკუთ

რებით აღსანიშნავია ამ მხრივ ისეთი პოზიციები, როგორიცაა მარცვლეული, მცენარეული ზეთი, შაქარი, რძე და რძის პროდუქტები.

სამამულო სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლის დაცვა

სასურსათო დამოკიდებულების დონის შემცირება მჭიდროდ არის დაკავშირებული საკუთარი აგრარული სექტორის აღდგენასა და განვითარებაზე. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს სოფლის მუქრნეობის განვითარებას, მოსახლეობის უზრუნველყოფას სურსათო, სამამულო სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლის დაცვას. ჩვენთან ყველა ეს პროცესი ბაზრის სტიქიურ ძალებზეა მინდობილ-მინებებული. ასეთმა მდგომარეობამ შეიძლება მიგვიყანოს უფრო მეტ სასურსათო დამოკიდებულებამდე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბევრი დარგის სრულ დაცემამდე. სასურსათო საქონელზე მსოფლიო ფასების ზრდის ზოგადმა ტენდენციამ და სურსათზე მოთხოვნის ზრდის პროგნოზმა შეიძლება ქვეყნის მოსახლეობა უკიდურესად მიმიმ მდგომარეობაში ჩააყენოს.

დაცვის ზღვრული სიდიდეები უნდა ითვალისწინებდეს რენტაბელობის გარევეულ დონეს ადგილობრივ საქონელმწარმოებლებისათვის, ვთქვათ, 15-20%-ის დონეზე. სახელმწიფო ადგილობრივ მწარმოებელს იაფი იმპორტული პროდუქციისაგან არა პროტექციონისტული სატარიფო და არასატარიფო ბარიერებით/დონისძიებებით უნდა იცავდეს, არამედ ეკონომიკური სტიმულირებით.

ერთ-ერთი ასეთი ეკონომიკური მეთოდია სურსათის სახელმწიფო შესყიდვები, რომელიც ამყარებს ლარის კურსს, ხელს უწყობს რეგიონების განვითარებას, სოფლად დასაქმების ზრდას და ქვეყნის სურსათის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას. ამიტომ საჭიროა ამ პროცესის საკანონმდებლო და პოლიტიკური მხარდაჭერა. საქართველოს სახელმწიფო უწყებებისა და სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების, ადგილობრივი ოკითმმართველობებისა და სამხარეო მმართველობის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სურსათის სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მომტანია.

სურსათის სახელმწიფო შესყიდვების შედეგად საბიუჯეტო სახსრები იხარჯება ადგილობრივ ბაზარზე, რაც, ექსპერტული გათვლებით, ზრდის ფულის ბრუნვას დაახლოებით 6-15-ჯერ და ამით „ფართო ფულის“ (M2), ანუ მიმოქცევაში ნაღდი ფულადი მასის შემცირებას იწვევს.

საქართველოს მთავრობამ, გასული წლის შემოდგომაზე, პროგრამის – „აწარმოება საქართველოში“ – პრეზენტაციისას, ხაზი გაუსვა ადგილობრივი სურსათის წარმოების და შესყიდვის მნიშვნელობას. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 46 მილიონი ლარით, საიდანაც 30 მილიონი მოხმარდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავებას (ი.e. პრემიერ-მინისტრი სახელმწიფო პროგრამის - აწარმოება საქართველოში პრეზენტაციას დაესწრო).

http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GE0&sec_id=380&info_id=4235.

საკვები პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა – ეს არ ნიშნავს მხოლოდ ხელსაყრელი ფასის მიხედვით პროდუქტის საზოგადოებრივი საჭიროებისთვის შეძენას. აუცილებელია, ყურადღება მიექცეს ხარისხს, შენახვის ვადას, მის რეალურ საზოგადოებრივ საჭიროებას და სარგებლობას. დღეს ჯანსაღი საკვები პროდუქტების შესყიდვა ემსგავსება ბრძოლას გადარჩენისთვის. მომხმარებელი აწყდება მთელ რიგ საფრთხეებს: საკვები დანამატები (კონსერვანტები, არომატიზატორები, საღებავები, პეტიციდები, გამაფხვიერებლები და

სხვა), გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენება, სასუქების სიჭარბე, სხვადასხვა დააგადებები და დეფექტები, გადის გასელა, არასწორი ტრანსპორტირების და შენახვის პირობის დარღვევით გამოწვეული დაზიანებები, დასასრული, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა დისტრიბუტორის, მწარმოებლის ან გამყიდველის მხრიდან. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ადგილობრივად წარმოებულ პროდუქტებს, მიპორტირებული პროდუქცია ვერ იქნება ახალი და თუკი ისინი ასეთად გამოიყერებიან, ეს საკვები დანამატების ჭარბ რაოდენობაზე უნდა მიანიშნებდეს.

სახელმწიფო შესყიდვების ხელისუფლითი წილი ბოლო წლებში საქართველოს მშპ-ში 10%-ის ფარგლებშია. თუ 2012 წელს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამურმა თანხამ 2.771 მლრდ ლარი შეადგინა, 2013 წელს იგივე მაჩვენებელი 2.791 მლრდ ლარი, ხოლო 2014 წელს 2.876 მლრდ ლარი იყო. ამასთან, 2014 წ. ივლისში – 2015 წლის აპრილში საქართველოში განხორციელდა მხოლოდ 55.7 მლნ ლარის სურსათის (მთელი შესყიდვების 1.92%) სახელმწიფო შესყიდვა.

ამ მონაცემებიდან ირკვევა, რომ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მიერ სურსათის ზოგიერთი სახეობა მთლიანად ადგილობრივ წარმოებაზე მოდის. კერძოდ, ნატურალური თაფლი (32030 კგ), კვერცხი (4614822 ცალი), ფარში (2732.6 კგ), ცხვრის ხორცი (45.5 კგ), კურდღლის ხორცი (262.5 კგ), მურაბები და ჯემები (25069 კგ), რძე (472850.7 ლიტრი), ხორბლის და სიმინდის ფქვილი (578820 კგ), ხორცის მზა ნაწარმი (277332 კგ), ღორის ხორცი (227000.5 კგ), ციტრუსები (113672 კგ), ყველი (129636.03 კგ) და ა.შ.

ამასთან, შესყიდული სურსათის ნაწილი წარმოებულია უცხოეთში. კერძოდ, საქონლისა და ხბოს ხორცის ნაწილი ბრაზილიაში – 13.87%; მარცვლეულის – 15.88% უკრაინაში; რძის ნაწარმის რუსეთში, უკრაინაში შესაბამისად – 8.96%, 13.43%; მცენარეული ზეთების აზერბაიჯანში, რუსეთსა და უკრაინაში - შესაბამისად 9.72%, 7.89%, 15.36%; ქათმის ხორცის აშშ-ში, ბრაზილიაში შესაბამისად – 33.77% და 7%; კარაქი და მარგარინი უკრაინაში – 51.88%; მანანის ბურღულის ნაწილი უკრაინაში – 60.88%; ტომატ-პასტა რუსეთში, თურქეთში შესაბამისად – 48.38%, 23.08%; დაკონსერვებული სოკო ჩინეთსა და რუსეთში შესაბამისად – 61.78%, 18.53%; შერიის ფანტელი უკრაინაში, გერმანიასა და რუსეთში შესაბამისად – 57.00%, 21.94%, 6.97%; რძის ფხვნილი უკრაინასა და ლიტვაში შესაბამისად – 53.43%, 30.76%; თევზი და თევზის პროდუქტები აშშ-ში, კანადაში, ესახნეთსა და ნორვეგიაში შესაბამისად – 26.46%, 7.11%, 5.32%, 10.7%; ბრინჯი ინდოეთში, პაკისტანში, ტაილანდსა და ჩინეთში შესაბამისად – 32.50%, 27.50%, 9.02%, 5.73%.

გაანალიზებული ციფრებიდან ირკვევა, რომ ადგილობრივი სურსათის შესყიდვებში არსებობს მნიშვნელოვანი რეზერვები. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ საქართველოში დღეს მოქმედი შესყიდვების პრაქტიკით, სახელმწიფო შემსყიდველს გაცილებით მეტი უფლებები აქვს, ვიღრე მიმწოდებელს. ამ გუთხით დღემდე მიღებულია სულ რამდენიმე პრაქტიკული გადაწყვეტილება, მაგალითად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გადაწყვეტა, რომ ლარის კურსის რეგენის გამო, სახელმწიფო კომპენსირებას გაუკეთებს სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებულ იმ კომპანიებს, რომლებსაც ვალუტის დევალვაციის გამო პრობლემები შექმნათ.

ამავდროულად, თანამედროვე ინდუსტრიულ სახელმწიფოებში ადგილობრივი სურსათის მიმწოდებლებისათვის არსებობს სახელმწიფო შესყიდვებში დამხმარე რეგულაციების ორგანიზაცია „ჯგუფი“, რომლებიც სურსათის მცირე და საშუალო მიმწოდებელთა ბიზნესაქტივობებს ასტიმულირებს:

— ერთი „ჯგუფი“ (მაგალითად, აშშ-ს ჩრდილო აღმოსავლეთის რეგიონის, ნიუ-ინგლანდის 6 შტატში) აწესებს სხვა შტატებიდან შემოტანილ, ან იმპორტულთან შედარებით, აღგილობრივი სურსათის შესყიდვის უპირატესობას. ე. ი. სურსათის მიმწოდებლებისგან აშშ-ს ფედერალური, შტატის და მუნიციპალური (საგრაფოს) ორგანიზაცია-დაწესებულებების მიერ შესყიდვების უპირატესობა დგინდება შესაბამისი ნორმატიული აქტით. კერძოდ, კანონმდებლობა სახელმწიფო უწევებებს, ორგანიზაცია-დაწესებულებებს, ავალდებულებებს, შეისყიდონ აღგილობრივ (მოცემული შტატის) მიმწოდებელთა კვების პროდუქტები თუ მათი ღირებულება 10%-ზე მეტად არ აღემატება შტატის ფარგლებს გარეთ შესაძენი სურსათის ფასს (Massachusetts' local procurement law sets a preference that requires state agencies to purchase in-state food products if they are not more than 10% more expensive than out-of-state food products. <http://www.chlpi.org/wp-content/uploads/2013/12/Local-Procurement-Handout-FINAL-WEBRIENDLY.pdf>).

— სურსათის შესყიდვების შესახებ მეორე „ჯგუფის“ რეგულაციები ადგენს „სამიზნე“ სურსათის პარტიებს, რომლებიც შეძენილი იქნება მხოლოდ აღგილობრივი მიმწოდებლებისგან. მაგალითად, სახელმწიფოს შეუძლია, რამდენიმე წლის განმავლობაში სახელმწიფო უწევებები დაავალდებულოს, რომ 2020 წლისთვის შესყიდული სურსათის რომელიმე კონკრეტული სახეობის, ვთქვათ 20%, მხოლოდ აღგილობრივ ფერმებსა და მეურნეობებში იქნეს შეძენილი (Illinois' local procurement law sets a target that, by 2020, 20% of all food and food products purchased by state agencies and universities shall be local farm or food products <http://www.chlpi.org/wp-content/uploads/2013/12/Local-Procurement-Handout-FINAL-WEB-FRIENDLY.pdf>).

სხვათა შორის, ანტიუსული სანქციების საპასუხოდ, 2014 წლის შემოდგომაზე, რფ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით შემოდებულ იქნა ქვეყანაში სურსათის იმპორტის შეზღუდვა დასავლეთის ქვეყნებიდან და პრეფერენციები საბაჟო კავშირის (CU) ტერიტორიაზე წარმოებული სურსათის შესყიდვაზე (Минсельхоз предложил запретить госзакупки импортных продуктов. 23 октября 2014. <http://lenta.ru/news/2014/10/23/embargo/>).

ადსანიშნავია, რომ საერთო პრეფერენციები ზოგიერთი სახეობის სურსათის შესყიდვებზე მთელი ნიუ-ინგლანდის რეგიონის, ანუ ექვსივე შტატის მიმწოდებლებისთვისაც არის დაწესებული. ფაქტობრივად, შესყიდვების იერარქიაში რეგიონის რომელიმე მუნიციპალიტეტის (საგრაფოს) სურსათის მიმწოდებელს მეტი უპირატესობა აქვს, ვიდრე შტატისას; შტატის მიმწოდებელს მეტი უპირატესობა აქვს, ვიდრე რეგიონისას; ხოლო რეგიონის მიმწოდებელს მეტი უპირატესობა აქვს, ვიდრე კვების რომელიმე სხვა კუთხის მიმწოდებელს ან იმპორტიორს.

დღეს აშშ-ს ოცდახვიდმეტ შტატს უკვე აქვს გარკვეული ფორმის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მოითხოვს ან ხელს უწყობს აღგილობრივი სურსათის სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას. ეს კანონები განსხვავებულია შტატების მიხედვით; ზოგი ვრცელდება კონკრეტულად სურსათზე, სხვები ვრცელდება ზოგადად აღგილობრივ პროდუქციასა და მომსახურებაზე.

უოგელივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, დაიწყოს მუშაობა საკანონმდებლო და პოლიტიკურ ინიციატივებზე, რათა:

— შეიქმნას ნორმატიული ბაზა, რომლითაც დადგინდება აღგილობრივი და „სამიზნე“ სურსათის შესყიდვების უპირატესობა;

— ნორმატიული აქტით დადგინდეს „სამიზნე“ სურსათის პარტიები (სახეობები), რომელიც, 2020 წლისთვის, შეძენილი იქნება მხოლოდ აღგილობრივი მიმწოდებლებისგან;

– მთავრობამ დაიწყოს მუშაობა ვებ-დირექტორიის შესაქმნელად, სადაც ფერმერებს და დისტრიბუტორებს მიეწოდებათ საკონტაქტო ინფორმაცია სახელმწიფო უწყებებში არსებული სურსათის შემსყიდვების შესახებ;

– ადგილობრივი სურსათის მიმწოდებლებს უნდა გაეხსნათ მიზნობრივი საკრედიტო ანგარიშები, რაც დააჩქარებს მიმწოდებლი წვრილი და საშუალო ფერმერების ღროვად დაკრედიტებას;

– მოხდეს სურსათის აგრეგატორების – „ჰაბების“ შექმნა. მათში გაერთიანდეს წვრილი და საშუალო მიმწოდებელი ფერმერები. აგრეგატორები გამოვლენ დისტრიბუტორების როლში, რომლებიც აგროვებენ ადგილობრივ სურსათს სახელმწიფოს შემსყიდვებისთვის.

სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებელთა სისტემა ასახავს მისი გლობალური ასპექტებით დახასიათებას, აგრეთვე ცალკეული სახელმწიფოსა და რეგიონის სასურსათო უსაფრთხოების დონის განსაზღვრას. დღეს საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების შესაფასებლად იყენებენ მაჩვენებლებს, რომლებიც დამუშავეს FAO-ს ექსპერტებმა:

– მარცვლეულის შემდეგი წლის მოსავლის მიღებამდე გარდამავალი მსოფლიო მარაგების მოცულობა;

– მოსახლეობის ერთ სულზე მარცვლეულის წარმოების დონე.

მარცვებულის გარდამავალი მარაგების ოდენობა გაიანგარიშება მსოფლიო მოხმარების მიხედვით დღეებში ან მოხმარებისადმი პროცენტებში. ამასთან, მიღებულია, რომ გარდამავალი მარაგების დონე არ უნდა იყოს მსოფლიო მარცვლეულის მოხმარების 60 დღეზე ნაკლები მოცულობის.

აღნიშნული მაჩვენებლები წარმოდგენას იძლევა მხოლოდ სურსათის საქმარისობის შესახებ და არის სასურსათო უსაფრთხოების უკიდურესად ზოგადი დახასიათება, რამდენადაც მათი დახმარებით შეუძლებელია განისაზღვროს, თუ როგორ დონეზე ხდება სასურსათო უსაფრთხოების ისეთი ძირითადი ფუნქციის რეალიზება, როგორიცაა ადამიანის ფიზიოლოგიური გადარჩენის, მისი სრულფასოვანი სიცოცხლისუნარისობის შენარჩუნების უზრუნველყოფა. არ შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების ისეთი დონე, როდესაც მარცვლეულის სამოცდლიანი მსოფლიო მარაგის არსებობის პირობებშიც კი, 800 მლნ ადამიანი მთელ მსოფლიოში არ იღებს თავისი ძირითადი სასურსათო მოთხოვნილებების დამაყოფილებისათვის საჭირო კვების პროცესებს. FAO-ს არაერთ დეპლარაციაში გამოთქმულია ღრმა შეშფოთება შიმშილის არსებობის გამო, რომელიც ასეთი მასშტაბურობით წარმოადგენს საფრთხეს როგორც ცალკეული ქვეყნების, ისე მსოფლიო თანამეგობრობის სტაბილურობისათვის.

სასურსათო უსაფრთხოების დონის შესაფასებლად, როგორც აღნიშნული იყო, ზღვრული სიდიდეებია სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლები. ზემოთ განხილულ შემთხვევაში ასეთად გვევლინება მარცვლეულის სამოცდლიანი მსოფლიო მარაგი. მსოფლიო მარცვლეულის მარაგის მის ზღვრული სიდიდისაგან გადახრის დონე ახასიათებს საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების დონეს (მდგომარეობას).

მოსახლეობის ერთ სულზე მარცვლეულის წარმოების მაჩვენებლის გამოყენება შეიძლება სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოების დახასიათებით სისტემა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეგიონის სასურსათო უსაფრთხოების შესაფასებლად. სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლების ფორმალიზაციის საფუძვლად გამოყენებულია მისი ძირითადი შემადგენელი კლემენტების მოთხოვნები. ერთ-ერთი ასეთი ძირითადი მოთხოვნაა სურსათის მოხ-

მარების საკმარისობა, რომელიც შეიძლება განისაზღვროს საკმარისობის ზოგადი კოეფიციენტების საშუალებით. საკმარისობის ზოგადი კოეფიციენტი შეიძლება გავიანგარიშოთ დირექტულებით (K საკმ. 1) და ნატურალურ (K საკმ. 2) სახით:

$$K_{\text{კმ.1}} = \frac{\text{კვების ფაქტორიცი დაფუძნებული რაციონის ღირებულება}}{\text{დაფუძნებული კვების რაციონის ღირებული მარმარილობის მიხედვით}} \quad (1)$$

$$K_{\text{კმ.2}} = \frac{\text{ფაქტორიცი კულ რაციონის კვების დაფუძნებული რაციონი}}{\text{კულ რაციონის კვების დაფუძნებული რაციონში სამუდაბინო ნორმების მიხედვით}} \quad (2)$$

საკმარისობის კერძო კოეფიციენტები იანგარიშება იმ ძირითადი საპვები პროდუქტების მიხედვით, რომლებსაც გააჩნია ყველაზე მეტი ენერგეტიკული ფასეულობა. ამ კოეფიციენტების გაანგარიშება საშუალებას მოგვცემს, განვსაზღვროთ არა მარტო ძირითადი პროდუქტების საკმარისობა, არამედ მოსახლეობის კვების სარისხიც, რასაც გადამწყვეტი მიზნებისთვის აქვს ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის. საკმარისობის ზოგადი და კერძო კოეფიციენტების გაანგარიშებისა და ანალიზის დროს აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს სოფლის მოსახლეობის მიერ საკუთარ მეურნეობებში მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოხმარება, ნატურით შრომის ანაზღაურება და ა.შ. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინება საჭიროა იმის გასარკვევად, თუ რამდენად იღებს სასაქონლო სახეს საკუთარ მეურნეობებში წარმოებული პროდუქცია. ამიტომ მართებული იქნება, საკმარისობის კოეფიციენტები ცალკალ განვსაზღვროთ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის. აუცილებელია აგრეთვე მხედველობაში იქნეს მიღებული ქალაქების მიერ საკუთარ სააგარაკო ნაკვეთებში მოწეული პროდუქცია.

სურსათის ხელმისაწვდომობა შეიძლება შეფასდეს ხელმისაწვდომობის კოეფიციენტის (ზოგადისა და კერძოს) საშუალებით. ხელმისაწვდომობის ზოგადი კოეფიციენტი ხელ. იანგარიშება ფორმულით:

$$K_{\text{ხელ}} = W \frac{\text{შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულშე}}{\text{სასურსათო კულატოს (გასამუალოვებული მაჩვერებელი) დორულულობა}} \quad (3)$$

ამ ფორმულაში W დიფერენციაციის კერძო კოეფიციენტია. კერძოდ, ის გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების შემოსავლების ჩამოყალიბებული დიფერენციაციის გამო, აღნიშნული მაჩვენებელი შეიძლება შეივსოს ხელმისაწვდომობის მთელი რიგი კერძო კოეფიციენტებით, რომლებიც გაიანგარიშება განსხვავებულ-შემოსავლიანი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით.

სასურსათო უსაფრთხოების სრული სურათის შესაქმნელად შემოვიწანოთ ზემოაღნიშნული მაჩვენებლების ზღვრული სიდიდეები. ამასთან, გამოკეთებულ ამ ზღვარის ზედა და ქვედა (კრიზისულ) საზღვრებს. პირველ შემთხვევაში (ზედა), ხელმისაწვდომობის კოეფიციენტის გაანგარიშებაში ზღვრულ სიდიდეებს წარმოადგენს კვების რაციონის სამედიცინო ნორმები და მისი შესაბამისი კალების რაოდენობა, ხოლო ხელმისაწვდომობის კოეფიციენტის გაანგარიშებისას – სასურსათო კალათის დირებულება, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის აქტიურსა და ჯანსაღ ცხოვრებას, ანუ ესაა K საკმ. 1-სა და K ხელ. სხვაობა: (1) – (3). ქვედა საზღვარი – ესაა შიმშილობის საზღვარი. ჩვენ მიერ კრიზისულად მიჩნეულია (FAO-ს კლასიფიკაციის თანახმად) დღგ-

დამური რაციონი 2150 კპალ – სურსათით უზრუნველყოფის საქმარისობის მაჩვინებლის ზღვრული სიდიდე.

რაც შეეხება სურსათის ხელმისაწვდომობას, ამ მაჩვინებლის ზღვრული (კრიზისული) სიდიდე განისაზღვრება დღედამური რაციონის კვების პროდუქტების ღირებულებით შეფასებით, გამომდინარე 2150 კპალ დღეში ენერგეტიკული ფასეულობიდან.

საქმარისობის (K საკმ. 2) და ხელმისაწვდომობის კოეფიციენტების (K ხელმ.) ფორმულები, შესაბამისი მაჩვინებლების კრიზისული (ზღვრული) სიდიდეების შემოღების გათვალისწინებით, მიიღებს შემდეგ სახეს:

$$K_{\text{ხელმ.}} = \frac{\text{ფაქტობრივი დღეულამური რაციონის კვალი რაოდენობა}}{\text{დღეულამური კრიზისული (ზღვრული) რაციონის კვალი რაოდენობა}} - 2150 \text{ კვალი დღეში} \quad (4)$$

$$K_{\text{ხელმ.}} = \frac{\text{შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულუს (თვეში)}}{\frac{\text{ყოველთვიური რაციონის კვების პროდუქტების დირემულება}}{\text{გამომდინარე 2150 კვალი დღე მოსმარებიდან}}} \quad (5)$$

სურსათით თვითუზრუნველყოფის დონე განისაზღვრება თვითუზრუნველყოფის ზოგადი და კერძო კოეფიციენტებით. თვითუზრუნველყოფის ზოგადი კოეფიციენტი (თვით.) გაიანგარიშება ფორმულით:

$$K_{\text{თვით.}} = \frac{\text{საკუთარი წარმოების მოხმარებული კვების}}{\text{პროდუქტების დონემულება}} \quad (6)$$

თვითუზრუნველყოფის კერძო კოეფიციენტები იანგარიშება ცალკეული პროდუქტების მიხედვით ნატურალურ და ღირებულებით გამოხატულებაში. აღნიშნული მაჩვინებლების ზღვრული სიდიდე განისაზღვრება კონკრეტულად ცალკეული ძირითადი კვების პროდუქტების სახეობისათვის. რეგიონებისათვის შეიძლება შემოდებულ იქნეს დამატებითი მაჩვინებელი – სასურსათო უზრუნველყოფის დამოუკიდებლობის კოეფიციენტი:

$$K_{\text{დამოუკიდებლობის}} = \frac{\text{სურსათის დონემულება, მომელიც რეგიონის სახსრებით შეასრულება}}{\text{(რეგიონული მიუხედო, კომერციული სტრუქტურების სახსრები)}} \quad (7)$$

სამამულო სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლის დაცულობის ხარისხის განსაზღვრისათვის შემოგვაჭვს დამდევველი კონკურენციის მაჩვინებელი:

$$K_{\text{დამოუკიდებლობის}} = \frac{I - \text{ური იმპორტული პროდუქტების საბაზო დონემულება}}{I - \text{ური პროდუქტის წარმოების დანახულები, რომელიც}} \quad (8)$$

აღნიშნული მაჩვინებლის მნიშვნელი ხარჯების სახითაა წარმოდგენილი, რადგანაც ადგილობრივ საწარმოებში წარმოებული პროდუქტების საბაზო

ღირებულება ყოველთვის არ ასახავს მათ ჰეშმარიტ კონკურენტუნარიანობას. დამდუპელი კონკურენციის კოეფიციენტის ზღვრული სიდიდე უნდა ითვალისწინებდეს რენტაბელობის გარკვეულ დონეს შესაბამისი პროდუქციის სახეების დოტაციის გათვალისწინებით. ოუკი რენტაბელობის დონედ მივიჩნევთ 15–20%-ს, მაშინ დამდუპელი კონკურენციის კოეფიციენტის ზღვრული სიდიდე შეადგენს არაუმჯეტეს 0,75-ს.

ლიტერატურაში ასევე ცნობილია ნომინალური დაცულობის კოეფიციენტი, რომელიც ტოლია სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიების გათვალისწინებით გაანგარიშებული შინაგანი ფასების შეფარდებისა მსოფლიო ფასებთან. თუმცა, დაცულობის საერთო სურათის წარმოდგენისას აღნიშნული მაჩვენებელი არ იძლევა ამომწურავ ინფორმაციას კონკურენტული პრზიციების (პროდუქტების სახეობების) დაცულობის შესახებ, რაც, ბუნებრივია, ართულებს სოფლის მეურნეობის და გადამამუშავებელი მრეწველობის შესაბამისი დარგების დაცვის სტრატეგიის შემუშავებას. ამ თვალსაზრისით, შემოთავაზებული დამდუპელი კონკურენციის მაჩვენებელი უფრო მისადაგბია.

ქვეყნისა და ცალკეული რეგიონის სასურსათო უსაფრთხოების შეფასება უნდა ხორციელდებოდეს ზემოთ განხილული მაჩვენებლების მოედი სისტემის გამოყენებით, რომლებიც საშუალებას იძლევა არა მარტო უშუალოდ განისაზღვროს სასურსათო უსაფრთხოების დონის შემცირება ან გადიდება, არამედ გაირკვეს სურსათით უზრუნველყოფის, და აქედან გამომდინარე, სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის დამუშავებისა და რეალიზაციის ძირითადი მიმართულებები.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება თანამედროვე ეტაპზე

ჩვენი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების შეფასების დონე დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, გამოყენებული ინფორმაციის ჰეშმარიტებას ეხება. ამ მხრივ ჩვენში ყველაზე დიდ ეჭვს იწვევს კვების პროდუქტების მოსახლეობის მიერ ფაქტობრივი მოხმარების მონაცემები. კერძოდ, 2015 წლის მონაცემებით, ყველის მოხმარებამ მოსახლეობის ერთ სულ ზე შეადგინა 26,4 კგ, რაც ერთი თვის რაციონზე გადაანგარიშებით შეადგენს 2,2 კგ-ს, ეს კი ნიშნავს, რომ საშუალოდ ქვეყნის თითოეული მცხოვრები მხოლოდ აღნიშნულ პროდუქტზე უნდა ხარჯავდეს დაახლოებით 20 ლარს.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ განხილული გარემოება ჩვენ მიერ ჩატარებული გაანგარიშების გარკვეული დონის სიზუსტეს განაპირობებს, მათი შედეგები შეიძლება საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების დონის შეფასების სრულიად მისაღებ ორიენტირად იქნეს მიღებული.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდიების თანახმად, სასურსათო უსაფრთხოების დონის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია სურსათის საკმარისობის კოეფიციენტი, რომელიც იანგარიშება როგორც ლირებულებით გამოხატულებაში (K საკმ. 1), ისე, როგორც კვების პროდუქტების დღედამური რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა (K საკმ. 2):

$$K_{საკმ. 1} = \frac{\text{კუნძულის უსაფრთხოები დღედამური რაციონის კულ რაოდენობა}}{\text{კუნძულის დღედამური კულ რაოდენობა სამუდაო რაოდენობის მიხედვით}}$$

ფურიეს გარდაქმნის კლასიკური ინტერპრეტაციის თანახმად, სიგნალი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სინოსიოდალური მოდელის სახით, რომელსაც ახასითებს კონკრეტული სიხშირე, ამაღიტუდა და ფაზა [Philippe Masset, 2008]. ამდაგვარად, p-პერიოდის მქონე ფუნქციის $f_p(t)$ წარმოდგენა შეიძლება შემდეგი სახით:

$$f_p(t) = \sum_{k=-\infty}^{+\infty} a_k \exp\left(-\frac{2\pi i k t}{p}\right), \quad (1)$$

სადაც $i = \sqrt{-1}$, $|t| < \frac{p}{2}$. პოეზიციური a_k განისაზღვრება როგორც:

$$a_k = \frac{1}{p} \int_{-p/2}^{p/2} f_p(t) \exp\left(-\frac{2\pi i k t}{p}\right) dt. \quad (2)$$

ეს გულისხმობს იმას, რომ თითოეული a_k წარმოდგენს K -ური სიხშირის კომპონენტის წვლილს პერიოდულ ფუნქციაში. (1)-ის და (2) სათანადო გადაქმნების შედეგად მივიღებთ ეწ. ფურიეს წყვილს, ანუ რაიმე პერიოდული პროცესის გამოსახვას როგორც დროით, ისე სიხშირის ასკექტში, რადგანაც განსაზღვრავს შესაბამისად ფაზას და ამპლიტუდას, როგორც დროის ფუნქციას t და სიხშირის ფუნქციას ω :

$$\begin{aligned} F(\omega) &= \int_{-\infty}^{+\infty} \exp(-2\pi i \omega t) f(t) dt, \\ f(t) &= \int_{-\infty}^{+\infty} \exp(2\pi i \omega t) F(\omega) d\omega \end{aligned}$$

ეს წყვილი დროითი მწკრივების ანალიზის არსესა და საფუძველს წარმოადგენს სპექტრულ ანალიზში [Lisa Sella, 2008].

როდესაც მოვლენას ახასიათებს ძალიან ქაოსური, მუდმივად ცვალებადი დინამიკა, სპექტრული ანალიზის შედეგად მიღებული სურათი, ე.წ. სპექტრული სიმკვრივის გრაფიკი, შედარებით თანაბარი იქნება, რაც გულისხმობს, რომ არ არსებობს რაიმე მკვეთრად გამოხატული ციკლი და ყველა სიხშირე განიცდის ზეგავლენას ამ მოვლენის დროს. ამის საპირისპიროდ, თუ მოვლენას გააჩნია წმინდა პერიოდული ხასიათი, მის სპექტრში მკვეთრად გამოხატული იქნება შესაბამისი სიხშირის ციკლი.

შესაბამისად, სპექტრული ანალიზის ჩატარებისას მკვლევარის მიზანია, არსებულ არაწრფივ დროით მწკრივში გამოყოს ციკლური და ტრენდული კომპონენტები, განასხვავოს ერთმანეთისგან შემთხვევითი რეეგები და ნამდვილი ციკლური მოვლენები. ეს ფუნდამენტური მეთოდი მრავალი მიმართულებით გამოიყენება, კერძოდ, მაკროეკონომიკაში, ფინანსებში, სექტორულ ეკონომიკაში

და ა.შ. სწორი ანალიზის ჩატარების შემთხვევაში ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, დროდა ჩატარები ეკონომიკური მოვლენის შინაარსს, სტრუქტურასა და მიზეზშედეგობრივ კავშირებს.

სპეციალური ანალიზის ეკონომიკაში გამოყენების არსი შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას: ეკონომიკის კონიუნქტურის ცვლილებები, ანუ ფლუქტუაციები წარმოდგენილ უნდა იქნეს სინუსოიდალური/კოსინუსოიდალური ფუნქციების ერთობლიობის გამოყენებით. ეკონომიკურ დროით მწერივებში უნდა გამოვლინდეს ციკლური კომპონენტი, რომელიც შემდგომ აღწერილი უნდა იქნეს მათემატიკური ფუნქციის დახმარებით და ამ უკანასკნელის საფუძველზე უნდა გაკეთდეს დასკვნები ეკონომიკური ციკლების პერიოდის, ამპლიტუდისა და სიხშირის შესახებ.

ეკონომიკის მდგომარეობის ანალიზი და მომავალი განვითარების პროგნოზება საქმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. მისი წარმოდგენა შემდეგი ეტაპებით არის შესაძლებელი [Г.Д. Ковалева, 2008]:

1. თავდაპირველი მონაცემების დამუშავება. ამ ეტაპზე მოწმდება სხვადასხვა დროითი მწერივები მათი სტაციონალურობის დადგენის მიზნით;
2. მიღებული მწერივის შესწავლა მასში ციკლური კომპონენტის გამოყოფის მიზნით. სწორედ ამ ეტაპზე გამოიყენება სპეციალური ანალიზის მექანიზმი;
3. მწერივის მოსწორება მოკლევადიანი ციკლებისა და შემთხვევითი გადახრების მოსწორების მიზნით;
4. მიღებული მწერივის ინტერპოლაცია პოლინომიალური ფუნქციის გამოყენებით;
5. ინტერპოლაციური მრუდის გამოკვლევა ექსტრემუმებზე ციკლების პერიოდზაფიისთვის;
6. ამ მრუდის ექსტრაპოლაცია საკვლევი ციკლის სრული ვადით;
7. დასკვნების გაკეთება მიღებული მრუდის მიხედვით, მომავალი ეკონომიკური განვითარების შესახებ.

სპეციალური ანალიზის მეთოდს გააჩნია თავისი ნაკლოვანებებიც. პირველ რიგში, ის, როგორც წესი, გამოიყენება საქმაოდ გრძელი, რამდენიმე ასეული ან ათასეული დაკვირვებისაგან შემდგარი დინამიკური მწერივებისთვის. ეკონომიკური მონაცემების შემთხვევაში მსგავსი სიგრძის შეიძლება იყოს ყოველდღიური ან ყოველკვირეული დინამიკური მწერივები (მაგ., საფონდო ინდექსის მნიშვნელობები), რაც საქმაოდ იშვიათი მოვლენაა. რეალური სექტორის ამსახველი მონაცემები, ძირითადად, თვიური, კვარტალური ან/და წლიური პერიოდულობისაა. ამიტომ ასეთი დინამიკური მწერივების მიმართ აუცილებელია სპეციფიკური მიღების გამოყენება.

გრძელვადიანი ციკლების გამოკვლევის დროს შედარებით მოკლე დინამიკური მწერივების (20-50 წელი) შემთხვევაში ჩნდება იმის პრობლემა, რომ ციკლის ფაზა შესაძლოა აღქმულ იქნეს როგორც მწერივის ტრენდი. ამ დროს ჩნდება იმის საშიშროება, რომ ავტოკორიაციის ფუნქციის შეფასებები და მათ საფუძველზე გამოთვლილი სპეციალური სიმკვრივის მნიშვნელობები არასაიმედო იქნება. დროით მწერივთა ოქორიაში მიღებულია, რომ სპეციალური სიმკვრივის ფუნქციის შეფასება საიმედოა, თუ გამოვლენილი ციკლური კომპონენტის პერიოდის სიგრძე 5-7-ჯერ ეტაპა საკვლევი დინამიკური მწერივის სიგრძეში. ამიტომ ეს გარკვეულწილად შემაფერხებელი ფაქტორია გრძელვადიანი ციკლების შესწავლის დროს.


სპეციალის შეფასების საიმედოობა იკლებს ციკლის პერიოდის ზრდასთან ერთად. ამიტომ, მხედველობაში უნდა მივიღოთ სხვადასხვა სიხშირეზე შეფასებების ხარისხობრივი განსხვავება.

მეთოდის პრაქტიკული გამოყენება (საქართველოს მაგალითზე)

ანალიზის ობიექტად აღებულია საქართველოს ეკონომიკა. ანალიზის მიზნით მოძიებულ იქნა შემდგენ მაჩვენებლები:

- ✓ საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, მუდმივ 2005 წლის დოლარებში, 1965-2014 წლიური მონაცემები, დაკვირვებათა რაოდენობა-50; ⁸
- ✓ სეზონურად მოსწორებული მრეწველობის პროდუქციის ინდექსი (კერძოდ, მისი დამამუშავებელი მრეწველობის ნაწილი, მთლიან მრეწველობაში ამ დარგის წილიდან გამომდინარე), 2001 წლის პირველი კვარტალიდან 2015 წლის მესამე კვარტალის ჩათვლით პერიოდისთვის, დაკვირვებათა რაოდენობა-59.⁹

ამ ინდიკატორების დინამიკაში ციკლური კომპონენტის გამოყოფა მოხდა პროგრამა MATLAB-ის გამოყენებით. გრაფიკი 1 ასახვს სპექტრული ანალიზის მეთოდის მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკურ მწკრივზე გამოყენების შედეგად მიღებულ სპექტრს, ხოლო გრაფიკი 2 – მრეწველობის ინდექსის შესაბამისი ანალიზის შედეგს.




გრაფიკ 1: საქართველოს რეალური GDP-ის სპექტრი

როგორც გრაფიკი 1-დან ჩანს, სპექტრული ანალიზის გამოყენებით საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკაში აღმოჩენილ იქნა ორი სხვადასხვა პერიოდის ციკლი. მათი პერიოდები გამოითვალა სიხშირეების შებრუნებული მნიშვნელობიდან გამომდინარე [POMĚNKOVÁ, MARŠÁLEK, 2012]:

⁸ წყარო: <http://data.worldbank.org/country/georgia>

⁹ წყარო: http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo ;



გრაფიკი 2: მრეწველობის პროდუქციის ინდექსის სპექტრი¹⁰

$$T_1 = \frac{1}{f_1} = \frac{1}{0,0007667 \times 52} = 25$$

$$T_2 = \frac{1}{f_2} = \frac{1}{0,001533 \times 52} = 12.5$$

შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების დინამიკაში აღმოჩენილ იქნა 12,5 და 25 წლიანი ციკლები. ოუმცა მეთოდის ზემოთ ასენილი ნაკლოვანებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა მხოლოდ 12,5 წლიანი ციკლის სანდოდ ჩათვლა, რადგან მისი სიგრძე ბევრად ნაკლებია ამოსავალი მწკრივის სიგრძეზე.

მრეწველობის ინდექსის დინამიკის დამუშავების შედეგად მიღებული სპექტრის თანახმად, გამოიკვეთა შემდეგი პერიოდის ციკლები;

$$T_1 = \frac{1}{f_1} = \frac{1}{0,0013 \times 52} = 14.8$$

$$T_2 = \frac{1}{f_2} = \frac{1}{0,005202 \times 52} = 3.7$$

¹⁰ გრაფიკები აგებულია პროგრამა MATLAB-ში ჩატარებული ანალიზის შედეგების საფუძველზე.

მრეწველობის ინდექსის დინამიკაში გამოვლინდა 14,8- და 3,7-წლიანი ციკლები. ზემოთ აღწერილი მიზეზის გამო არამიზანშეწონილად ჩაითვალა პირველი ციკლის განხილვა მრეწველობის ინდექსის შემდგომ ანალიზში, რადგანაც მისი პერიოდი ემთხვევა ამოსავალი მწკრივის სიგრძეს.

დასკნა

ამგვარად, სპექტრული ანალიზის გამოყენება წარმატებით მოხდა, რამაც დაადასტურა ამ მეთოდის პერსპექტიულობა და ეფექტურობა ეკონომიკურ კვლევებში. დამტკიცდა საქართველოს ეკონომიკის განვითარების ციკლური ხასიათი, გამოვლინდა რამდენიმე ხანგრძლივობის ციკლი, როგორც მოლიანი შიდა პროდუქტის, ისე მრეწველობის პროდუქციის ინდექსის დინამიკაში. ციკლების პერიოდებიდან გამომდინარე, გაკეთდა შემდეგი დასკვნები:

- ✓ 12,5-წლიანი ციკლი ჩაითვალა უგლიარის საშუალოვადიან ეკონომიკურ ციკლად (ბიზნეს-ციკლად);
- ✓ 3,7-წლიანი ციკლი კლასიფიცირებულ იქნა კიტჩინის მოკლევადიან ციკლად [კაკულია 6., 2012].

ადსანიშნავია, რომ სპექტრული ანალიზის გამოყენებით მიღებული შედეგები არის ამოსავალი წერტილი შემდგომი კვლევებისთვის, როგორიცაა ციკლების მიზეზებისა და მოქმედების მექანიზმის ანალიზი, მათი დათარიღება და პროგნოზირება. ეს კი, თავის მხრივ, კონტრიკლური და ანტიკრიზისული მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების საფუძველია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კაკულია 6., 2012, „ეკონომიკური რევენების თეორიები ეკონომიკური პრიზისის ასპექტით“. „ეკონომიკა და ბიზნესი“, იანგარ-თებერვალი, თბილისი.
2. Comin D., Gertler M., 2003. *Medium term business cycles*. National Bureau of Economic Research, September.
3. Ledenyov D.O. and Ledenyov V.O., 2012, *On the accurate characterization of business cycles in nonlinear dynamic financial and economic systems*;
4. Poměrnková J., Maršálek R., 2012, *Time and frequency domain in the business cycle structure*, AGRIC. ECON. CZECH, 58, (7).
5. Fenton J.D., 2010, *Numerical methods*, Institute of Hydraulic and Water Resources Engineering, Vienna University of Technology Karlsplatz 13/222, 1040 Vienna, Austria, April 21.
6. Schumpeter J. A., 1939, *Business Cycles. A Theoretical, Historical and Statistical Analysis of the Capitalist Process*.
7. Sella Lisa, 2008. *Old and new spectral techniques for economic time series*, May.
8. Pensiero L., 2007, *Real Business Cycle Models of the Great Depression: a Critical Survey*, Department of Economics and IRES, Universite catholique de Louvain, Journal of Economic Surveys Vol. 21, No. 1.
9. Masset Ph., 2008, *Analysis of Financial Time-Series using Fourier and Wavelet Methods*, October.
10. Claessens S., Kose M.A., Terrones M.E., 2011, *How Do Business and Financial Cycles Interact?* IMF Working Paper. April.
11. Канторович Г.Г., 2002, Анализ временных рядов, Экономический журнал ВШЭ. №1,;

12. Ковалева Г.Д., 2008, Применение теории временных рядов в экономических исследованиях, Новосибирск.
13. MathWorks, Signal Processing Toolbox, Обработка сигналов, анализ и разработка алгоритмов.
14. Райская Н.Н., Сергиенко Я.В., Френкель А.А. (Институт экономики РАН, г. Москва), Вовк О.А., Исследование экономического цикла в плановой и переходной экономике, Московский университет экономики, статистики и информатики (МЭСИ) Москва;
15. Ситникова А.Ю., Метод спектрального анализа для выявления циклов экономической конъюнктуры, Вестник Самарского государственного экономического университета, 2009;
16. Цирель С.В., Кондратьевские циклы и цикличность эффективности экономической политики, Санкт-Петербург.

*Giorgi Tetrauli
Doctoral student,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

METHOD OF SPECTRAL ANALYSIS IN RESEARCH OF ECONOMIC CYCLES

Expanded Summary

On the current stage of world economic development periodic macroeconomic fluctuations and crises are becoming increasingly important and amplitudinous issues. The problem of economic cycles and crises has been researched since 19th century by leading economists (Schumpeter, Marx, Keynes and others). Nowadays this issue is thoroughly studied in western economies, whereas in Georgia the challenge of cyclical economic development is relatively new.

In modern surveys keen interest is expressed to the issue of interrelations between cycles of different length (Sanvi Avouyi-Dovi, Julien Matheron (2003); Acie S. Forrer, Donald A. Forrer (2014); Modelschi G. (2001); Korotayev A., Tsirel S. (2010) and others), which proves actuality of this stream of economic theory.

The purpose of this article is to reviews theoretical concepts of spectral analysis-one of the most widespread modern methods used for research of economic cycles, as well as its practical use for the economy of Georgia.

Research of economic cyclicity is performed using different methods. Along with visual methods, which enable to reveal long-term cycles based on the graphical analysis of time series dynamics, nowadays more and more popular are exact methods, based on mathematic approach. They enable researchers to make accurate conclusions about dynamics of concrete macroeconomic indicators, make forecast and implement anti-crisis regulation.

One such method is spectrum analysis. Initially it was used in other branches of science, such as physics and mathematics. In economics it is usually used on micro-level for analysis of seasonality of sales, stock market dynamics and change in production stocks. Nevertheless, it is successfully applied on macroeconomic level for analysis of cyclicity. Spectrum analysis is particularly interesting in economics, since it enables separation of such important components of economic time series as trend, cyclicity, seasonal fluctuations and others. Economic analysis performed from this point of view makes it possible to create exact definition of an economic cycle based on reliable mathematic methods, reveal cycles of various periods and calculate so-called leading indicators to predict economic crises.

In the process of use of spectrum analysis there are often specific requirements to the initial data. For example, sometimes it is necessary to ensure stationary state of a time series, which in turn occurs quite seldom when speaking about economic time series. In order to make such series usable for further analysis specific methods of spectrum analysis were developed, such as Singular Spectrum Analysis (SSA).

The main idea of spectrum analysis is to break down the time series into several components, each of which represent cycles of a different frequency, assess the impact of each component on the initial dynamics of the time series, and reveal cycles by the strongest impact of several components. Spectrum analysis makes it possible not only to indicate concrete cycles, but also to find so-called quasi-periodic components, which should be taken into consideration in analysis of cyclicity.

Classical method of spectrum analysis is based on Fourier transform. Its general idea is to break down the initial time series, or a function, into harmonic fluctuations and their frequencies. The formula of discrete Fourier transform is as follows:

$$X(m) = \sum_{k=0}^{N-1} x(k) e^{-\frac{2\pi i km}{N}} = \sum_{k=0}^{N-1} x(k) [\cos(2\pi km/N) + i \sin(2\pi km/N)]$$

Where: $X(m)$ – m-th member of a transformed series;

$x(k)$ – k-th component of the initial data;

N – length of the initial data;

i-imaginary value, $i = \sqrt{-1}$.

According to the classical interpretation of spectrum analysis by Fourier transform, an initial signal (or a time series) can be presented as a sinusoidal model, which is characterized by a concrete frequency, amplitude and phase. Thus, a function $f_p(t)$ with a period p can be represented as follows:

$$f_p(t) = \sum_{k=-\infty}^{+\infty} a_k \exp\left(-\frac{2\pi i kt}{p}\right), \text{ where } i = \sqrt{-1}, |t| < \frac{p}{2}.$$

a_k coefficient is calculated as follows:

$$a_k = \frac{1}{p} \int_{-p/2}^{p/2} f_p(t) \exp\left(-\frac{2\pi i kt}{p}\right) dt.$$

The results of a spectrum analysis can be shown in a graphical form, which is called periodogram and shows different cycles and their frequencies in a time series.

In the survey described in this article spectral analysis was performed using MATLAB software in order to analyze dynamics of the economy of Georgia. As initial time series, the following indicators were chosen:

- ✓ Real Gross Domestic Product per capita in 1965-2014, in constant 2005 USD;
- ✓ Seasonally adjusted index of industrial production (more precisely, of a manufacturing section of industrial production, according to its share in total industry).

According to the results, the following cycles were revealed in the economy of Georgia:

- ✓ 12.5-year cycle, which was classified as a Juglar medium-term cycle (business cycle);
- ✓ 3.7-year cycle, which was assumed to be a Kitchen short-term cycle.

Besides, cycles with periods of 25 and 14.8 were found, but due to the length of the initial data they were excluded from the further analysis.

გიორგი თეთრაული
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

შუბლარის ციკლები საქართველოს პროცესიაში

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ეკონომიკის ციკლურობის პლევის თანამედროვე ძეთობის, პოდრიკ-პრესკოტის ფილტრის გამოყენების თეორიული და პრაქტიკული საკითხები. გამოთვლილია საქართველოს ეკონომიკაში შეგლარის ციკლების ვადები და გაცემებულია დასკვნები ქმედის მომავალი ეკონომიკური განვითარების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: შეგლარის ციკლები, პოდრიკ-პრესკოტის ფილტრი.

შესავალი

ეკონომიკური განვითარების ციკლურ თეორიაში ყველაზე მკვეთრად გამოხატულია შეგლარის საშუალოვადიანი (საქმიანი) ციკლები. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ხდებოდა ეკონომიკის, როგორც მეცნიერების ნამდვილი ფორმირება, კლემენტ შეგლარი იყო ის ეკონომიკის, რომელმაც განახორციელა მცდელობა ეკონომიკაში ახალი სტატისტიკური მეთოდების გამოყენების მიმართულებით. შეგლარის ციკლები მჭიდროდ კორელირებს როგორც მოკლევადიან ფინანსურ-ეკონომიკურ ციკლებთან, რომელიც 1920-იანი წლების დასაწყისში ჯოსეფ კიტჩინისა და უილიამ კრამის მიერ იქნა აღმოჩენილი (Kitchin 1923; Crum 1923), ისე ნიკოლაი კონდრატიევის მიერ აღმოჩნილ კონიუნქტურის გრძელვადიან ეკონომიკურ ციკლებთან [Hagemann, Legrand, 2005].

ემპირიული კვლევების თანახმად, საშუალოვადიანი (საქმიანი) ბიზნესციკლები ყველაზე მეტად ახდენს ზეგავლენას ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე და ამიტომ მათ განსაზღვრავენ როგორც საბაზისოს.

მოცემული სტატიის მიზანია საქართველოს ეკონომიკაში შეგლარის ციკლების გამოვლენა და მათი მეშვეობით ჩვენი ქმედის ეკონომიკური განვითარების დინამიკაზე დასკვნების გაპეოება.

შეგლარის ციკლის ბუნება და მომზადების მემანიზმი

შეგლარის ციკლი, ან როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, ბიზნესციკლი, წარმოადგენს ეკონომიკურ თეორიაში ერთ-ერთ ყველაზე კარგად შესწავლილ აქტუალურ პერიოდულ მოვლენას. მისი საშუალო ხანგძლივობა შეადგენს 7-11 წელიწადს, ხოლო მისი არსებობა უბავშირდება ეკონომიკის ბიზნესაქტივობის თავისებურებებს [Dimitri O. Ledenyov and Viktor O. Ledenyov, 2013], [Koichiro Kamada, Kentaro Nasu, 2011].

კონკრეტული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკაში შეგლარის ციკლების გამოვლენა და მათი მოქმედების მექანიზმების შესწავლა საკმაოდ პრობლემატურია. ქემოთ ჩამოთვლილია მათი ასენის მიმართ რამდენიმე ფართოდ გავრცელებული მიდგომა [Hagemann, Legrand, 2005]:

- ✓ ფასებისა და ხელფასების სიხისტ;

- ✓ ეკონომიკურ სუბიექტთა არარაციონალური ქცევა (პირველ რიგში, აქტიური ინგესტირების გაგრძელება, როდესაც მოთხოვნა უკვე წყვეტს ზრდას);
- ✓ სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკა (ეკონომიკის გადაჭარბებული სტიმულირება) ან, უბრალოდ, სახელმწიფოს მეტისმეტად აქტიური ჩარევა ეკონომიკაში;
- ✓ ეკონომიკაში ისეთი ეგზოგენური ცვლილებები, რომლებთანაც ადაპტაციისთვის საბაზრო მექანიზმს დრო სჭირდება;
- ✓ თავად საბაზრო მექანიზმების სტოქასტიკური (შემთხვევითი) შემაღებელი.

მოცემული სტატია იყენებს უუგლარის ციკლების არასწორი საინვესტიციო გადაწყვეტილებებითა და ინფორმაციის გავრცელების დროითი ლაგებით ახსნას, რომელიც წარმოდგენილია თანამედროვე კვლევებში [Koichiro Kamada, Kentaro Nasu, 2011], [kakulia n., 2012], [Timothy Cogley, James Nason, 1995]. ამ ციკლის შინაგანი მექანიზმი შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას: ციკლის აღმავლობის ფაზა იწყება ხელსაყრელი პირობების და რესურსების დიდი მოცულობის არსებობის შემთხვევაში. ამის შემდგომ მოქმედებაში მოდის მომავალი პერიოდების რესურსები (ანუ ის, რომელიც გამოყენებული იქნება წარმატებული სტრატეგიის შემთხვევაში, მაგ., საკრედიტო კაპიტალი), რომელიც ხელს უწყობს ინვესტირებას. თუმცა ინფორმაციის გავრცელებისას დროითი ლაგების არსებობის გამო არჩეული ბიზნესსტრატეგიები და კაპიტალის დაბანდების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები მცდარი და დაგვიანებულია [Luca Pensieroso, 2007]. ეს საბაზრო მექანიზმის არასრულყოფილების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. შედეგად იქმნება დისპროპორციები, როგორიცაა საფინანსო ბუშტები, ჭარბი კრედიტები, ჭარბი ინვესტიციები და სხვა, რაც საბოლოოდ წარმოების მოცულობისა და დასაქმების მკვეთრი შემცირების და კრიზისის მიზეზი ხდება.

აღსანიშნავია, რომ უუგლარის ციკლის ყოველი ფაზერი არის ინოვაციების, ახალი ტიპის რესურსების გამოყენების, ახალი ბიზნესსტრატეგიების შექმნის პერიოდი, რომელიც ასრულებს ბიძგის როლს ახალი საშუალოებისა და დასაქმების მკვეთრი შემცირების და

აღწერილი მექანიზმიდან გამომდინარე, უუგლარის ციკლში გამოყოფებულ ფაზებს (მათ შიგნით კი - შესაბამის ქვეფაზებს) [Harald Hagemann, Muriel Dal-Pont Legrand, 2005]:

- ✓ გამოცოცხლების ფაზა (სტარტისა და აჩქარების ქვეფაზები);
- ✓ აღმავლობისა და აყვავების ფაზა (ზრდისა და „გადახურების“, ანუ ბუშტის ქვეფაზები);
- ✓ რეცესიის ფაზა (მწვავე კრიზისისა და დაცემის ქვეფაზები);
- ✓ დეპრესიის ფაზა (სტაბილიზაციისა და ძვრების ქვეფაზა).

ჰოდრიკ-პრესკოტის ზიღურის პრაქტიკული გამოყენება (საშართველოს მაგალითი)

ბოლო პერიოდში ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრი (Hodrick-Prescott (HP) filter), რომელიც შემუშავებული იყო ჰოდრიკისა და პრესკოტის მიერ 1997 წელს, სულ უფრო პოპულარული მეთოდი ხდება დინამიკური მწერივებისგან ციკლური კომპონენტის და ტრენდის გამოყოფის მიზნით, რაც ასახულია ამ თემაზე არსებულ კვლევებში [Harald Hagemann, Muriel Dal-Pont Legrand, 2005], [King, Rebelo,

1999]. ამ ინსტრუმენტის გამოყენება უპირატესად ბიზნესციკლის თეორიაში ხდება. მისი საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა პერიოდულობის ციკლური მოვლენების და მათ შორის ურთიერთკავშირის შესწავლა.

HP-ფილტრის სხვა გამოყენება მდგომარეობს დინამიკური მწკრივების დეტრენდიზაციაში, რაც ხშირად აუცილებელია სტრუქტურული ეკონომეტრიკული მოდელების აგების დროს, როდესაც ამოსავალი მწკრივი არასტაციონალურია.

HP-ფილტრის მექანიზმი დაუუმნებულია დაშვებაზე, რომ დინამიკური მწკრივი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ციკლური და ზრდის კომპონენტების სახით [King, Rebelo, 1999]:

$$y_t = y_t^g + y_t^e$$

სადაც: y_t^g ზრდის კომპონენტია, ხოლო y_t^e -მწკრივის ციკლური კომპონენტი.

როდესაც ხდება მონაცემების სტაციონალურ სახეზე დაყვანა, საჭიროა ზრდის კომპონენტის გამორიცხვა. HP-ფილტრის გამოყენების დროს ამ გზით ხდება ციკლური კომპონენტის იზოლირება:

$$y_t^e = y_t - y_t^g$$

სადაც y_t^e წარმოადგენს სასურველ მონაცემებს. ამ გზით ხდება ასევე მწკრივის გადახრების შემცირება. ეს შეიძლება გამოისახოს მინიმიზაციის შემდეგი პირობით [David J. Doorn, 2001]:

$$\min_{\{y_t^g\}_{t=1}^T} \sum_{t=1}^T \left\{ (y_t - y_t^g)^2 + \lambda [(y_{t+1}^g - y_t^g) - (y_t^g - y_{t-1}^g)]^2 \right\}$$

სადაც λ წარმოადგენს მოსწორების პარამეტრს, რადგანაც მისი მნიშვნელობა განსაზღვრავს მწკრივის ზრდის ტემპის ზეგავლენას. λ -პარამეტრის მნიშვნელობა განსაზღვრება ამოსავალის მონაცემების პერიოდულობის (წლიური, კვარტალური და ა.შ.) და საძიებელი ციკლის პერიოდის მიხედვით.

HP-ფილტრის გამოყენება შესაძლებელია პროგრამა Eviews-ის დახმარებით, სადაც ეს ინსტრუმენტი საბაზო ფუნქციების რიცხვში შედის. ამ მეთოდის პრაქტიკული გამოყენება ჩატარდა საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე. ამოსავალი მწკრივის სახით შეირჩა რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემები 1965-2014 წლებისთვის, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. მონაცემების წყაროდ აღებული იყო მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზები¹¹. დინამიკური მწკრივი წლიური პერიოდულობისაა, ამიტომ სეზონური მოსწორება არ გახდა საჭირო.

ჩატარებული ანალიზის ეტაპები შემდეგნაირად გამოიყურება [Koichiro Kamada, Kentaro Nasu, 2011]:

- ✓ ამოსავალი დროითი მწკრივების შეგროვება სხვადასხვა ინდიკატორისთვის;
- ✓ სამიზნე სანგრძლივობის ციკლების შერჩევა;

¹¹ წყარო: <http://data.worldbank.org/country/georgia>

- ✓ HP-ფილტრის გამოყენებით დროით მწკიდვებში ციკლური კომპონენტის გამოყოფა;
- ✓ მიღებული სინუსოიდის საფუძველზე ამა თუ იმ ინდიკატორის დინამიკაზე დასკვნების გაკეთება.

HP-ფილტრის გამოყენებით მოხდა შუგლარის ციკლების გამოვლენა. სამიზნე ხანგრძივობის სახით აღებული იქნა შუგლარის ციკლების პერიოდი, კერძოდ, 7-11 წელი. ჩატარებული ანალიზის არსი შემდგენია: თუ ამოსავალი მწკრივის მონაცემები არის y, და ის შედგება სამი ტიპის ციკლებისგან-a<7 წელი, b- 7-11 წელი და c>11 წელი, მაშინ საერთო მწკრივი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი ფორმით [Koichiro Kamada, Kentaro Nasu, 2011]:

$$y_t = a_t + b_t + c_t$$

თუკი HP-ფილტრს გამოვიყენებთ თავდაპირეელად მოკლევადიანი კომპონენტის (a_t) გამოსარიცხად, დაგვრჩება ($b_t + c_t$)-კომპონენტი. საშუალო-ვალიანი ციკლების შემთხვევაში ამას შეესაბამება 7 წლიანი (ქვედა ზღვარი) ციკლების გამორიცხვა. შემდგომ ანალოგიურად ხდება 11-წლიანი (ზედა ზღვარი) კომპონენტის ელიმინირება, რითაც ვიღებთ c_t -ნაწილს. ჩვენთვის საკვლევს წარმოადგენს b_t -ნაწილი, რომელიც მიიღება მიღებული თრი სხვადასხვა ნაწილის ერთმანეთისთვის გამოკლებით.

HP-ფილტრის გამოყენების დროს საკვანძო მომენტს წარმოადგენს მოსწორების პარამეტრის – λ-ის არჩევა. წინა აბზაცში აღწერილი მექანიზმი პირდაპირ კავშირშია λ-თან: თუ ჩვენ მას ისეთნაირად ავირჩევთ, რომ მან შედეგად მოგვცეს 7- და 7 წელზე მეტი პერიოდის ციკლები, მაშინ a_t -კომპონენტი უბრალოდ „მოსწორდება“, ანუ ეს შედარებით მოკლევადიანი რყევები აღარ იქნება ასახული საბოლოო მონაცემებში. შემდეგ, როდესაც გავზრდით λ-ს 11 წლიანი ციკლების შესაბამის დონემდე, ის დატოვებს მხოლოდ 11 წლიან და მეტი ხანგრძლივობის ციკლებს, ხოლო სხვა დანარჩენს „მოასწორებს“- ($a_t + b_t$)-კომპონენტის რყევები წაიშლება საბოლოო მონაცემებიდან. ამიტომ, მოსწორების პარამეტრის შერჩევა პირდაპირ და უმთავრეს როლს ასრულებს ამ ანალიზის წარმატებისთვის.

λ-პარამეტრის გამოსათვლელად გამოყენებული იქნება შემდეგი ფორმულები [Koichiro Kamada, Kentaro Nasu, 2011]:

$$\lambda = \left\{ 2 \sin \left(\frac{\pi}{7f} \right) \right\}^{-4} \quad (1.1)$$

$$\bar{\lambda} = \left\{ 2 \sin \left(\frac{\pi}{11f} \right) \right\}^{-4} \quad (1.2)$$

სადაც f არის ამოსაგალი მონაცემების პერიოდულობის ამსახველი ცვლადი ($f=12$ თვიური მონაცემებისთვის, $f=4$ კვარტალური, და $f=1$ წლიური პერიოდულობის შემტხვევაში).

ამ ინსტრუმენტის უდაო დადგითი მხარეების მიუხედავად, მას აგრეთვე ახასიათებს ნაკლოვანებებიც. ფორმულა (1.1)-ის თანახმად გამოთვლილი მოსწორების პარამეტრი ფილტრავს 7 წლიანი ციკლების დაახლოებით ნახვარს,

ხოლო სხვა მცირე ციკლების ნაწილს საშუალებას აძლევს, მოხვდეს საკვლევ ციკლურ კომპონენტში. ამდენად, ეს არ არის ძალიან ზუსტი ინსტრუმენტი ციკლების გამოვლენისთვის. ამასთან ერთად, რაც უფრო იზრდება ციკლის პერიოდი, ეს პრობლემა მით უფრო აქტუალური ხდება. ამდენად, ეს გარკვეულწილად შემზღვეველი ფაქტორია ამ კვლევისთვის. ამ მიზეზის გამო მიზანშეწონილად ჩაითვალა ამ ფილტრის გამოყენებით მხოლოდ საშუალოვადიანი (უეგლარის) ციკლის ძიება (და არა სხვა, უფრო ხანგრძლივი ციკლების გამოვლენა). გარდა ამისა, ამ გადაწყვეტილების მიზეზია კვლევაში გამოყენებული ამოსავალი დონამიკური მწკრივების სიმოკლე, რაც უფრო გრძელვადიანი ციკლების შესახებ დასკვნების გაპეტებისთვის არასაკმარისია და არსებობს მცდარი დასკვნების გამოტანის რისკი.

ზემოთ მოცემული ფორმულების გამოყენებით მოსწორების პარამეტრის მნიშვნელობებია:


ცხრილი 1

HP-ფილტრის λ -პარამეტრის მნიშვნელობები¹²

| | საშუალოვადიანი (უეგლარის) ციკლებისთვის (7-11 წელი) | |
|--------------------------------------|---|--------------|
| მოსწორების პარამეტრის მნიშვნელობა | $\lambda=2$ | $\lambda=10$ |

პროგრამა Eviews-ში HP-ფილტრის გამოყენების შედეგი ნაჩვენებია ქვე-მოთ გრაფიკ 1-ზე. ნიმუშის სახით ნაჩვენებია $\lambda=10$ მნიშვნელობისთვის GDP-ის დინამიკის დაშლა ტრენდად და ციკლურ კომპონენტად.


გრაფიკული ნახაზის გარდა, პროგრამა Eviews-ი იძლევა ციკლისა და ტრენდის რიცხობრივ მნიშვნელობებსაც. სწორედ ამ გზით გამოიყენება ეს ინსტრუმენტი, მაგალითად, პოტენციური GDP-ის გამოვლის დროს [Giorno, Richardson, Roseveare, Noord, 2005].



გრაფიკი 1. Eviews-ში HP-ფილტრის გამოყენება GDP-ის მაგალითზე

¹² ცხრილი აგებულია გამოთვლების შედეგების საფუძველზე.

ქვემოთ მოცემულია ფილტრის გამოყენებით ჩვენთვის საძიებელი ჟუგლა-რის ციკლების შესაბამისი გრაფიკული გამოსახულება.



გრაფიკი 2. HP-ფილტრის გამოყენებით მიღებული ციკლები საქართველოს ეკონომიკაში¹³

საქართველოს მაგალითზე HP-ფილტრის გამოყენებამ აჩვენა, რომ ეკონომიკურ დინამიკაში აშკარად შეიმჩნევა ციკლური კომპონენტი. აღმოჩენილი ციკლების ხანგრძლივობა შეესაბამება შემდეგ დროით პერიოდებს (ნაჩვენებია მინიმუმების წერტილებს შორის მანძილი):

1. 1967-1973 წლები – პირველი ციკლი;
2. 1973-1982 წლები – მეორე ციკლი;
3. 1982-1993 – მესამე ციკლი;
4. 1993-2003 – მეოთხე ციკლი;
5. 2003-2010 – მეხუთე ციკლი.

ამ ციკლების დათარიღების თანახმად, მათი ხანგრძლივობა 6-11 წელს შეადგენს, რაც შეესაბამება ჟუგლარის ციკლების ხანგრძლივობას. ამასთან, 6 წლიანი ციკლის არსებობა თვალსაჩინოდ აჩვენებს იმ მეთოდის ზემოთ აღწერილ ნაკლოვანებას. თუმცა ამას მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ მოუხდება დანარჩენ შედეგებზე კვლევის მიზანი სწორედ ჟუგლარის ციკლების ძიება იყო. შესაბამისად, HP-ფილტრის გამოყენება საქმაოდ წარმატებით მოხდა.

დასკვნა

კვლევის დროს მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია მომავალი ეკონომიკური განვითარების შესახებ გარკვეული დასკვნების გაკეთება. აღმოჩენილი ციკლების პერიოდების გათვალისწინებით, საქართველოში ჟუგლარის ციკლის საშუალო ხანგრძლივობა 9 წელია. იმის გათვალისწინებით, რომ 2010 წელი შეესაბამება ბოლო ციკლის ფსკერის ფაზას, მიმდინარე პერიოდი

¹³ გრაფიკები აგებულია გამოთვლების შედეგების საფუძველზე.

შეესაბამება ციკლის დაღმავლობის ფაზას, რომელიც 2015 წელს იყო მიღწეული. მიმდინარე ციკლი გაგრძელდება 2019-2020 წლამდე, რის მერეც დაიწყება ახალი საშუალოვანიანი ციკლი. უკანასკნელი ციკლის ბუნების გათვალისწინებით, მომდევნო რამდენიმე წელიწადში უნდა ვალოდოთ წარმოების მოცულობის და ერთობლივი მიწოდების შემცირებას, მირთად კაპიტალში ინვესტიციების მოცულობის კლებას და ბიზნეს-სუბიექტების სტრატეგიების ცვლილებას. თუმცა ამ პროცესს თან მოსდევს ინვაციები და ახალი რესურსების გამოყენება, რაც ახალი ციკლის აღმავლობის ფაზას შეუწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქაბულია ნ., 2012, „ეპონომიკური რეგიონის თეორიები გეონომიკური კრიზის ასპექტით“. „ეპონომიკა და ბიზნესი“, იანვარ-თებერვალი, თბილის.
2. Giorno C., Richardson P., Roseveare D., Paul van den Noord, 2005, *Estimating potential output output gaps and structural budget balances*, Organisation for Economic Cooperation and Development, Paris.
3. Doorn D.J., 2001, *Consequences of Hodrick-Prescott Filtering for Parameter Estimation in a Structural Model of Inventory Behavior*.
4. Ledenyov D.O. and Ledenyov V.O., 2013, *On the accurate characterization of business cycles in nonlinear dynamic financial and economic systems*.
5. Hagemann H., Legrand M. Dal-Pont, 2005, *Business Cycles in Juglar and Schumpeter*.
6. Schumpeter J.A., 1939, *Business Cycles. A Theoretical, Historical and Statistical Analysis of the Capitalist Process*.
7. King, Rebelo, 1999. *Resuscitating Real Business Cycles*, November.
8. Koichiro Kamada, Kentaro Nasu, 2011. *The Financial Cycle Indexes for Early Warning Exercise*.
9. Bernard L., Gevorkyan A.V., Palley Th., Semmler W., 2013, *Time Scales and Mechanisms of Economic Cycles: A Review of Theories of Long Waves*, December.
10. Pensiero L., 2007, *Real Business Cycle Models of the Great Depression: a Critical Survey*, Department of Economics and IRES, Universite catholique de Louvain, Journal of Economic Surveys Vol. 21, No. 1.
11. Cogley T., Nason J., 1995, *Output Dynamics on Real-Business-Cycle Models*, The American Economic Review, Volume 85, Issue 3, Jun.

Giorgi Tetrauli
Doctoral student,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

JUGLAR CYCLES IN ECONOMY OF GEORGIA **Expanded Summary**

In the cyclical theory of economic development Juglar's medium-term cycles, known as business cycles, play the most important role. In the second part of 19th century, when economics was developing into a science, Juglar was the economist who made an attempt to introduce new statistical methods in economic analysis. Cycles that he discovered are strongly correlated with different financial and economic cycles, including Kondratiev's Long Waves and Kitchin's short-term cycles. According to empirical evidence, Juglar's cycles have the strongest impact on economic activity and because of this they are defined as basic cycles.

According to numerous surveys, medium-term (business) cycles had the strongest impact on the dynamics of economic development, and because of that they are treated as basic cycles.

The goal of this article is to discover medium-term cycles in economy of Georgia, as well as make corresponding deductions about the future economic development of our country.

Juglar cycle, also called a business cycle, is one of the main researched periodical phenomenon in the economic theory. Its average length is 7-11 years and is related to the periodical changes in business activities.

It is rather problematic to reveal medium economic cycles in a dynamics of a macroeconomic indicator. Different widespread approaches used to study these cycles are listed below:

- ✓ Rigidity of prices and salaries;
- ✓ Irrational behaviour of economic subjects (first of all, in investment-related decisions);
- ✓ Irrelevant government policy (excessive stimulation of economy) or a too much intervention from the government side;
- ✓ Impact of exogenous factors, which require from the market a long time for adaptation;
- ✓ Stochastic element in the market mechanism itself.

According to the approach used in the survey described in this article, Juglar cycles are caused by time lags in the process of making investment decisions and can be described by fluctuations in investment amount (fixed capital formation). The mechanism of the business cycles can be explained as follows: the upswing of the cycle takes place if there are enough resources and necessary circumstances. Besides, resources of future periods take part in making decision about investment and production expansion. Future resources come in action in case of successful business strategies (that is, credit resources), which stimulate investment. However, because of the time lags in dissemination of market information, business strategies become incorrect, just as decisions about investment. This describes one of the main market imperfections. As a result, investments are not compatible with the current state of economy and cause excessive investing. This in turn causes fluctuations in the economic activity and the business cycle phenomenon itself.

Hodrick-Prescott (HP) filter was developed in 1997 and is nowadays used for analysis of time series to reveal trend, cyclical and stochastic elements within the dynamics of a concrete indicator. This method is mostly used in business-cycle theories.

The use of HP-filter is based on the assumption that a time series can be represented as a sum of cyclical and growth components:

$$y_t = y_t^g + y_t^c$$

Where: y_t^g -is a growth component, y_t^c -cyclical component of a time series.

Thus, a cyclical component can be calculated as follows:

$$y_t^c = y_t - y_t^g$$

This means, that a cyclical component using HP-filter is derived by eliminating the growth component.

The analysis was divided into following steps:

- ✓ Collection of the data about a concrete macroeconomic indicator;
- ✓ Choice of a target length of the cycles;
- ✓ Use HP-filter to reveal cycles in the time series;
- ✓ Make conclusions based on the final sinusoid.

HP-filter analysis can be performed used Eviews software, as it was done in this survey. As initial time series, the real Gross Domestic Product per capita in 1965-2014, in constant 2005 USD was chosen.

The goal of the survey was to find Juglar cycles, thus the target length of the cycles was set equal to [7;11] interval. HP-filter enables to gradually smoothen the dynamics of the initial time series, along with eliminating the growth component (trend). First cycles shorter than 7 years were smoothed, on the next step-less than 11 year long. Subtracting the results from each other gave values, which reflect cyclical movements of 7-11 year length.

Finally, use of HP-filter on the economy of Georgia enabled to find several cycles, whose lengths was the same as the Juglar classical cycle period:

1. 1967-1973-first cycle;
2. 1973-1982-second cycle;
3. 1982-1993-third cycle;
4. 1993-2003-fourth cycle;
5. 2003-2010-fifth cycle.

Based on the periods of the found cycles, following conclusion about the future economic development of Georgia was made: taking into account the average period of the cycles (9 years), 2010 year corresponds to the depression phase of the last Juglar cycle, while current period can be treated as a downturn phase which will continue until 2019-2020 years. This corresponds to a decrease in investments and total economic activity.

მონეტარული პოლიტიკის გავლენა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაზარჩევაზე

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში საქართველოს მაგალითზე გამოკვლეულ იქნა მონეტარული შრეების გავლენა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებსა და უძრავი ქონების ბაზარზე. ამისათვის ვექტორული აგრორეგრესის მოდელის ფარგლებში განხორციელდა იმპულსზე რეაქციის ფუნქციების გამოკვლევა. კვლევის პროცესში გამოყენებული იყო ორი ტიპის მოდელი. მოდელების გამიჯვნის მიზეზი საკანონო ცელადებში დაკვირვებების არასამარისი რაოდენობა იყო. კვლევის შედეგად გამოიყენო, რომ ფულის მასის შოკი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საპრცენტო განაკვეთებზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს და მის მნიშვნელოვნებაზე მხრივ მოკლევადიან პერიოდში შეგვიძლია გისაუბროთ, ხოლო საშუალო და გრძელვადიან პერიოდში ფულის მასის შოკის გავლენა შეწლებულია. კვლევის შედეგად აგრეთვე ჩანს, რომ მნიშვნელოვანია ფულის მასის შოკის უძრავი ქონების ფასების ინდექსზე ზეგავლენა. ზემოაღნიშნული სრულად ეხმანება, ეკონომიკურ თეორიაში არსებულ მოსაზრებას ფულის მასით მოდელებადიან პერიოდში გეონომიკის წახალისების შესახებ, სადაც უძრავი ქონების ბაზარიც არ არის გამონაკლისი.

საკვანძო სიტყვები: მონეტარული პოლიტიკა, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, კაპიტალის ბაზარი, უძრავი ქონების ბაზარი, ვექტორული აგრორეგრესული მოდელი.

შესავალი

აღსანიშნავია, რომ საქართველოში 1996-2015 წლებში მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის მოცულობა დაახლოებით 13-ჯერ გაიზარდა, ხოლო საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა დაახლოებით 16% შეადგინა. ფულის მიწოდების ტემპი განსაკუთრებით მაღალი იყო 2004 – 2007 წლებში. ამის ფონზე რეალური მშპ 2,7-ჯერ, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით სამომხმარებლო ფასების ინდექსი 2,8-ჯერ გაიზარდა, საშუალო წლიურმა რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა 5,8%, ხოლო საშუალო წლიურმა ინფლაციამ 6% შეადგინა. მონეტარული პოლიტიკის სირთულეები დაკავშირებული იყო აგრეთვე უცხოური ვალუტის დიდი რაოდენობით შემოდინებასთან, კერძოდ, საქართველოს საგადამხდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის მიხედვით, უცხოური ინვესტიციების მოცულობამ მხოლოდ 2002-2008 წლების მანძილზე 8,5 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო ეროვნული ბანკის უცხოური ვალუტის რეზერვები 1,372 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. უცხოური ვალუტის დიდი რაოდენობით შემოდინება, დადგით ფაქტორთან ერთად, ორი მნიშვნელოვანი უარყოფითი ტენდენციით სასიათება: პირები, უცხოური ვალუტის შემოდინებით ეროვნული ვალუტის კურსის გამყარება აუარესებს საქართველოს სავაჭრო პირობებს და აფერხებს ექსპორტის ზრდის ტემპებს; მეორე, უცხოური სავალუტო რეზერვების დაგროვება და ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობის უზრუნველყოფა ინფლაციურ ზეწლას ახდენს ეკონომიკაზე და ზრდის ეროვნული ვალუტის ჭარბ მიწოდებას ეკონომიკაში.

ორივე ეს ტენდენცია განსახილვები პერიოდში დამასახიათებელი იყო საქართველოსათვის. ეროვნული ვალუტის ჭარბი მიწოდება თავის მხრივ გარკვეულ გავლენას ახდენს ქვეყანაში კაპიტალის ბაზარზეც.

აღნიშნულ სტატიაში ჩვენი კვლევის მიზანია, შევისწავლოთ მონეტარული შოკების გაფლენა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე, რომელიც, თავის მხრივ, გამოყიდვები იმის გამო, რომ კაპიტალის ბაზრის შესაფასებელი სხვა მაჩვენებლები შედარებით სუსტად ასახავდა ბაზრის რეალობას. ჩვენს კვლევაში შემუშავებულ მოდელში ასევე ჩავრთეთ უძრავი ქონების ბაზრის ინდექსიც [ბერაია ... 2015, №4].

მონაცემები და ეკონომეტრიკული მოდელი. კვლევის პროცესში გამოყენებულია ორი ტიპის მოდელი. მოდელების გამიჯვნის მიზეზი საკვანძო ცვლადებში არასაკმარისი დაკირვების რაოდენობაა. პირველი მოდელი მოიცავს 2007-2015 წლების კვარტალურ მაჩვენებლებს¹⁴, ხოლო მეორე – 2009-2015 წლების კვარტალურ მაჩვენებლებს. კვლევა ეყრდნობა ვექტორული ავტორეგრესიის მოდელის ფარგლებში იმპულსზე რეაქციის ფუნქციების გამოკვლევას:

პირველი მოდელი:

$$Y_t = A(L^i)Y_{t-i} + Z_t + E_t$$

$$Y_t = (M_t, RGDP_t, RC_t, CPI_t, R_t, REER_t, AP)$$

$$Z_t = (TR_t, TREND_t)$$

მეორე მოდელი:

$$Y_t = A(L^i)Y_{t-i} + Z_t + E_t$$

$$Y_t = (M_t, GR, AP)$$

$$Z_t = (TREND_t)$$

სადაც, Y_t არის ენდოგენური ცვლადების ვექტორი, Z_t -ეგზოგენური ცვლადების ვექტორი, E_t -ნარჩენობითი წევრის ვექტორი.

ენდოგენური ცვლადებისათვის გამოყენებულ იქნა შემდეგი დროითი მწკრივები¹⁵: რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP); სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI); ეროვნულ ვალუტაში სესხებზე საშუალო კვარტლის რეალური საპროცენტო განაკვეთები (R); რეალური ეფექტური გაცვლითი კურის (REER); საოჯახო მეურნეობების მოხმარება რეალურ გამოსახულებაში¹⁶ (RC); უძრავი ქონების ფასების ინდექსი [ბერაია ... 2015, №4] (AP); სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთები (GR); ფულის მიწოდების მაჩვენებლის დასახასიათებლად გამოვიყენეთ სამი მაჩვენებელი: სარეზერვო ფული (CC); მონეტარული აგრეგატი (M3), მონეტარული აგრეგატი (M2). ეგზოგენური ცვლადის სახით გამოყენებულ იქნა საზღვარგარეთიდან ნატურალური სახით მიღებული (მიმდინარე და კაპიტალური) ტრანსფერტების (Y_{tr}) და საზღვარგარეთიდან

¹⁴წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული სტატისტიკა ეყრდნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (www.mof.gov.ge); საქართველოს ეროვნული ბანკის (www.nbg.ge) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (www.geostat.ge) მონაცემების.

¹⁵ იმისათვის, რომ ხემოაღნიშნული მაჩვენებლები დროში ერთმანეთთან შესადარისი იყოს, მნიშვნელოვანია ფასების დონის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის, გათვალისწინება. ფასების დონის ცვლილების გაუყოვალისწინებლობამ შესაძლოა მაჩვენებლებს შორის ეწ. მცდარი კორელაციაც გამოიწვიოს, აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია აღნიშნული მაჩვენებლების კორელაციების საბაზისო პერიოდისათვის (1996 წლის I კვარტალი) მთლიანი შიგა პროდუქტის დეფლაციის გამოყენებით.

¹⁶წინამეურნეობების და შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების ხარჯების საბოლოო მოხმარება ზერგალურ გამოსახულებაში.

მიღებული ფაქტორული შემთხვევების (Y_f) ჯამი (TR), აღნიშნული მაჩვენებელი იმ მოსაზრებით იქნა გამოყენებული, რომ ჩვენი შეხედულებით ეს ცვლადი ყველაზე მეტად იყო ეროვნული ეკონომიკის კონიუნქტურის განმსაზღვრელი შესაფასებელ პერიოდზე, ამასთან, ის ყველაზე მეტად გაზოგენური ფაქტორი და მნიშვნელოვანი საგარეო შოკის მახასიათებელია.

მოღელში განხილულია მონეტარული შოკის გავლენა კაპიტალის ბაზრებზე. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საფონდო ბირჟის ინდექსები არასაკმარისად ახასიათებს ფინანსური ბაზრების მაკროეკონომიკურ დონეს (არასაბირჟო გარიგებების დიდი ოდენობა), მის ნაცვლად გამოვიყენეთ ორი ცვლადი, ერთ წლიდე სახელმწიფო ფასიანი ქადალდების საპროცენტო განაკვეთები და უძრავი ქონების ფასების ინდექსი. მიგვაჩნია, რომ უძრავი ქონების ფასების ინდექსი დაბალი ფინანსური განვითარების ქვეყნებისათვის კარგი ინდიკატორია ქონების სექტორის დასახასიათებლად, თანაც ფინანსური ბაზრის განუვითარებლობამ საქართველოში წარმოშვა ფულის დაბანდების ტენდენცია უპირატესად უძრავ ქონებაში. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ამ ტენდენციას პქონდა ადგილი.

კვარტალური მონაცემების ანალიზის დროს მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სეზონურობა. წინამდებარე ნაშრომში ყველა ცვლადი სეზონურად შესწორებულია. შესაბამისად, ყველა მონაცემის ტესტირება მოხდა სეზონური კომპონენტის არსებობაზე X12¹⁷ მეთოდის გამოყენებით.

რაც შეეხება სტაციონალურობის საკითხს, მისი ანალიზისთვის გამოყენებული იქნა რამდენიმე ტესტი: გაფართოვებული დიკი-ფულერის (ADF), ფილიპს-პერონის (PP), დიკი-ფულერის (DF-GLS), კვიატკოვსკი-ფილიპს-შმიდტი-შინის (KPSS) ტესტები. ამასთან, დროითი მწყრივების სტაციონალურობის შემოწმება ჩატარდა სეზონურად მოუსწორებელ და გაუფილტრავ მწყრივზე¹⁸.

ქვემოთ მოცემულ 1 და მე-2 ცხრილში, 1996-2015 წლების დროით შუალედში წარმოდგენილია, ერთეულოვანი ფესვის ტესტების შედეგები სხვადასხვა ტესტების გამოყენებით 5%-იანი მნიშვნელოვნების დონისათვის. ტესტები ჩატარებულია ყველა სპეციფიკაციისათვის¹⁹: ტრენდისა და კონსტანტასთვის, მხოლოდ კონსტანტასთვის და ტრენდის და კონსტანტის გარეშე.

¹⁷X12 მეთოდი წარმოადგენს აშშ მოსახლეობის აღწერის ბიუროს მიერ შექმნილ სეზონურობისა და სხვა კადახების კორექტირების სისტემას.

¹⁸ზოგიერთი აგტორის (Ghysels & Perron 1990, გვ. 23) დაკვირვებით, სეზონურად კორექტირებული ცვლადის მიმართ სხვადასხვა ტესტების გამოყენებით სტაციონალურობის ანალიზის დროს მატულობს მწყრივის DS პროცესად კვალიფიცირების შანსები, ამიტომ, უმჯობესია, მოუსწორებელ და გაუფილტრავ მწყრივზე ერთეულოვანი ფესვის ტესტების გამოყენება.

¹⁹GDP, CPI, R, REER, RC, CC, M3, M2 და ოდ დროით მწყრივებზე ტესტირება ჩატარდა 1996-2015 წლების შუალედზე, AP დროით მწყრივზე 2007-2015 წლების შუალედზე, ხოლო ღია დროით მწყრივზე 2009-2015 წლების შუალედზე.

გროვებულებანი ფასები ტახტები (ADF, PP, DF-GLS, KPSS)

განვითარები

| | ტახტები | |
|---------|--|--|
| ტახტები | სპეციალური -კავშირი | |
| ADF | ADF- ტახტების- ტახტები | |
| PP | ერთიანებული -ლინიარული მნიშვნელოვანები | |
